



საქართველო ბათუმი

სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური
ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის
შეფასების ანგარიში

მომზადდა PEFA 2016 მეთოდოლოგიის
საფუძველზე

2018 წლის ოქტომბერი



ქ. ბათუმი - საქართველო

სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA)
ეფექტიანობის შეფასების ანგარიში

PEFA-ს სამდივნო ადასტურებს, რომ წინამდებარე ანგარიში აკმაყოფილებს PEFA-ს ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს და ამდენად იმსახურებს შეფასებას **'PEFA CHECK'**.

PEFA-ს სამდივნო

23 ოქტომბერი, 2018

ვალუტა და ინდიკაციური გაცვლის კურსები

ადგილობრივი ვალუტის ერთეული: ქართული ლარი (ლარი/GEL)

1 აშშ დოლარი = 2.4010 ლარი

ფისკალური წელი

1 იანვარი – 31 დეკემბერი

წინასიტყვაობა

PEFA-ს შეფასება განხორციელდა მსოფლიო ბანკის მიერ, ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. შემფასებელთა ჯგუფი მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას, მოწვეულ რეცენზენტებსა და PEFA-ს სამდივნოს თანამშრომლობისთვის და გაწეული დახმარებისთვის.

შემფასებელთა ჯგუფში შედიოდნენ: პატრიკ პიკერ უმაჰ ტეტე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი); მარიამ დოლიძე (სამუშაო ჯგუფის თანახელმძღვანელი), ჯონ შორტი (მთავარი კონსულტანტი), ლაშა გოცირიძე (კონსულტანტი) და პაპუნა პეტრიაშვილი (კონსულტანტი).

შინაარსი

აბრევიატურები და აკრონიმები.....	vi
რეზიუმე	1
1. შესავალი	6
პირველი ბლოკი: ბიუჯეტის სანდოობა.....	27
PI-1. ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	27
PI-2. ხარჯების შესრულების სტრუქტურა	28
PI-3. შემოსავლების შესრულება	29
მეორე ბლოკი: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა	31
PI-4. საბიუჯეტო კლასიფიკაცია.....	31
PI-5. საბიუჯეტო დოკუმენტაცია	33
PI-6. ადგილობრივი მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა.....	37
PI-7. ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	38
PI-8. ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ.....	38
PI-9. ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	42
მესამე ბლოკი: აქტივების და ვალდებულებების მართვა	46
PI-10. ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ.....	46
PI-11. სახელმწიფო ინვესტიციები მართვა	47
PI-12. სახელმწიფო აქტივების მართვა	50
PI-13. ვალის მართვა	54
მეოთხე ბლოკი: პოლიტიკაზე დაფუძნებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება	58
PI-14. მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	58
PI-15. ფისკალური სტრატეგია.....	58
PI-16. ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში	60
PI-17. ბიუჯეტის მომზადების პროცესი.....	63
PI-18. ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება.....	66
მეხუთე ბლოკი: ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი.....	70
PI-19. შემოსავლების ადმინისტრირება.....	70
PI-20. შემოსავლების აღრიცხვა.....	71
PI-21. წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	73

PI-22. საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები.....	76
PI-23. სახელფასო განაცემების კონტროლი.....	77
PI-24. შესყიდვები.....	80
PI-25. არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი.....	88
PI-26. შიდა აუდიტი.....	91
მეექვსე ბლოკი: აღრიცხვა და ანგარიშგება.....	95
PI-27. ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა.....	95
PI-28. შიდა წლიური ანგარიშები.....	98
PI-29. წლიური ფინანსური ანგარიშები	99
მეშვიდე ბლოკი: გარე შეფასება და აუდიტი.....	103
PI-30. გარე აუდიტი	103
PI-31. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება.....	107
4.1 ეფექტიანობის ინდიკატორების მიხედვით ინტეგრირებული შეფასება.....	110
4.2 შიდა კონტროლის ჩარჩოს ეფექტურობა.....	114
4.3 საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი და სუსტი მხარეები	115
5.1 მიდგომა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების მიმართ.....	117
5.2 რეფორმების ბოლოდროინდელი და მიმდინარე ღონისძიებები.....	120
5.3 ინსტიტუციური მოსაზრებები.....	121
დანართი 1: ეფექტიანობის ინდიკატორების რეზიუმე	122
დანართი 2: შიდა კონტროლის ჩარჩოზე დაკვირვების მოკლე მიმოხილვა.....	137
დანართი 3: ინფორმაციის წყაროები ინდიკატორების მიხედვით.....	145
დანართი 4: გამოთვლითი ცხრილები PI-1, PI-2 და PI-3 კომპონენტებისთვის.....	150

აბრევიატურები და აკრონიმები

BDD	ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი
CoA	ანგარიშთა გეგმა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
COFOG	მთავრობის ფუნქციების კლასიფიკაცია
E-	ელექტრონული -
EC	ევროკომისია
EU	ევროკავშირი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
Ge-GP	საქართველოს მთავრობის შესყიდვები
GEL	ქართული ლარი
GFS	მთავრობის ფინანსური სტატისტიკა
GFSM	მთავრობის ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელო
CHU	ჰარმონიზაციის ცენტრი
GIZ	Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)
GP	სახელმწიფო შესყიდვები
GRS	საქართველოს შემოსავლების სამსახური
IBP	საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IPPF	საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო
IPSAS	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
ISSAI	აუდიტის უმაღლესი დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტები
IT	ინფორმაციული ტექნოლოგიები
KFW	Kreditanstalt für Wiederaufbau (გერმანიის განვითარების ბანკი)
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MOE	მუნიციპალური საწარმო
MOF	ფინანსთა სამინისტრო
MPD	მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
N(N)LE	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
PBO	პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
PEFA	სახელმწიფო ხარჯები და ფინანსური ანგარიშვალდებულება
PFM	საჯარო ფინანსების მართვა
PFMIS	საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა
PPP	სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა
RTGS	დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა
SAO	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
SPA	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
TSA	ერთიანი სახაზინო ანგარიში
WB	მსოფლიო ბანკი

რეზიუმე

1. წინამდებარე PEFA-ს შეფასების მიზანია ქ. ბათუმის საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის ობიექტური ანალიზი PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით. სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების წინამდებარე ანგარიში ახდენს მუნიციპალიტეტში საჯარო ფინანსების მართვის (PFM) შეფასებას და ადგენს PEFA-ს ახალ საბაზისო ნიშნულს 2016 წლის PEFA-ს მეთოდოლოგიის გამოყენებით.

2. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯებს. შემოსავლების მობილიზება ხდება საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის სახელით; შესაბამისად, აღნიშნული მიჩნეულ იქნა არარელევანტურად. მუნიციპალიტეტი არის მმართველობის ყველაზე ქვედა დონე, უფრო დაბალ დონეზე არ არსებობს არასაბიუჯეტო ორგანიზაციები და ადგილობრივი მთავრობები. 2018 წლის 11 ივნისიდან 16 ივნისამდე შემფასებელთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი მუნიციპალიტეტში (საველე სამუშაოების განხორციელების პერიოდი). ინდიკატორების შეფასებისას გამოყენებულია 2015 - 2017 ფისკალური წლების პერიოდი.

3. საერთო ჯამში, PEFA-ს შეფასებით ქ. ბათუმში საჯარო ფინანსების მართვის სისტემები გაძლიერდა და დაიხვეწა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად. ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებული მაჩვენებლები გეგმის შესაბამისად სრულდება. შთამბეჭდავია ინფორმაციის მოცულობა მუნიციპალიტეტის ფინანსების შესახებ. შედეგად, საბიუჯეტო დოკუმენტები შეიცავს ძირითადი ინფორმაციის უმეტესობას და დამატებითი ინფორმაციის საკმარისად ვრცელ ნაწილს, რომლებიც საჭიროა გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის მხარდასაჭერად. შესრულების გეგმების და საჯარო სერვისების გაწევისას მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სექტორების მასშტაბით ძალზედ კარგია. გარდა ამისა, საჯარო ინვესტიციების სტრატეგიული შერჩევის პროცესი, ისევე როგორ მათი შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება ასევე კარგად ხორციელდება. შედეგებზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების საფუძველზე, კარგი პროგრესი შეიმჩნევა ყოვლისმომცველი საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს მიმართულებითაც. შემუშავებულია ეფექტური საბიუჯეტო კალენდარი. მუნიციპალიტეტი აქტიურად ახდენს ყველა შემოსავლის პროგნოზირებას და შესაბამისად, არანაირი შეფერხება არ ხდება გრანტებზე ინფორმაციის წარმოდგენისთვის დადგენილი ვადების გამო. საკანონმდებლო ორგანოს აქვს საკმარისი დრო იმისათვის, რომ განახორციელოს მასზე დაკისრებული ფუნქცია.

4. საქართველოს სახელმწიფო ხაზინა ყოველდღიურად ახორციელებს ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ფულადი ნაშთების კონსოლიდაციას ხაზინის ერთიან ანგარიშზე. ფულადი ნაკადების პროგნოზი ყოველწლიურად მზადდება მომდევნო წლისთვის, ხოლო მისი განახლება ხდება კვარტალში ერთხელ, ფულადი ნაკადების ფაქტიური შემოდინების და გადინების საფუძველზე. განახლება ასევე ხდება ბიუჯეტში ხშირად შეტანილი ცვლილებების გამო. საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების ერთ წელზე დაგეგმვა და განაწილება

ყოველკვარტალური განწერის საფუძველზე, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების და ვალდებულებების შესაბამისად.

5. სახელფასო და საკადრო სისტემები ძლიერია. შესყიდვების შესახებ არსებული მონაცემთა ბაზები შეიცავს ინფორმაციას, თუ რა იქნა შეძენილი, როგორი იყო შესყიდვის ფასი და ვისთან გაფორმდა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვების შედეგად. თუმცა, გასაჩივრების პროცესი არ არის სრულად დამოუკიდებელი, რადგან დავების საბჭოს სამი წევრი შესყიდვების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელია, რომლის თავმჯდომარე დავების საბჭოს თავმჯდომარეცაა უპირატესი ხმის უფლებით. შიდა კონტროლი არასახელფასო ხარჯებთან დაკავშირებით გამოირჩევა მოვალეობების მკაფიო გამიჯვნით, ვალდებულებების ეფექტური კონტროლით და გადახდის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობით. შიდა აუდიტი კარგად ფუნქციონირებს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის ხელმძღვანელობით. შიდა აუდიტის საქმიანობა ფოკუსირებულია შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებაზე და ისინი მაღალ რისკიან სფეროებზე ამახვილებენ ყურადღებას. ანგარიშების შეჯერება და ფინანსური მონაცემების მთლიანობა ძლიერი მხარეებია. წლიურ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით სიტუაცია არ არის მკაფიო. ფინანსური ანგარიშები მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ყოველწლიურად მზადდება და ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს, მაგრამ არ ხდება მათი კონსოლიდირება მუნიციპალიტეტში განხორციელებული ყველა ოპერაციისთვის. ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა გარე აუდიტისთვის არ ხდება. მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს ანგარიშგების ეროვნული სტანდარტებით, რომლებიც კვლავ განვითარების პროცესშია. გარე აუდიტი წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ მხარეს სტანდარტების თვალსაზრისით, თუმცა აუდიტის გახორციელების სიხშირე მიგვანიშნებს აუდიტებს შორის მნიშვნელოვან ინტერვალებზე. საკანონმდებლო განხილვები არ აკმაყოფილებს PEFA-ს სტანდარტებს, რადგან ის არ ხორციელდება საკრებულოს მიერ. ამის სანაცვლოდ, უფლებამოსილება დელეგირებულია საქართველოს პარლამენტისთვის, სადაც ბათუმის არცერთი აუდიტი არ არის განხილული.

6. საქართველოში, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი მთავრობების დონეზე, საჯარო ფინანსების მართვის (PFM) მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და ფართო გამოყენება ბიუჯეტის მომზადებაში, ბიუჯეტის შესრულებაში (ანგარიშები, ვალდებულებების კონტროლი და ფულადი სახსრების მართვა), საკადრო და სახელფასო სისტემების მართვაში, შემოსავლებთან დაკავშირებულ სერვისებსა და შესყიდვებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების აპლიკაციები ქვეყნის შიგნით ბიზნეს პროცესების საფუძველზე შემუშავდა თითოეულ თემატურ სფეროში (საჭიროებისამებრ ხელახალი განსაზღვრით) და არა კონკრეტულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე ბიზნეს პრაქტიკის მორგებით. ინტერნეტთან კომბინირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების გადაწყვეტების დანერგვას, რომელიც უნდა განხორციელდეს კომპეტენტური და მომზადებული პერსონალის მიერ (შესაბამისი კონტროლის პირობებში), ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი მხარეების განვითარებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტის და პერსონალის ინტეგრაციას შედეგად მოჰყვა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) დადებითი ეფექტურობა და ეფექტიანობა.

საერთო ფისკალური დისციპლინა

7. საერთო ფისკალური დისციპლინა მიიღწევა ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხარჯვის კონტროლის საშუალებით, ასევე შემოსავლების რეალისტური პროგნოზების მომზადებით. შემოსავლების ძლიერი ადმინისტრირება უზრუნველყოფს შემოსავლების ეფექტიან გენერაციას. დამატებითი ბიუჯეტების სიხშირის მიუხედავად, დაგეგმილი ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლების გვერდის ავლა არ ხდება ხარჯების მუხლებს შორის საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებით. შედეგად, ხარჯების ზრდამ თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის 13%-ი შეადგინა. სახაზინო ოპერაციები და ფულადი სახსრების მართვა შესაძლებელს ხდის ხარჯების მართვას ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში. სახელშეკრულებო ვალდებულებების კონტროლი ეფექტურია, რამაც შეზღუდა დავალიანება ხარჯვით ნაწილში. ძლიერი გარე აუდიტი აუმჯობესებს ფისკალურ დისციპლინას, თუმცა მხოლოდ შეზღუდულ დონეზე. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ერთგვარად აბალანსებს აუდიტის ანგარიშების სიმცირესა და მათი გარე კონტროლის ნაკლებობას.

რესურსების სტრატეგიული განაწილება

8. ანგარიშთა გეგმა განკუთვნილია ხარჯების მრავალგანზომილებიანი ანალიზისთვის. რესურსების სტრატეგიული განაწილების შესაბამისი შედეგების მისაღწევად, არსებობს მტკიცე კავშირი ხარჯების ბიუჯეტირების საშუალო ვადიან პერსპექტივას და სტრატეგიულ გეგმებს შორის. ინვესტიციების გაუმჯობესებული მართვა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რესურსების სტრატეგიულ განაწილებას.

რესურსების ეფექტიანი გამოყენება სერვისების გასაწევად

9. შესყიდვების კონკურენტულ სისტემაში გასაჩივრების და დავების პროცესთან დაკავშირებითარსებულმა ნაკლოვანებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სერვისების გაწევის ეფექტიანობაზე. მიუხედავად ამისა, თანხმობის (No Objection) მიღების პროცესში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩართვა მნიშვნელოვანია იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ გააჩნია სავარისი კვალიფიკაცია ან არ არიან დამოუკიდებელნი. საკრებულოს სარევიზიო კომისიის და გარე აუდიტის (განხორციელების შემთხვევაში) ანგარიშვალდებულების მექანიზმებში არსებული ძლიერი მხარეები განაპირობებს გარე აუდიტის, როგორც გადამოწმების მექანიზმის ეფექტურობას რესურსების არაეფექტიანი გამოყენების აღსაკვეთად. თუმცა, კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში არსებული ნაკლოვანებები ზღუდავს აუდიტის გავლენას. აღნიშნულის დაბალანსება ხდება წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების ძლიერი მხარეებით, რომლებშიც აისახება წლიური მიზნების რეალიზაცია საბოლოო და შუალედური მიზნების მისაღწევად. მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლების და შედეგების გამოქვეყნება ასევე ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას საჯარო სერვისების გამწვევ დაწესებულებებში.

10. საჯარო ფინანსების მართვის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების

პროგრამის ძლიერ მენეჯმენტთან, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობების დონეზე (შემაჯამებელი ინფორმაცია მოცემულია მეხუთე თავში. აღნიშნული რეფორმები საქართველომ განახორციელა ორივე დონეზე, PEFA-ს შეფასებების დახმარებით. 2007 წლიდან შთამბეჭდავი პროგრესი იქნა მიღწეული შემოსავლების სამსახურის მიერ; მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სახაზინო სამსახურში; ასევე გაფართოვდა ერთიანი სახაზინო ანგარიში, რომელიც დღესდღეობით მოიცავს ადგილობრივ მთავრობებს და ყველა საჯარო დაწესებულებას. ამავდროულად, ამოქმედდა ვებ-პლატფორმაზე დამყარებული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა (PFMIS). საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ტრადიციული კონტროლის და შემოწმების ფუნქციების შემსრულებელი ორგანოდან ჩამოყალიბდა თანამედროვე, ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის განმახორციელებელ უწყებად. განისაზღვრა შიდა აუდიტის და კონტროლის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი და ის დანერგულია მთავრობის მასშტაბით. დაარსების დღიდან, ფინანსთა სამინისტროს აკადემია ჩამოყალიბდა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების და ინიციატივების შესახებ ტრენინგის განმახორციელებელ ძირითად ორგანოდ. მიმდინარე რეფორმები მოიცავს ახალ მიდგომებს საჯარო ფინანსების მართვის სისტემის საპარლამენტო შემოწმების ინსტრუმენტების და პრაქტიკის მიმართულებით. დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების მნიშვნელობა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლი გარკვეულია და რჩება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დღის წესრიგში.¹ თუმცა, მუნიციპალიტეტების აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება ეხება პარლამენტს და არა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რაც PEFA-ს მეთოდოლოგიით გამოვლენილი ერთგვარი სუსტი მხარეა.

ცხრილი 1: PEFA-ს ინდიკატორების შეფასებები

2018 წლის PEFA-ს ინდიკატორების შეფასებები ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის							
საჯარო ფინანსების მართვის (PFM) შეფასების ინდიკატორი		შეფასების მეთოდი	ქვეინდიკატორის შეფასება				საერთო შეფასება
			1	2	3	4	
HLG	ხელისუფლების მაღალი დონიდან მიღებული ტრანსფერები	M1	A	D	A		D+
ბლოკი I. ბიუჯეტის სანდოობა							
PI-1	ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები		B				B
PI-2	ხარჯების შესრულების სტრუქტურა	M1	B	B	A		B+
PI-3	შემოსავლების შესრულება	M2	C	D			D+
ბლოკი II: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა							
PI-4	საბიუჯეტო კლასიფიკაცია		A				A
PI-5	საბიუჯეტო დოკუმენტაცია		B				B
PI-6	ადგილობრივი მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა	M2	A	A	NA		A
PI-7	ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	M2	NA	NA			NA
PI-8	ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ	M2	B	B	A	D	B
PI-9	ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა		B				B

¹ საქართველოს PFM-ის რეფორმის ანგარიში (იხ. დანართი 3A)

2018 წლის PEFA-ს ინდიკატორების შეფასებები ზათუმის მუნიციპალიტეტისთვის							
საჯარო ფინანსების მართვის (PFM) შეფასების ინდიკატორი		შეფასების მეთოდი	ქვეინდიკატორის შეფასება				
			1	2	3	4	საერთო შეფასება
ბლოკი III: აქტივების და ვალდებულებების მართვა							
PI-10	ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ	M2	D	NA	NA		D
PI-11	სახელმწიფო ინვესტიციების მართვა	M2	A	C	B	A	B+
PI-12	სახელმწიფო აქტივების მართვა	M2	C	C	A		B
PI-13	ვალის მართვა	M2	B	A	D		B
ბლოკი IV: პოლიტიკაზე დამყარებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება							
PI-14	მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	M2	NA	NA	NA		NA
PI-15	ფისკალური სტრატეგია	M2	D	A	A		B
PI-16	ხარჯების ბიუჯეტირება საშუალო ვადიან პერსპექტივაში	M2	A	D	B	D	C+
PI-17	ბიუჯეტის მომზადების პროცესი	M2	B	A	C		B
PI-18	ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება	M1	A	A	A	A	A
ბლოკი V: ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი							
PI-19	შემოსავლების ადმინისტრირება	M2	NA	NA	NA	NA	NA
PI-20	შემოსავლების აღრიცხვა	M1	A	NA	NA		A
PI-21	წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	M2	A	B	A	C	B+
PI-22	საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები	M1	A	NA			A
PI-23	სახელფასო განაცემების კონტროლი	M1	A	A	A	B	B+
PI-24	შესყიდვები	M2	NA	A	A	D	B
PI-25	არა სახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი	M2	A	A	A		A
PI-26	შიდა აუდიტი	M1	A	B	A	A	B+
ბლოკი VI: აღრიცხვა და ანგარიშგება							
PI-27	ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა	M2	A	NA	A	A	A
PI-28	შიდა წლიური ანგარიშგები	M1	A	A	B		B+
PI-29	წლიური ფინანსური ანგარიშგები	M1	C	D	C		D+
ბლოკი VII: გარე შეფასება და აუდიტი							
PI-30	გარე აუდიტი	M1	C	D	B	A	D+
PI-31	აუდიტის ანგარიშგების საკანონმდებლო შემოწმება	M2	D	D	D	D	D

1. შესავალი

1.1 დასაბუთება და მიზანი

11. სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის წინამდებარე შეფასების მიზანია საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის განხილვა და 2016 წლის PEFA-ს მეთოდოლოგიის გამოყენებით PEFA-ს ახალი საბაზისო ნიშნულის დადგენა. ბათუმის PFM-ის შეფასების გარდა, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მსგავსი შეფასება განხორციელდა კიდეც ორი მუნიციპალიტეტისთვის, კერძოდ, თბილისისთვის (განმეორებითი შეფასება) და მარტვილის მუნიციპალიტეტისთვის. აღნიშნული ადგილობრივი მთავრობის შეფასებები მოჰყვა ცენტრალური მთავრობის შეფასებას (განმეორებითი შეფასება), რომელიც 2018 წლის დასაწყისში განხორციელდა.

12. აღნიშნული შეფასებები ხელს უწყობს საჯარო ფინანსების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით მთავრობის საერთო ხედვისა და მიზნების შემდგომ განვითარებას როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობებისთვის.

1.2 შეფასების მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა

ჩანართი 1.1: შეფასების მართვა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

PEFA-ს შეფასების მართვის ორგანიზაცია

- სახელმწიფო გუნდი — თავმჯდომარე და წევრები:
 - მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი, მერსი მიან ტემბონი; და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გიორგი კაკაურიძე.
 - შეფასების მენეჯერი: მსოფლიო ბანკის გლობალური პრაქტიკის მართვის მენეჯერი, დანიელ ბოისი;
- პატრიკ პიკერ უმაჰ ტეტე, შემფასებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; მარიამ დოლიძე, ჯგუფის თანახელმძღვანელი და უფროსი ეკონომისტი, მსოფლიო ბანკი; ჯონ შორტი, ლაშა გოცირიძე და პაპუნა პეტრიაშვილი (კონსულტანტები)

კონცეფციის დოკუმენტის განხილვა

- კონცეფციის დოკუმენტი საქართველოს მთავრობას მიეწოდა 2018 წლის 16 მაისს, ხოლო სხვა რეცენზენტებს - 2018 წლის 15 მაისს.
- მოწვეული რეცენზენტები: ნათია გულუა, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; არჩილ ვანაძე, ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი; ირაკლი ხმაღაძე, ეკონომიკის, რეგიონალური განვითარების და საჯარო ფინანსების პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის დელეგაცია; ქეთი ვარდაიშვილი, GIZ; ჰოლი-ტიანა რაზაფიმაჰერა რამე, საჯარო ფინანსების უფროსი სპეციალისტი, რომელმაც უფლებამოსილება გადასცა ჯულია დიმიტრის, საჯარო სექტორის სპეციალისტს, PEFA-ს სამდივნო; დონალდ მფანდე, ფინანსური მართვის წამყვანი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; უსმან მორის მეგნან კოლი, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი; და არუნ მანუჯა, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი.

რეცენზენტები, რომლებმაც წარმოადგინეს ან არ წარმოადგინეს თავიანთი კომენტარები:

- ირაკლი ხმაღამე, ეკონომიკის, რეგიონალური განვითარების და საჯარო ფინანსების პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის დელეგაცია (კომენტარი არ წარმოდგენია); ნათია გულუა, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (5/17/2018); არუნ მანუჯა, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი (5/24/2018); დონალდ მფანდე, ფინანსური მართვის წამყვანი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი (05/24/2018); უსმან მორის მეგნან კოლი, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი (5/23/2018); ჯულია დიმიტრის, საჯარო სექტორის სპეციალისტს, PEFA-ს სამდივნო (05/23/2018); ქეთი ვარდიაშვილი, GIZ (კომენტარი არ წარმოდგენია); და არჩილ ვანაძე, ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი (05/25/2018).

კონცეფციის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის PEFA-ს სამდივნოსთვის გაგზავნის თარიღი - 05/30/2018

შეფასების ანგარიშის განხილვა

- ანგარიშის პროექტი წარდგენილ იქნა 2018 წლის 7 აგვისტოს
- მოწვეული რეცენზენტები და მათ მიერ წარმოდგენილი კომენტარების თარიღები:
 - ჯულია დიმიტრის, PEFA-ს სამდივნო - 31 აგვისტო, 2018
 - უსმან მორის მეგნან კოლი, მსოფლიო ბანკი - 31 აგვისტო, 2018
 - არუნ მანუჯა, მსოფლიო ბანკი - 4 სექტემბერი, 2018
 - ირაკლი ხმაღამე, ეკონომიკის, რეგიონალური განვითარების და საჯარო ფინანსების პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის დელეგაცია - 12 სექტემბერი, 2018
 - ქეთევან ვარდიაშვილი, GIZ - 11 სექტემბერი, 2018
 - ნათია გულუა, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - 14 სექტემბერი, 2018
 - არჩილ ვანაძე, ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი (კომენტარები წარმოდგენილ იქნა განხილვამდე)

PEFA CHECK

- PEFA CHECK-ის პროცესის ორი ეტაპი შესრულდა: კონცეფციის დოკუმენტი და პასუხი ანგარიშის პროექტთან დაკავშირებულ კომენტარებზე.

13. წინამდებარე ანგარიშის მომზადებაში ჩართულმა ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ოპერატიულად წარმოადგინა შეფასებისთვის გამოყენებული დოკუმენტაციის უმეტესი ნაწილი, ასევე მოგვარდეს თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები ყველა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კონსულტაციები ჩატარდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შესყიდვების სააგენტოსთან მუნიციპალიტეტთან მათი ურთიერთქმედების შესახებ. ამასთანავე, შეფასებისას გამოყენებულ იქნა ცენტრალური ხელისუფლების PEFA-ს შეფასება შემოსავლების ადმინისტრირების საკითხებთან და კერძო სექტორთან ტრიანგულაციასთან დაკავშირებით. ეს იძლევა ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთქმედების შესაძლებლობას, კერძოდ კი ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და ანგარიშგებასთან, ასევე შიდა აუდიტის ზედამხედველობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დაემთხვა ექსპერტთა მოსაზრებები. განვითარების მიმართულებით მომუშავე ზოგიერთმა პარტნიორმა (WB და GiZ) მონაწილეობა მიიღო შეფასებაში, მხოლოდ თავისი, როგორც ჯგუფის წევრის უფლებამოსილების ფარგლებში და ამგვარად როგორც კონცეფციის დოკუმენტის რეცენზენტმა. ევროკომისიამ (EC) დააფინანსა შეფასების პროცესი, ინფორმირებული იყო აღნიშნული პროცესის შესახებ და განიხილა

ანგარიშის პროექტი. აღნიშნული განხილვა განხორციელდა PFM-ის პროცესში მთლიანად საქართველოს ჩართულობის კონტექსტში, და არა ბათუმის, სადაც პროექტის პარტნიორები არ არიან აღნიშნულ პროცესში პირდაპირ ჩართულნი.

1.3 შეფასების მეთოდოლოგია

14. **შეფასების დაფარვა:** შეფასება მოიცავს ბათუმის მუნიციპალიტეტს, მისი აღმასრულებელი ორგანოს, საბიუჯეტო ორგანიზაციების და საკრებულოს ჩათვლით, ასევე საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით ცენტრალური მთავრობის მიერ წარმოდგენილ სამსახურებს: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ფინანსთა სამინისტრო, მაგრამ მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ მომსახურების გაწევის კუთხით. ცენტრალური მთავრობის მიერ მომსახურების გაწევის შეფასება განხორციელდა ცენტრალური მთავრობის PEFA-ს შეფასებაში. მუნიციპალიტეტზე უფრო დაბალ დონეზე არ არის წარმოდგენილი არასაბიუჯეტო ორგანიზაციები და ადგილობრივი მთავრობა. ბათუმში წარმოდგენილია მუნიციპალური საწარმოები. შეფასება მოიცავს 2015 - 2017 ფისკალური წლების პერიოდს (გასული ფისკალური წელი) და შეფასება განხორციელდა 2018 წლის ივნისში.

15. **შემფასებელთა ჯგუფმა სრული შემადგენლობით** განახორციელა ვიზიტი ბათუმში 2018 წლის 11 ივნისიდან 16 ივნისამდე. ანგარიშის პროექტი (ინგლისურენოვანი), შეფასებებითა და ძირითადი მახასიათებლების მოკლე მიმოხილვით (ქართულ ენაზე) წარედგინა მუნიციპალიტეტს 2018 წლის 10 ივლისს. ანგარიშის პროექტის განხილვის მიზნით შემფასებელთა ჯგუფი შეხვდა ვიცე-მერს, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს და მის მოადგილეს 2018 წლის 16 ივლისს.

14. **ინფორმაციის წყარო:** ინფორმაციის ჩამონათვალი თითოეული ინდიკატორისთვის მოცემულია დანართში 3c. იმ პირთა სრული სია, ვისთანაც შედგა შეხვედრები, წარმოდგენილია დანართში 3b.

16. **სხვა მეთოდოლოგიური საკითხები ანგარიშის მოსამზადებლად:** შეფასება განხორციელდა 2016 წლის PEFA-ს გამოყენებით. ყველა 31 ინდიკატორი (და მათი 94 ქვეინდიკატორი) შეფასდა და დაფარვის და გამოყენების თვალსაზრისით შეესაბამებოდა მეთოდოლოგიას გადახრების გარეშე. ის ინდიკატორები, რომლებიც არარელევანტურად იქნა მიჩნეული, აღინიშნა როგორც NA. შეფასებები მოცემულია თავში 3. ტრენინგი PEFA-ს მეთოდოლოგიაზე ჩატარდა 2018 წლის 15-16 მაისს 2018 წელს შეფასებული სამივე მუნიციპალიტეტისთვის, ისევე როგორც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული ტრენინგი ჩაატარა PEFA -ს სამდივნოს ხელმძღვანელი, იენს კრომან კრისტენსენის და მუნიციპალიტეტების PEFA-ს განმახორციელებელი კონსულტანტი, ჯონ შორტის მიერ.

2. ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

2.1 ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა

18. მოსახლების ბოლო საყოველთაო აღწერით და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3 მილიონ 726 ათას ადამიანს.² 2017 წლის მონაცემებით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 10,231.4 ლარს³. საქსტატის მონაცემების მიხედვით, საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს 940 ლარს 2016 წლის მონაცემებით⁴. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანახმად 476,000 ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას.⁵

19. **ეკონომიკური ზრდა.** 2017 წელს, მშპ-ს რეალურმა ზრდამ 5.0% შეადგინა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში. პარტნიორი ქვეყნების უმეტესობამ 2015-2016 წლების კრიზისს თავი დააღწია, რამაც დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, ვაჭრობის, ფულადი გზავნილების და ტურისტული არხების მეშვეობით. 2017 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურმა მაჩვენებელმა 38,042.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 11.8 %-ით მაღალია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე 10,231.4 ლარი (4,078.5 აშშ დოლარი) შედგინა.

20. **2017 წელს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა კვლავაც კერძო სექტორი იყო.** საგრძნობლად გაუმჯობესდა სავაჭრო ბალანსი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო გარე ფაქტორების და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებით. საქონლის ექსპორტი 24 %-ით გაიზარდა, ხოლო შემოსავლები მომსახურებიდან, რომელიც ძირითადად ტურიზმითაა წარმოდგენილი გაიზარდა 20 %-ით. 2017 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვამ 19.4 პროცენტით მოიმატა, მაგრამ წინასწარმა შედეგებმა აჩვენა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 7,000-ით შემცირდა⁶. თუმცა, შრომითი რესურსების ღირებულება განაგრძობდა ზრდას, რადგან რეალური ხელფასების დონე გაიზარდა რაც კერძო სექტორში შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე მიუთითებს, თუმცა სამუშაო ადგილების შეზღუდული შექმნით.

21. **ინფლაცია.** 2017 წელს, ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 4 პროცენტი იყო⁷. თუმცა, წლის განმავლობაში ინფლაციის ზრდის ტენდენცია აღინიშნებოდა, რაც

²http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo

³ <https://mof.ge/images/File/newbdd/2019-BD-Tables-sen-01-4-new-BDD.pdf>

⁴ http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=148&lang=geo

⁵ http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1195

⁶ 2017 წლის მეოთხე კვარტალში 2016 წელთან შედარებით.

⁷ https://www.nbg.gov.ge/uploads/mpc/2014/2015_2017/ziritadi_mimartulebebi.pdf

ნავთობზე აქციზის მომატებითა და მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდით იყო გამოწვეული. 2017 წლის მშპ-ის დეფლატორი იყო 6.5 პროცენტი.

22. **ვალუტის კურსი.** 2017 წელს ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებით 2.1 %-ით გამყარდა⁸. ეროვნული ვალუტის ეს სტაბილური გამყარება ძირითადად გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებით და მეორეს მხრივ ფულადი გზავნილების მოცულობის და ტურიზმის ზრდით, რაც დაკავშირებულია მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებთან. ამ პერიოდის განმავლობაში ლარი 11.1 პროცენტით გაუფასურდა ევროსთან მიმართებით. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რომელიც წარმოადგენს ლარის საშუალო გაცვლით კურსს, ძირითადი სავაჭრო პარტნიორების სავაჭრო-შეწონილ გაცვლით კურსებთან მიმართებით, 1.1 პროცენტით გაუფასურდა.

23. **საგარეო ვაჭრობა.** 2017 წელს ქართული პროდუქციის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10,687 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 25.3 პროცენტით უფრო მაღალია წინა წელთან შედარებით. ექსპორტი გაიზარდა და შეადგინა 2,731 მლნ აშშ დოლარი (29.2%-იანი ზრდა), ხოლო იმპორტმა 7,956 მლნ აშშ დოლარს (ზრდა 9.1% -ით) მიაღწია.⁹

24. **ფულადი გზავნილები.** 2016 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ფულადი გზავნილების დინამიკა პოზიტიური მიმართულებით შეიცვალა. 2017 წელს ფულადი გზავნილების სუფთა მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 22,3 პროცენტით გაიზარდა. ის მოიცავდა ფულადი გზავნილების სუფთა მაჩვენებლის ზრდას რუსეთიდან 19,1 პროცენტით, ისრაელიდან 98,3 პროცენტით, აშშ-დან 11,4 პროცენტით, თურქეთიდან 19,4 პროცენტით, საბერძნეთიდან 16.6 პროცენტით და იტალიიდან 18,1 პროცენტით.

25. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 16.2 პროცენტით გაიზარდა და 1.862 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში ყველაზე მსხვილი უცხოური ინვესტორები არიან აზერბაიჯანი (482 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (279 მლნ აშშ დოლარი).

მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევები და მიმდინარე რეფორმები

26. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სავაჭრო პარტნიორებთან დაკავშირებულმა მოვლენებმა და ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალმა დონემ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოს არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსი, რომელიც დიდ გავლენას მოახდენდა მის ეკონომიკაზე. მათსადამე, ქვეყნის ეკონომიკის წარმატება დამოკიდებულია მის ინსტიტუციურ განვითარებაზე და სტრუქტურულ რეფორმებზე.

⁸ 2017 წლის პირველ და ბოლო დღეს არსებული გაცვლითი კურსის შედარება. <https://mof.ge/images/File/newbdd/19-22%20BDD-GADAMUSHAVEBULI-16.08.2018-ganaxlebuli-programa.pdf>
⁹ <https://mof.ge/images/File/newbdd/19-22%20BDD-GADAMUSHAVEBULI-16.08.2018-ganaxlebuli-programa.pdf> გვ: 57-59

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველომ შეძლო ბიზნესის კეთებისთვის გამარტივებული რეგულაციების შემოღება, დაბალი საგადასახადო განაკვეთების და ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის ჩათვლით, ასევე უზრუნველყო ელექტრონულ სერვისებთან გამარტივებული წვდომა და ჩამოაყალიბა კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სტრუქტურები. უმთავრესი ამოცანა იყო კორუფციისგან თავისუფალი საჯარო სექტორის შექმნა. მთავრობა მოწოდებულია გააგრძელოს საკუთარი რეფორმების პროგრამა, განსაკუთრებით საჯარო ფინანსების მართვის სფეროში იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტრატეგიული პრიორიტეტებისთვის რესურსების განაწილების გაუმჯობესება და ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი სისტემის და ენერჯული კერძო სექტორის კომბინაცია ეკონომიკური ზრდისა და დაბალი ინფლაციის ძირითადი სტიმულატორია.

27. რეფორმების პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას, ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, ღია და კონკურენტუნარიანი სავაჭრო გარემოს შექმნას, ეფექტური და კარგად განვითარებული ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებას და მეწარმეობისა და ინოვაციებისთვის კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს ხელშეწყობას. ეს რეფორმები უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ზრდის დაჩქარების და მოსახლეობის შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით.

28. საშუალო ვადიან პერსპექტივაში საქართველოს განვითარების გეგმა გაჰყვება ოთხ ძირითად მიმართულებას, ესენია : (i) *განათლების რეფორმა*, რომლის მიზანია არის დასაქმების ბაზარსა და მოქალაქეთა კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს შორის არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ყურადღების გამახვილება პროფესიასა და უნარებზე, რომლებიც დეფიციტური, მაგრამ მოთხოვნიანია შრომის ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის გადამზადება იმ სფეროებში, სადაც დასაქმების მოთხოვნა მაღალია და კვალიფიციური მუშაკების რაოდენობა კი მცირეა. თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება და ამ მიზნით დაგეგმილი რეფორმების განხორციელება. ზოგადმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა შესაბამისი საერთო ცოდნა, რომელსაც მოჰყვება განათლების შემდგომი ეტაპების გავლა, რაც ახალგაზრდებს მისცემს სწორი არჩევანის გაკეთების საშუალებას კარიერის დაგეგმვაში. (ii) *ეკონომიკური განვითარების რეფორმა*, სადაც საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის ასამაღლებლად აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმების და საგადასახადო რეჟიმის დამატებითი სრულყოფა. (iii) *სივრცითი მოწყობის რეფორმა*, რომელიც მოიცავს ძირითადი ინფრასტრუქტურის მშენებლობას ტრანზიტისა და ტურიზმის თვალსაზრისით ქვეყნის პოტენციალის გამოყენების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის დასრულება და დამატებითი საგზაო და ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს ხელს შეუწყობს ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის საქართველოს ტრანზიტული მარშრუტის პოტენციალის გაზრდას. გარდა ამისა, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაძლიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიული მნიშვნელობის, ასევე ზამთრისა და

ზაფხულის ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეგიონების დამაკავშირებელი გზისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ეს, თავის მხრივ, გაზრდის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გაზრდის მოსახლეობის შემოსავალს; (iv) ღია მმართველობის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების ინკლუზიური პრინციპების დანერგვას, რაც ყველა დაინტერესებულ მხარეს მისცემს პროცესში ჩართვის საშუალებას. აღნიშნული ასევე მოიცავს მომავალში "ერთი ფანჯრის პრინციპის" შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას და ბიზნესის წარმოების სიმარტივისთვის ელექტრონული სერვისების(e-services) ხელმისაწვდომობის გაფართოებას.

29. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 2.1 ჩანს, რომ შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ყოველწლიურად იზრდებოდა. 2017 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ 5 %-ს მიაღწია, მაშინ როცა 2014-2017 წლებში ინფლაცია ყველაზე მაღალი 2017 წელს იყო და იგი 6 %-ს შეადგენდა. უცხოური რეზერვების მთლიანი მოცულობა 2014 წლიდან გაიზარდა. სახელმწიფო და საგარეო ვალის მაჩვენებლები სტაბილურია და უმეტეს ქვეყნებთან შედარებით დაბალია.

ცხრილი 2.1: შერჩეული ეკონომიკური ინდიკატორები¹⁰

	2014	2015	2016	2017
მშპ (მლნ ლარი)	29,150.5	31,755.6	34,028.5	38,042.2
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3,676.2	3,766.6	3,864.6	4,078.5
მშპ -ს რეალური ზრდა (%)	4.6%	2.9%	2.8%	5.0%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, წლიური ზრდა (%)	3.1%	4.0%	2.1%	6.0%
სახელმწიფო ვალი(მშპ -ის %)	35. 4%	41.3%	44.4%	44.3%
საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვა (წლიური პროცენტის ცვლილება)	-25.9%	-28.9%	-26.9%	-25.3%
მიმდინარე ანგარიშის სალდო (%)	-10.7%	-12.1%	-12.8%	-8.7%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მშპ -ის %)	26.6%	32.4%	35.1%	35.0%
საერთაშორისო რეზერვები (იმპორტის თვეების ჯერადი)	3.2	3.5	3.9	3.8

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

2.1.2 ადგილობრივი მთავრობის ეკონომიკური მდგომარეობა

30. ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია, რომლის მოსახლეობა შეადგენს 163,400 ადამიანს (საქართველოს მოსახლეობის 4.2%-ს). ბათუმი არის საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, სამხრეთ-დასავლეთით. ის მოქცეულია სუბტროპიკულ ზონაში მცირე კავკასიონის მთის ძირთან ახლოს. ტურიზმის სექტორი ბათუმის ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. ამასთანავე,

¹⁰ 2015-2017 წლების მონაცემებისთვის: <https://mof.ge/images/File/newbdd/2019-BD-Tables-sen-01-4-new-BDD.pdf>

2014 წლის მონაცემებისთვის: <https://mof.ge/images/File/newbdd/2019-BD-Tables-sen-01-4-new-BDD.pdf>

მოცემულია უახლესი მაჩვენებლები; MOF-ის მიერ მათი განახლება მოხდა 2018 წლის 29 ივნისის PEFA-ს ანგარიშში მოცემული ინდიკატორების შესაბამისად.

ქალაქი ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან საზღვაო პორტს და მოიცავს ისეთ მრეწველობებს, როგორცაა გემთმშენებლობა, კვების პროდუქტები და მსუბუქი წარმოება. 2010 წლიდან, თანამედროვე, მაღალსართულიანი სახლების მშენებლობის შედეგად ბათუმმა განიცადა ტრანსფორმაცია. ასევე მოხდა ქალაქის ძველ, ისტორიულ ნაწილში არსებული მე -19 საუკუნის შენობა-ნაგებობების რესტავრირება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის, რომლის დედაქალაქიც არის ბათუმი, ძირითადი მაჩვენებლები საქართველოს მაჩვენებლებთან მიმართებაში მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 2.1.2: მონაცემები აჭარის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

	საქართველო	აჭარა
2016 მშპ (მლნ ლარი)	34,030	2,900
2016 მშპ (მლნ აშშ დოლარი)	14,380	1,225
რეგიონის მთლიანი მშპ %-ში	---	9%
2016 მოსახლეობა (მლნ)	3,729	340
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	9,126	8,529
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3,860	3,600
2017 უმუშევრობა (%)	13.90%	10.90%
2016 საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)	940	845
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1895	190
რეგიონის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები %-ში	---	10%

წყარო: საქსტატი¹¹

2.2 ფისკალური და საბიუჯეტო ტენდეციები

31. ცხრილში 2.2.1 ნაჩვენებია, რომ 2015-2017 წლებში ბათუმის ბიუჯეტის ბალანსმა შეადგინა საქართველოს მშპ-ის 0.11%. თუმცა, კაპიტალის ანგარიშის დამატების შემდეგ ჩნდება ფისკალური დეფიციტი 2015-2016 წლებში, რომელიც დაფინანსდა ორი სესხით, ერთი KFW-ისგან, ხოლო მეორე მუნიციპალური განვითარების ფონდიდან. ზედა დონის ხელისუფლების ორგანოებისგან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ვიდრე საკუთარი შემოსავლები 2015 წელს. თუმცა აღნიშნული შეიცვალა მას შემდეგ, რაც საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი კომპონენტი რჩება მუნიციპალიტეტში. საპროცენტო გადასახადები დაბალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კაპიტალური პროექტებისთვის სესხი შეზღუდული ოდენობით არის აღებული. კაპიტალური ანგარიში მოიცავს მაღალსართულიან სახლებში ბინების მფლობელებისთვის სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების შესრულების მიზნით წილობრივი მონაწილეობის პირობით გაცემულ გრანტებს.

¹¹ http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=1181&lang=eng

ცხრილი 2.2.1: აგრეგირებული ფისკალური მონაცემები - ბათუმის მუნიციპალიტეტი

	მლნ ლარი			მშპ %		
	2015	2016	2017	2015	2016	2017
მიმდინარე შემოსავალი						
საკუთარი შემოსავალი	51,852	68,313	73,343	0.16%	0.20%	0.19%
გრანტები	54,383	33,648	41,993	0.17%	0.10%	0.11%
სულ	106,234	101,961	115,336	0.33%	0.30%	0.30%
მიმდინარე გადასახდელები						
მიმდინარე არასაპროცენტო	68,415	69,577	71,955	0.22%	0.20%	0.19%
საპროცენტო გადასახდელები	2,587	3,162	3,583	0.01%	0.01%	0.01%
პირველადი სალდო	37,819	32,384	43,381	0.12%	0.10%	0.11%
საოპერაციო სალდო	35,232	29,222	39,798	0.11%	0.09%	0.10%
კაპიტალური გრანტები	8,788	17,916	40,161	0.03%	0.05%	0.11%
კაპიტალური ხარჯები						
გრანტები	7,666	10,950	9,662	0.02%	0.03%	0.03%
არაფინანსური აქტივების ზრდა	45,726	46,430	59,350	0.14%	0.14%	0.16%
მთლიანი სალდო	-9,371	-10,243	10,946	-0.03%	-0.03%	0.03%

წყარო: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

32. ცხრილში 2.2.2 ნაჩვენებია მუნიციპალიტეტში ფაქტიური ხარჯების განაწილება ფუნქციების მიხედვით. ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები ყოველწლიურად იზრდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს დაფიქსირდა და ხარჯების მთლიანი მაჩვენებლის თითქმის მესამედი შეადგინა. საბინაო-კომუნალური მომსახურება და დასვენება, კულტურა და რელიგია წარმოადგენს ხარჯების რიგით მეორე მნიშვნელოვან კომპონენტს. ხარჯების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს განათლება. 2015 წელს, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების ხარჯების ცენტრალური მთავრობისთვის გადაცემის შედეგად, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე ხარჯების გაღება მუნიციპალიტეტს აღარ უწევს.

ცხრილი 2.2.2: ბათუმის მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯები (განმეორებადი, კაპიტალური) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (მთლიანი ხარჯების %)

კოდი	მუხლი	2015 ფაქტიური	2016 ფაქტიური	2017 ფაქტიური
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7.2%	7.6%	5.9%
702	თავდაცვა	0.0%	0.0%	0.0%
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.5%	0.0%	0.0%
704	ეკონომიკური საქმიანობა	18.6%	25.2%	30.2%
705	გარემოს დაცვა	14.2%	7.6%	8.0%
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	19.3%	24.4%	21.8%
707	ჯანმრთელობის დაცვა	2.2%	2.4%	2.6%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	20.8%	15.9%	15.9%
709	განათლება	11.6%	10.8%	9.5%

710	სოციალური დაცვა	4.8%	6.1%	6.1%
	<i>სულ</i>	100.0%	100.0%	100.0%

წყარო: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

33. ცხრილში 2.2.3 ასახულია ეკონომიკური კლასიფიკაცია. კაპიტალი (კაპიტალური გრანტების ჩათვლით) იკავებს ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილს.

ცხრილი 2.2.3: ბათუმის მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (მთლიანი ხარჯების %)

	2015	2016	2017
შრომის ანაზღაურება	14.2%	16.0%	13.4%
საქონელი და მომსახურება	23.0%	21.9%	21.4%
პროცენტი	2.1%	2.4%	2.5%
სუბსიდიები	11.6%	9.3%	10.0%
გრანტები	1.5%	1.1%	0.0%
სოციალური უზრუნველყოფა	4.7%	5.2%	5.0%
კაპიტალური ხარჯები (გრანტების ჩათვლით)	42.9%	44.1%	47.7%
ხარჯები	100%	100%	100%

წყარო: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

2.3 სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმები

34. სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმები საერთოა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებისთვის. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სამართლებრივი საფუძველი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, რომლითაც განსაზღვრულია ფისკალური მართვის პრინციპებით და ფისკალური წესები, ბიუჯეტის და პასუხისმგებელი პირების მომზადების, ანგარიშგების და კონტროლის ძირითადი პრინციპები. ფისკალური მართვის ძირითადი პრინციპები და ფისკალური წესები დამტკიცებულია საქართველოს ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. 2009 წლიდან საბიუჯეტო სისტემის ძირითადი კანონია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელმაც ერთიან სისტემაში გააერთიანა სხვადასხვა არსებული საკანონმდებლო აქტები და განსაზღვრა ერთიანი საბიუჯეტო პროცესი და პრინციპები (კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“). კოდექსმა დაადგინა საბიუჯეტო სისტემის ზოგადი ნორმები, ისევე როგორც სპეციალური რეგულაციები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებისთვის. სახელმწიფო ვალის მართვასთან, სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან და ვალის ტრანსფერთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით და კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ (1998 წელი). ასევე აღსანიშნავია საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საქართველოს კანონი „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონები, რომლებიც საგადასახადო საკითხებს არეგულირებს. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური

კონტროლის შესახებ“ (საქართველოს კანონი № 5447; 2011 წლის 9 დეკემბერი) ვრცელდება შიდა აუდიტზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის შესაბამისად და აქვს ფინანსური, ფუნქციონალური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად.

2.3.1 სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმები დეცენტრალიზაციისთვის

35. 2006 წელს საქართველომ მთლიანად შეცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა. გარდა ხუთი უდიდესი ქალაქისა, თვითმმართველობის სისტემა შეიქმნა მხოლოდ რაიონულ დონეზე, ხოლო მართველი სტრუქტურები (ცალკეული ბიუჯეტები, არჩეული საჯარო მოხელეები და სხვ.) მთლიანად გაუქმდა რაიონის ზედა და ქვედა დონეზე (დასახლებებსა და რეგიონებში). შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა ქვეყანაში 1000-დან 70-მდე შემცირდა: ხუთი თვითმმართველი ქალაქი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი), 64 მუნიციპალიტეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

36. თვითმმართველობის შესახებ კანონი (ძალაში შევიდა 2014 წლის ივნისში) აწესებს მმართველობის პირდაპირ და მარტივ სტრუქტურას. თითოეული მუნიციპალიტეტი პირდაპირი წესით ირჩევს საკრებულოს; აღნიშნული მუნიციპალიტეტების დონეზე აღმასრულებელი ორგანოების სისტემის მართვა ხდება პირდაპირი წესით არჩეული მერის მიერ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი თითოეული სოფლისთვის ირჩევს წარმომადგენელს, ეგრეთწოდებულ რწმუნებულს. სხვა რეგიონებთან შედარებით აჭარას, გამომდინარე მისი ავტონომიური სტატუსისა, გააჩნია თვითმმართველობის უფრო მაღალი დონე და უზრუნველყოფს ადგილობრივი მთავრობის ორ დონეს. საქართველოში არსებობს ცხრა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული (მხარე) ან რეგიონი: გურია; იმერეთი; კახეთი; მცხეთა-მთიანეთი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი; სამეგრელო და ზემო სვანეთი; სამცხე-ჯავახეთი; ქვემო ქართლი და შიდა ქართლი (ადმინისტრაციულად სეპარატისტული სამხრეთ ოსეთი შიდა ქართლის რეგიონის ნაწილია). ამ რეგიონების მმართველები ინიშნებიან პრემიერ-მინისტრის მიერ და მათ გააჩნიათ მაკოორდინირებელი ფუნქცია.

37. მთავრობათაშორისი ფისკალური ურთიერთობების სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 2007 წლის რეფორმის შედეგად. 2007 წლამდე არსებული სისტემა მოიცავდა დეკონცენტრირებულ რაიონულ ერთეულებს ყველა დარგობრივი სამინისტროსთვის (ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის), მაშინ როდესაც დღესდღეობით ადგილობრივ მთავრობებს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ აღნიშნულ სექტორებთან მიმართებაში, გარდა კომუნალური საკითხების, ადგილობრივი გზების, ბაღების და გარკვეული სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების და ჯანდაცვის დამატებითი დაფინანსებისა. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონი, მუნიციპალიტეტების კონკრეტული ფუნქციების განსაზღვრის გარდა ასევე მოიცავს: (ა) მუხლს "ზოგადი

კომპეტენციის" შესახებ, რომლის თანახმად ადგილობრივ მთავრობებს ეძლევათ საშუალება, განახორციელონ ის ფუნქციები, რომლებიც არ არის მითითებული, თუმცა არც პირდაპირ არის აკრძალული კანონმდებლობაში; და (ბ) მუხლი, რომლის თანახმად შესაძლებელია ფუნქციების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დელეგირება კანონით ან მთავრობათაშორისი შეთანხმებების გზით. დღესდღეობით ყველა სხვა სექტორს მართავს ცენტრალური მთავრობის დარგობრივი სამინისტროები და უწყებები. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ დონეზე, ხარჯების ასახვა ხდება სოციალურ პროგრამებში (2017 წელს ადგილობრივი მთავრობის კონსოლიდირებული ხარჯების 10.6%) და გარკვეული ჯანდაცვის სერვისებში (ადგილობრივი მთავრობის კონსოლიდირებული ხარჯების 3 % ასევე 2017 წელს).

38. ცხრილში 2.3.1 მოცემულია ადგილობრივი მართველობის სტრუქტურის მიმოხილვა. საქართველოში წარმოდგენილია ცენტრალური მთავრობა, ორი ავტონომიური რესპუბლიკა და 67 მუნიციპალიტეტი (მათ შორის ქალაქები). მუნიციპალიტეტების მასშტაბი მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, რომელთაგან უმცირესის მოსახლეობა 4000 ადამიანისგან შედგება, ხოლო თბილისის მოსახლეობა 1 მილიონ ადამიანს აჭარბებს. მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან მოსახლეობის ადგილობრივი გზებით, წყლისა და კანალიზაციის სისტემებით უზრუნველყოფაზე, ნარჩენების მართვაზე, პარკების და კულტურული ობიექტების, როგორცაა მუზეუმები და საბავშვო ბაღების მოწყობაზე. მუნიციპალიტეტები დამოუკიდებელი არიან ცენტრალური მთავრობისგან, თუმცა დამოკიდებულნი არიან ცენტრალური მთავრობისგან მიღებულ გრანტებზე და ამ დამოკიდებულების ხარისხი კი, თავის მხრივ, განპირობებულია მუნიციპალიტეტის სიდიდით.

ცხრილი 2.3.1 ადგილობრივი მართველობის სტრუქტურის მიმოხილვა

დონე	იურიდიული პირი	გააჩნია პოლიტიკური ხელმძღვანელობა	დამტკიცებული აქვს საკუთარი ბიუჯეტი	იურისდიქციის რაოდენობა	მოსახლეობის საშუალო რაოდენობა	სახელმწიფო ხარჯების %	სახელმწიფო შემოსავლის %	ტრანსფერით დაფინანსებული %
ცენტრალური	კი	კი	კი	1	3.713 მლნ		95%	0
სახელმწიფო	კი	კი	კი	2	0.24 მლნ-დან 0.33 მლნ-მდე			
ადგილობრივი 1	კი	კი	კი	67	მერყეობს 4,000-დან 1.1 მლნ-მდე		5%	40% -დან 82% -მდე
ადგილობრივი 2	NA	NA	NA	0	NA	NA	NA	NA

2.3.2 საჯარო ფინანსების მართვის სამართლებრივი მოწყობა

39. საჯარო ფინანსების მართვის დეცენტრალიზაციის სამართლებრივი მოწყობა ზემოაღნიშნულ ჩარჩოს ეყრდნობა. არსებობს ანგარიშთა გეგმა, რომელიც საერთოა ყველა მუნიციპალიტეტისთვის განურჩევლად მათი ზომისა, ცენტრალური მთავრობისთვის და ასევე არსებობს ინფორმაციული ტექნოლოგიების საერთო სისტემა და ხაზინის ერთიანი ანგარიში ქვე-ანგარიშებით ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის (მათ შორის თითოეული მუნიციპალიტეტისთვის). საბიუჯეტო კოდექსი ვრცელდება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ მთავრობებზე, თუმცა, ის ასევე მოიცავს კონკრეტულად მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილ მუხლებს.

2.4 საჯარო ფინანსების მართვის ინსტიტუციური მოწყობა

40. ცხრილში 2.4.1 ნაჩვენებია ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრუქტურა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით. სულ 37 სერვისების გამწვევი საბიუჯეტო ორგანიზაციაა, რომელთაგან 11 მოიცავს მერიას და მომსახურების სამსახურებს და ასევე საკრებულოს. ბათუმში აღირიცხება 26 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო და კულტურულ მომსახურებას, როგორცაა ბაღები და მუზეუმები.¹² ესენი წარმოადგენენ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, რადგან მათი ხარჯები ბიუჯეტის ნაწილია, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 2.4.2.

ცხრილი 2.4.1: ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრუქტურა - სუბიექტების რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით

	საჯარო სექტორი				
	მთავრობის ქვესექტორი			სახელმწიფო კომპანია ქვესექტორი	
	საბიუჯეტო ორგანიზაციები	არასაბიუჯეტო ორგანიზაციები	სოციალური დაცვის ფონდები	არასაფინანსო სახელმწიფო კომპანიები	ფინანსური სახელმწიფო კომპანიები
ბათუმი - საბიუჯეტო ორგანიზაციები		0	0	2 ¹³	0
მხარჯავი დაწესებულებები	11				
სსიპ / ააიპ	26				

წყარო: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

ცხრილი 2.4.2: ბათუმის საჯარო სექტორის სტრუქტურა - ფაქტიური ხარჯები 2017 წლის მდგომარეობით

	საბიუჯეტო ორგანიზაციები	არასაბიუჯეტო ორგანიზაციები	სოციალური დაცვის ფონდები	სულ აგრეგირებული
შემოსავლები (გრანტების ჩათვლით)	155,498			155,498

¹² ბათუმში ყველა საბავშვო ბაღი ერთი კომპანიის მართველობის ქვეშაა და არა ცალკეული კომპანიების.

¹³ მესამე კომპანიაში მუნიციპალიტეტს 34%-იანი წილი აქვს აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტთან ერთად.

გრანტების გაცემა (-) და მიღება (+) ცენტრალური მთავრობის სხვა ორგანიზაციებიდან	82,155			82,155
ხარჯები	144,550			144,550
ვალდებულებები	-17,426			-17,426
ფინანსური აქტივები	33,508			33,508
არაფინანსური აქტივები	46,211			46,211

წყარო: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

41. საქართველოს საბიუჯეტო პროცესის მონაწილე მხარეები შესაბამისობაში არიან საერთაშორისო აღიარებულ პრაქტიკასთან. საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საკანონმდებლო ორგანო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ინაწილებენ ფუნქციებს საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს მთავრობა 10-ზე მეტი წლის განმავლობაში ახორციელებენ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმებს, რასაც მოჰყვა ყველა ამ დაწესებულების პოტენციალის გამლიერება. მთავრობა კვლავაც გააგრძელებს რეფორმების განხორციელებას სისტემურ ნაკლოვანებებზე რეაგირების მიზნით.

42. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში ჩართული მხარეებია:

- **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.** მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსების მართვის შესაბამისი დეპარტამენტებია:
 - **მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი:** - მაკროეკონომიკური პროგნოზები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასება.
 - **საბიუჯეტო დეპარტამენტი:** - ცენტრალური მთავრობიდან მუნიციპალიტეტისთვის გაცემული ტრანსფერების განსაზღვრა და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) შემუშავება.
 - **ჰარმონიზაციის ცენტრი:** - შიდა აუდიტი.
 - **სახაზინო და საფინანსო-ანალიტიკური დეპარტამენტი:** - ხაზინის ერთიანი ანგარიშის და ფინანსური მართვის სისტემის ოპერირება.
- **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.** ყველა სახელმწიფო შესყიდვას ადმინისტრირებას უწევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.
- **საქართველოს პარლამენტი და საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი.** პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის კანონის განხილვის შესახებ საქართველოს პარლამენტი ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის ანგარიშების მოსმენას. ეს მოიცავს მუნიციპალიტეტების აუდიტის ანგარიშებს.
- **სახელმწიფო აუდიტის სამსახური.** სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ფინანსების აუდიტს, შეიმუშავებს წინადადებებს და

რეკომენდაციებს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, დარღვევების და ნაკლოვანებების პრევენციის და აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების ჩათვლით, ის ასევე ამზადებს წინადადებებს შესაბამისი ადმინისტრაციული და სამართლებრივი აქტების გაუმჯობესების შესახებ.

- **საქართველოს შემოსავლების სამსახური.** ყველა გადასახადის ადმინისტრირება წარმოებს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ.
- **საკრებულო.** საკრებულო წარმოადგენს მუნიციპალიტეტის არჩეულ მართველ ორგანოს. იგი განიხილავს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, წლის განმავლობაში მასში შეაქვს ცვლილებები და დამატებები და ამტკიცებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისა და ვადების გათვალისწინებით.
- **საფინანსო და საბიუჯეტო კომისია.** საკრებულო, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, საკუთარი წევრების შემადგენლობით ქმნის საბიუჯეტო და საფინანსო კომისიას¹⁴, რომლის მეშვეობით აკონტროლებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების ფინანსურ საქმიანობას. კომისია განიხილავს შემოსავლებთან და გასაღებთან დაკავშირებული ბიუჯეტის პროექტებს და ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს.
- **მერი** არის არჩეული პირი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს. მერი პასუხისმგებელია საბიუჯეტო და სტრატეგიულ დაგეგმვაზე მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მერის მიერ შემუშავებული გეგმები განიხილება საკრებულოს მიერ და ხორციელდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების მიერ.

2.5 საჯარო ფინანსების მართვის და მისი ოპერაციული გარემოს სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები

42. საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შექმნას ერთიანი სახაზინო ანგარიშის და საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) ირგვლივ, რომელიც აერთიანებს სახელფასო და სხვა ხარჯებს, ისევე როგორც ვალდებულებების კონტროლს. ეს ფარავს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას. საქართველოში არ არსებობს მიზნობრივი შემოსავლები და არასაბიუჯეტო ორგანიზაციები, გარდა საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილის გადანაწილებისა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. გარე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. ასეთი მოწყობა გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა, მაგრამ მუდმივად უმჯობესდება საჯარო ფინანსების მართვის (PFM) მიმდინარე რეფორმების საშუალებით. საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს ბიუჯეტის ფორმულირებასთან დაკავშირებით საჯარო მოსმენას.

¹⁴ ყველა მუნიციპალიტეტი არ იყენებს ტერმინს "საბიუჯეტო და საფინანსო" იმ კომისიასთან მიმართებაში, რომელიც პასუხისმგებელია ხარჯებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გამოიყენება ტერმინი "ბიუჯეტი და ეკონომიკა", ხოლო ზოგიერთში კი - სარევიზიო კომისია, როგორც თბილისის შემთხვევაში.

მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებული აუდიტის ანგარიშები არ განიხილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

43. მუნიციპალიტეტები იღებენ გრანტებს - გათანაბრებითი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები - მაღალი დონის ხელისუფლებისგან (სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკები). ეს წარმოადგენს შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს მუნიციპალიტეტებისთვის, თუმცა ტრანსფერების შესახებ ინფორმაცია საბიუჯეტო კალენდარში შედარებით გვიან აისახება. გრანტების გაცემა ხდება შეთანხმებული გრაფიკით.

3. საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის შეფასება

ადგილობრივი მთავრობის დონეზე განხორციელებული PEFA-ს შეფასების ინდიკატორი HLG-1: ხელისუფლების მაღალი დონიდან განხორციელებული ტრანსფერები

45. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად შეესაბამება ადგილობრივი მთავრობისთვის გამოყოფილი ტრანსფერები (გრანტები) ცენტრალური მთავრობის მიერ თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტებს და თუ რამდენად არის დაცული მისი გაცემის ვადები. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს. შეფასება ეფუძნება 2015, 2016 და 2017 ფისკალური წლების განმავლობაში გამოყოფილ გრანტებს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
HLG-1: ხელისუფლების მაღალი დონიდან გაცემული გრანტები	D+	
HLG-1.1. ხელისუფლების მაღალი დონიდან გამოყოფილი გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი	A	2015 წელს გრანტების ფაქტიური მაჩვენებლის გადახრამ თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ გრანტებთან შედარებით შეადგინა 102%, 2016 წელს - 74%, ხოლო 2017 წელს - 114%. განსახილველი 3 ფისკალური წლიდან 2 წლის განმავლობაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 95%.
HLG-1.2. მიზნობრივი გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი	D	სამიდან ორი წლის განმავლობაში, ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტსა და მიზნობრივი გრანტების ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის განსხვავება 10%-ზე მეტი იყო.
HLG-1.3. ხელისუფლების მაღალი დონიდან განხორციელებული ტრანსფერების დროულობა	A	გადახდების გრაფიკი წარმოადგენს მაღალი დონის ხელისუფლებასა და ადგილობრივ მთავრობას შორის არსებული შეთანხმების ნაწილს. ფისკალური წლის დასაწყისში გადახდების გრაფიკის შეთანხმება ხდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან. განსახილველი 3 ფისკალური წლიდან 2 წლის განმავლობაში ფაქტიური გადახდების სულ მცირე 75% (შეწონილი) დროულად განხორციელდა.

46. საბიუჯეტო კოდექსი მოიცავს ტრანსფერების შემდეგ ტიპებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისთვის:

- **გათანაბრებითი ტრანსფერი** წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის სპეციალური ფორმულით განსაზღვრულ და გამოყოფილ თანხას. მისი მიზანია მუნიციპალიტეტების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტი გათანაბრებითი ტრანსფერით მიღებულ შემოსავალს იყენებს თავისი შეხედულებისამებრ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესი განისაზღვრება საბიუჯეტო კოდექსით და საქართველოს

ფინანსთა მინისტრის¹⁵ ბრძანებით. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის მიზნებისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ყოველწლიურად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების ხარჯების და არაფინანსური აქტივების მთლიან თანხას, რომელიც არ შეიძლება იყოს დასაგეგმი წლის მშპ-ის 4%-ზე ნაკლები. ფორმულის თანახმად, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა თითოეული მუნიციპალიტეტისთვის დამოკიდებულია პოტენციური შემოსავლების პროგნოზზე, გასული წლების ტენდენციების გათვალისწინებით.

- თითოეული ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: $T = E - R$.

სადაც:

T – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერი;

E – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი, რომელიც გამოითვლება სტატისტიკური მონაცემების (მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობა, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ფართობის და ადგილობრივი გზების სიგრძე) და გათანაბრების კოეფიციენტების საფუძველზე თვითმმართველ ქალაქებს და მუნიციპალიტეტების გამიჯვნით; და

R – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

- **სპეციალური ტრანსფერი** გამოიყოფა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტიდან სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტმა ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N904 ბრძანება გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

- **კაპიტალური ტრანსფერი** გამოიყოფა მუნიციპალიტეტებისთვის საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს რომ:
 - იქმნება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც სხვებთან ერთად შედიან ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენელი, რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე და სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებენ მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციას;
 - მუნიციპალიტეტები კომისიას წარუდგენენ წინადადებას სხვადასხვა კაპიტალური პროექტების შესახებ;
 - სამთავრობო დადგენილებით განისაზღვრება პროექტების შერჩევის კრიტერიუმები¹⁶;
 - მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ პროექტების თანადაფინანსებაში 5 %-ით მაინც;
 - კომისია გამოყოფს სახსრებს კონკრეტული პროექტებისთვის და დაფინანსების გადარიცხვა წარმოებს მუნიციპალიტეტებისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის და ფაქტიური შესრულების მიხედვით.
- **მიზნობრივი გრანტები** ერთი ბიუჯეტიდან მეორეში დელეგირებული ფუნქციის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

HLG-1.1. ხელისუფლების მაღალი დონიდან გამოყოფილი გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი

47. ცენტრალური მთავრობიდან და აჭარის მთავრობიდან მუნიციპალიტეტებისთვის გაცემული გრანტების საერთო მონაცემები მოცემულია ცხრილში HLG 1.

ცხრილი HLG-1.1: საერთო ბიუჯეტი და ფაქტიური გრანტები (მლნ ლარი)

გრანტები	2015	2016	2017
----------	------	------	------

¹⁶საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის დადგენილება # 23

გრანტების ბიუჯეტით დამტკიცებული მაჩვენებელი	61,817.3	69,642.3	72,342.3
გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი	63,170.7	51,564.0	82,154.5
გადახრა %	102.2%	74.0%	113.6%

წყარო: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

48. 2015 წელს გრანტების ფაქტიური მაჩვენებლის გადახრამ თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ გრანტებთან შედარებით შეადგინა 102%, 2016 წელს - 74%, ხოლო 2017 წელს - 114%. განსახილველი 3 ფისკალური წლიდან 2 წლის განმავლობაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 95%. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

HLG-1.2. მიზნობრივი გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი

49. ცენტრალური მთავრობის 2017 წლის PEFA-ს მიხედვით, მუნიციპალიტეტებისთვის გრანტების 91% გამოყოფილია დადგენილი წესის შესაბამისად. დადგენილი წესის შესაბამისად გამოყოფილი გრანტები ასევე მოიცავს მთავრობის მიერ 2013 წლის 7 თებერვალს დამტკიცებული №23 ბრძანებულებით განსაზღვრულ კაპიტალურ გრანტებს, თუმცა ამ ინდიკატორის მიზნებისათვის ისინი კლასიფიცირებულია, როგორც მიზნობრივი გრანტები, რადგან ისინი დაკავშირებული არიან კონკრეტულ პროექტებთან. სტიქიური უბედურებისა და საგანგებო სიტუაციების პირობებში გათვალისწინებულია სპეციალური გრანტები. მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი გრანტების უმეტესობა წარმოადგენს გათანაბრებით ტრანსფერებს და ყველა გრანტი მათი ტიპების მიხედვით მოცემულია მე-4 დანართის ცხრილში #11.

50. გრანტების ტიპის მიხედვით გადახრამ შეადგინა 5.9% 2015 წელს, 157.4% 2016 წელს და 18.3% 2017 წელს. ბათუმის მუნიციპალიტეტი ცდილობს ბიუჯეტირების პროცესში სავარაუდო გრანტების პროგნოზირებას და აღნიშნულ პროგნოზებს ანაცვლებს ბიუჯეტის დასრულებამდე გრანტების შესახებ მიღებული ინფორმაციით, თუმცა, სპეციალური გრანტების რეალიზაცია არასტაბილურია. ერთ წელს ბიუჯეტში შეტანილი არცერთი გრანტის რეალიზება არ მოხდა, ხოლო მეორე წელს პირიქით მოხდა. თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტსა და მიზნობრივი გრანტების ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 10%-ზე მეტი იყო სამიდან ორი წლის განმავლობაში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

HLG-1.3. ხელისუფლების მაღალი დონიდანგამოყოფილი ტრანსფერების დროულობა

51. არსებობს გათანაბრებითი და მიზნობრივი გრანტების გაცემის წინასწარ შეთანხმებული გრაფიკი. გარკვეულ წლებში გათანაბრებითი ტრანსფერები გაცემულ იქნა წინსწრებით, ხოლო ყველა დანარჩენი ტრანსფერი გამოიყო გრაფიკის შესაბამისად. მაჩვენებლის შეფასება შეესაბამება A-ს.

52. გარკვეულ წლებში გათანაბრებითი გრანტების გაცემა მთლიანად არ მოხდა პირველ კვარტალში და შესაბამისად, დაკორექტირდა შემდგომი ტრანსფერის დროს, როგორც ეს ნაჩვენებია დანართში. ყველა დანარჩენი ტრანსფერი განხორციელდა გრაფიკის შესაბამისად. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

პირველი ბლოკი: ბიუჯეტის სანდოობა

PI-1. ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

53. ეს ინდიკატორი აფასებს ბიუჯეტის სანდოობას, იმის გაანგარიშებით თუ რა ხარისხის განსხვავებაა ფაქტიურ მთლიან ხარჯებსა და პირველად ბიუჯეტს შორის ბოლო სამი წლის ხელმისაწვდომი მონაცემებით. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს. შეფასება ეფუძნება 2015, 2016 და 2017 ფისკალური წლების პირველად ბიუჯეტსა და ბიუჯეტიდან გაწეულ ფაქტიურ ხარჯებს.

ინდიკატორი/ კვინდიკატორი	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-1 ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	B	
1.1 ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	B	სამიდან ორი წლის განმავლობაში, გადახრა იყო 10%-ზე ნაკლები (0.1% და 7.1%), ხოლო მესამე წელს (2015) გადახრამ შეადგინა 18.9%.

54. ფაქტიური და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესახებ მონაცემები შეჯამებულია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 1.1: სულ ბიუჯეტით დამტკიცებული და ფაქტიური ხარჯები (მლნ ლარი)

	2015	2016	2017
დამტკიცებული ბიუჯეტი	104,630.8	130,168.4	134,159.8
ფაქტიური ხარჯები	124,393.4	130,120.0	144,551.5
გადახრა %	118.9%	100.1%	107.7%

წყარო: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

55. ცხრილში ნაჩვენებია, რომ ფაქტიურ ხარჯებს (მიმდინარე და კაპიტალური) და ბიუჯეტით დამტკიცებულ ხარჯებს შორის გადახრამ შეადგინა 2015 წელს - 118.9%, 2016 წელს - 100.1%, 2017 წელს კი - 107.7%. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

PI-2. ხარჯების შესრულების სტრუქტურა

56. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად განაპირობებს ბიუჯეტის შესრულების პროცესში მთავარ საბიუჯეტო კატეგორიებს შორის რესურსების გადანაწილება ხარჯების შედგენილობის ცვლილებას. შეფასება ემყარება 2015, 2016 და 2017 ფისკალური წლების მუნიციპალიტეტის პირველად ბიუჯეტსა და ფაქტიურ ხარჯებს. ინდიკატორი მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-2: ხარჯების შესრულების სტრუქტურა	B+	
2.1 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ფუნქციების მიხედვით	B	სამიდან ორი წლის განმავლობაში, გადახრა იყო 10%-ზე ნაკლები (4.8% და 8.5%), ხოლო მესამე წელს (2015) გადახრამ შეადგინა 15%.
2.2 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	B	სამიდან ორი წლის განმავლობაში, გადახრა იყო 10%-ზე ნაკლები (7.6% და 9.6%), ხოლო მესამე წელს (2015) გადახრამ შეადგინა 11.4%.
2.3 ხარჯები სარეზერვო ფონდებიდან	A	სამივე წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდიდან გაწეული ფაქტიური ხარჯები შეადგენდა 0%-ს, ხოლო ბიუჯეტში - 0.5%-ს.

2.1 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ფუნქციების მიხედვით

57. ფაქტიური და ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები ფუნქციების მიხედვით წარმოდგენილია დანართში #4 მოცემულ ცხრილებში 2-4. გადახრა ხარჯების სტრუქტურაში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 2015 წელს 15% - ს, 2016 წელს - 4.8% - ს და 2017 წელს - 8.5% - ს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

2.2 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

58. ფაქტიური და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია დანართში 4 მოცემულ ცხრილებში 5-9. გადახრის დონე ხარჯების სტრუქტურაში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 11.4%-ს 2015 წელს, 7.6%-ს 2016 წელს და 9.6%-ს 2017 წელს. 2015 წელს გადახრის მაღალი მაჩვენებლის მიზეზი გახდა მუნიციპალიტეტისგან ცენტრალური ხელისუფლებაზე გადაცემული საგანგებო სიტუაციების მართვის ფუნქციის შესასრულებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემული საგანგებო სიტუაციების სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრები. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

2.3 ხარჯები სარეზერვო ფონდებიდან

59. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანახმად სარეზერვო ფონდი განიხილება საერთო სახელმწიფო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების მთლიანი თანხის 2%-ს. ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდები შეადგენდა 0.5%-ს, ხოლო ფაქტიური - 0%-ს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-3. შემოსავლების შესრულება

60. ეს ინდიკატორი აფასებს თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტსა და წლის ბოლოს ფაქტიურად მიღებულ შემოსავალს შორის განსხვავებას. შეფასება დაფუძნებულია 2015, 2016 და 2017 ფისკალური წლების პირველად საბიუჯეტო და ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებზე. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ კვინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M 2 მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-3 შემოსავლების შესრულება	D+	
3.1 მთლიანი შემოსავლების შესრულება	C	სამიდან ორი წლის განმავლობაში, მთლიანი გადახრა იყო 92%-სა და 116%-ს შორის (104.2% და 114%)
3.2 ფაქტიური შემოსავლების სტრუქტურა	D	შემოსავლების ცვლილება 15%-ზე ნაკლები იყო სამიდან ორი წლის განმავლობაში. 2015 წელს - 5.6%, 2016 წელს - 38.9% და 2017 წელს - 22.4%.

3.1 მთლიანი შემოსავლების შესრულება

61. ბიუჯეტით დაგეგმილი და ფაქტიურად მიღებული შემოსავლები გამსხვილებული კატეგორიების მიხედვით მოცემულია დანართში 4, ცხრილები 8-10.

ცხრილი 3.1 ფაქტიური შემოსავლები (საპროგნოზო შემოსავლების %)

წელი	ფაქტიური შემოსავლები (საპროგნოზო შემოსავლების %)
2015	143.9%
2016	104.2%

2017	114.0%
------	--------

62. რადგან გადახრა ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებს შორის შეადგენდა 104.2% - 114%-ს სამიდან ორი წლის განმავლობაში, ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება C.

3.2 ფაქტიური შემოსავლების სტრუქტურა

63. 2015 წელს შემოსავლების სტრუქტურაში გადახრის დონე იყო 5.6%, 2016 წელს - 38.9% და 2017 წელს - 22.4%.

64. 2016 წელს შემუშავდა ცენტრალიზებული წესით მოგროვილი საშემოსავლო გადასახადის წილობრივი განაწილების შესახებ შეთანხმება, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტს, ქონების გადასახადის გარდა, გაუჩნდა მეტი პროგნოზირებადი შემოსავლების წყარო. გადახრა გამოწვეულია რთულად პროგნოზირებადი არა საგადასახადო მუხლებით (როგორც არის საქონლისა და ქონების გაყიდვები, დივიდენდები და ჯარიმები), რომლებიც შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტებისთვის.

65. იმდენად, რამდენადაც გადახრა 10 %-ზე დაბალი იყო სამიდან ერთი წლის მანძილზე, ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

ცხრილი 3.2 გადახრა შემოსავლების სტრუქტურაში

წელი	გადახრის პროცენტული მაჩვენებელი
2015	5.6%
2016	38.9%
2017	22.4%

მეორე ბლოკი: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა

PI-4. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

66. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად შეესაბამება ბიუჯეტი და ანგარიშების კლასიფიკაცია საერთაშორისო სტანდარტებს. გამოიყენება შეფასების პერიოდისთვის არსებული მდგომარეობა. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-4 საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	ბიუჯეტის ფორმულირება, შესრულება და ანგარიშება ემყარება ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის თითოეულ დონეს (10 ფუნქცია) GFS/ COFOG სტანდარტების გამოყენებით. პროგრამული კლასიფიკაცია გამომდინარეობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციული კლასიფიკაციიდან.

67. საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი დებულებები განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.¹⁷ ის დეტალურად არის განსაზღვრული ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში¹⁸ და მოიცავს:

- ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციები, რომელიც გამოიყენება საბიუჯეტო სისტემის ყველა საფეხურზე სახელმწიფო აღრიცხვისთვის და შესაბამისობაშია სახელმწიფოს ფინანსური სტატისტიკის 2001 (GFSM 2001¹⁹) წლის სახელმძღვანელოსთან და მთავრობის ფუნქციების კლასიფიკაციასთან (CoFoG). ეს სტანდარტები გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 2008 წლიდან, ხოლო 2009 წლიდან - ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისთვის. ეკონომიკური და ფუნქციონალური

¹⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 8.

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N672, 25 აგვისტო, 2010.

¹⁹ ფინანსთა სამინისტროს თხოვნით საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) პასუხისმგებელია ტექნიკური მხარდაჭერის მიწოდებაზე GFSM 2014 წლის - საბიუჯეტო კლასიფიკაციის ახალი სტანდარტის დანერგვის პროცესში

კლასიფიკაციები მოიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ეკონომიკური კლასიფიკაცია კოდირებულია GFS- თან შესაბამისობაში, 5 ნიშნა კოდების მეშვეობით, რაც იძლევა ხარჯების (ან შემოსავლების) იდენტიფიცირების საშუალებას დეტალიზაციის ყველაზე მაღალ დონეზე, რომელიც რეკომენდებულია GFS-ის მიერ.

- ორგანიზაციული კლასიფიკაცია, რომელიც ფაქტიურად უზრუნველყოფილია 5 ნიშნა კოდირებული პროგრამული კლასიფიკაციით და რომელიც იძლევა ხარჯების (ან შემოსავლების) იდენტიფიცირების საშუალებას, სულ მცირე GFS²⁰- ის მიერ მოთხოვნილ დონეზე. საქართველოს შემთხვევაში დეტალები განსაზღვრულია ხარჯების ცენტრის დონეზე (ე.ი. GFS მე-3 დონე და ქვევით).

68. 2001 წლის სახელმწიფო ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს თანახმად, საბიუჯეტო კლასიფიკაცია უნდა მოიცავდეს შემოსავლებთან, ხარჯებთან, არა საფინანსო აქტივებთან, ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების ეკონომიკურ კლასიფიკაციას.

69. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული კლასიფიკაცია არ წარმოადგენს GFS-ის მოთხოვნას (და არც CoFoG - ის მოთხოვნას), საქართველომ შეიმუშავა პროგრამების ბიუჯეტირების კომპლექსური სისტემა კონკრეტული კლასიფიკაციით. ეს არის პრიორიტეტების, პროგრამების (4 - ნიშნა) და ქვეპროგრამების (6 - ნიშნა) კომბინაცია და კლასიფიკაცია განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. ეს კლასიფიკაცია ცვლის GFS -ის ორგანიზაციულ კლასიფიკაციას და უზრუნველყოფს, სულ მცირე, დეტალიზაციის იგივე დონეს, რაც წარმოდგენილია GFS - ის მეორე და მესამე დონეზე. პროგრამული კლასიფიკაცია იძლევა ინფორმაციის დაფიქსირების საშუალებას ხარჯების ცენტრის ყოველ დონეზე (რაც GFS ის მოთხოვნაზე უფრო მეტად დეტალიზებულია).

70. ხარჯების თითოეული ცენტრი (ქვეპროგრამის ან ღონისძიების განმახორციელებელი) ასეთად იდენტიფიცირებულია ხარჯების IT სისტემაში (ელექტრონული ხაზინა და ელექტრონული ბიუჯეტი) ისე, რომ მასთან დაკავშირებული ხარჯები დეტალურად იქნეს შესწავლილი და გაკონტროლებული.

71. ფუნქციონალური კლასიფიკაცია შეესაბამება CoFoG-ის მოთხოვნებს 10 შემდგომი ფუნქციით: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება; თავდაცვა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ეკონომიკური საქმიანობა; გარემოს დაცვა; საბინაო-კომუნალური მეურნეობა; ჯანმრთელობის დაცვა; დასვენება, კულტურა და რელიგია; განათლება და სოციალური უზრუნველყოფა.

²⁰ GFS მოიცავს სამ დონეს (სამინისტრო, დირექტორატი და ქვემოთ)

72. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-5. საბიუჯეტო დოკუმენტაცია

73. ეს ინდიკატორი აფასებს ყოველწლიურ საბიუჯეტო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს ძირითადი და დამატებითი ელემენტების კონკრეტული ჩამონათვალის მიმართ. შესაფასებელი დროის პერიოდი არის საკანონმდებლო ორგანოსთვის უკანასკნელი ბიუჯეტის წარდგენის მომენტი (2017) და შეფასება ფარავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-5: საბიუჯეტო დოკუმენტაცია	B	საბიუჯეტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ათიდან შვიდ ელემენტს, რომელთაგან ოთხი ძირითადი, ხოლო სამი დამატებითი ელემენტია.

5.1. საბიუჯეტო დოკუმენტაცია

74. როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საბიუჯეტო დოკუმენტაცია 10 კრიტერიუმიდან 7-ს აკმაყოფილებს.

ცხრილი 5.1 დაკმაყოფილებული კრიტერიუმები

No.	კრიტერიუმი	მიღწევა (დიახ/ არა)	შესაბამისი დასაბუთება/ კომენტარი
ძირითადი ელემენტები			
1	ფისკალური დეფიციტის ან პროფიციტის ან დარიცხული საოპერაციო შედეგის პროგნოზი	კი	საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას ფისკალური მონაცემების შესახებ, ფისკალური ნაშთის ჩათვლით, უკანასკნელი სამი, მიმდინარე და მომდევნო სამი წლის პროგნოზს. ²¹
2	გასული წლის ბიუჯეტის ფაქტიური მაჩვენებლები წარმოდგენილი იყო იგივე ფორმატით, როგორც ბიუჯეტის პროექტი. ამ ელემენტში „იგივე ფორმატით როგორც ბიუჯეტის პროექტი“ ნიშნავს, რომ მაჩვენებლები წარმოდგენილი უნდა იყოს და	კი	ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის I და III თავებში წარმოდგენილია ცხრილები, რომლებშიც თითოეულ საბიუჯეტო მუხლს აქვს სვეტი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის. ²²

²¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

²² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

No.	კრიტერიუმი	მიღწევა (დიახ/ არა)	შესაბამისი დასაბუთება/ კომენტარი
ძირითადი ელემენტები			
	შესადარისი იმავე აგრეგირებულ დონეზე ან რელევანტური დეტალების იმავე დონეზე, როგორც ბიუჯეტის პროექტში.		
3	მიმდინარე ფისკალური წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია იგივე ფორმატით, როგორც ბიუჯეტის პროექტი. ეს შეიძლება იყოს ან შესწორებული ბიუჯეტი ან სავარაუდო შესრულება.	კი	ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის I და III თავებში წარმოდგენილია ცხრილები, რომელშიც თითოეულ საბიუჯეტო მუხლს აქვს სვეტი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის. ²³
4	აგრეგირებული საბიუჯეტო მონაცემები როგორც შემოსავლების, ისე ხარჯებისთვის გამოყენებული კლასიფიკაციების ძირითადი დასახელებების შესაბამისად, მიმდინარე და წინა წლების მონაცემების ჩათვლით, სავარაუდო შემოსავლების და ხარჯების დეტალური ჩაშლით.	კი	ინფორმაცია შემოსავლების და ხარჯების შესახებ I თავში წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველა ძირითადი მუხლის შესაბამისად სამივე წლისთვის (გასული, მიმდინარე და დასაგეგმი). მთლიანი შემოსავლების და ხარჯების ინდიკატორები წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების შესაბამისად. ²⁴
დამატებითი ელემენტები			
5	დეფიციტის დაფინანსების წყაროები და სტრუქტურა	კი	დეფიციტის დაფინანსების წყაროები წარმოდგენილია ბიუჯეტის პროექტის მუხლებში 9 - 11. ²⁵
6	მაკროეკონომიკური პარამეტრები რომლებიც, სულ მცირე, მოიცავს მშპ-ის სავარაუდო ზრდას, ინფლაციას, საპროცენტო განაკვეთებს და ვალუტის გაცვლის კურსს.	NA	ეს ინფორმაცია მოცემულია ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო დოკუმენტაციაში და მოიცავს მაკროეკონომიკური პროგნოზის სამ ცხრილს (ერთს თითოეული სცენარისთვის - ძირითადი, ოპტიმისტური და პესიმისტური). მაკროეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია 2014 წლიდან 2021 წლამდე. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებია მშპ, მშპ - ის ზრდა, ინფლაცია, საპროცენტო

²³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

²⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

²⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

No.	კრიტერიუმი	მიღწევა (დიახ/ არა)	შესაბამისი დასაბუთება/ კომენტარი
ძირითადი ელემენტები			
			განაკვეთები, ვალუტის გაცვლის კურსები და ა.შ. ²⁶
7	ვალის ნაშთი, სულ მცირე, მიმდინარე ფისკალური წლის დასაწყისის შესახებ დეტალების ჩათვლით GFS-ის ან სხვა მსგავსი სტანდარტის შესაბამისად.	არა	ინფორმაცია ვალის მთლიანი პროგნოზირებული მოცულობის შესახებ წარმოდგენილია ბიუჯეტის პროექტის მე-11 მუხლში. დღესდღეობით დასაფარია KfW- ისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDFG – LEPL) მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის გაცემული ორი სესხი. ²⁷ EBRD- ის მიერ გაცემული მესამე სესხი შემუშავების პროცესშია.
8	ფინანსური აქტივები, სულ მცირე, მიმდინარე ფისკალური წლის დასაწყისის შესახებ დეტალების ჩათვლით GFS -ის ან სხვა მსგავსი სტანდარტის შესაბამისად.	არა	2018 წლის ბიუჯეტის პროექტი (მუხლები 1, 2 და 11) შეიცავს ინფორმაციას ფინანსური აქტივების ცვლილებების შესახებ მიმდინარე და გასული წლებისთვის, ისევე როგორც დაგეგმილი წლისთვის. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი არ მოიცავს ინფორმაციას ფინანსური აქტივების მოცულობის შესახებ ფისკალური წლის დასაწყისის და დასასრულისთვის. ინფორმაცია ფინანსური აქტივების მოცულობის შესახებ ფისკალური წლის დასაწყისის და დასასრულისთვის მოცემულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ²⁸ .
9	შეჯამებული ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, როგორებიცაა გარანტიები, და ფინანსური ინსტრუმენტების სტრუქტურაში ჩაშენებული პირობითი ვალდებულებები	არა	ფისკალური რისკების შესახებ ანგარიში არ არის მომზადებული.

²⁶ <http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkickebuli/SFR-2016-Total-bind.pdf>; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkickebuli/2017-BD-Tables-sen-16_1-BDD.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkickebuli/2017-BD-Tables-sen-16_3-BDD.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkickebuli/2017-BD-Tables-sen-16_2%20BDD.pdf.

²⁷ <https://www.batumi.ge>

²⁸ <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

No.	კრიტერიუმი	მიღწევა (დიახ/ არა)	შესაბამისი დასაბუთება/ კომენტარი
ძირითადი ელემენტები			
	როგორებიცაა სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის კონტრაქტები (PPP) და ა.შ.		
10	პოლიტიკასთან დაკავშირებული ახალი ინიციატივების და ძირითადი სახელმწიფო ინვესტიციების საბიუჯეტო შედეგების ახსნა, შემოსავლებთან დაკავშირებული პოლიტიკის ყველა ძირითადი ცვლილების და/ ან ხარჯების პროგრამების ძირითადი ცვლილებების საბიუჯეტო გავლენის შეფასებით.	კი	ბიუჯეტის პროექტი, მისი დანართები, განმარტებითი ბარათი და დაკავშირებული/დამატებითი დოკუმენტაცია, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის ჩათვლით მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო დაწესებულებების პრიორიტეტების და პროგრამების და მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ; პროგრამების/ ქვეპროგრამების/ ღონისძიებების ისევე როგორც მოსალოდნელი შედეგების აღწერას. შემოსავლებთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები შეუსაბამოა საგადასახადო სტრუქტურის ბუნებიდან გამომდინარე.
11	დოკუმენტაცია საშუალო ვადიანი ფისკალური პროგნოზების შესახებ. ამ ელემენტში საშუალო ვადიანი პროგნოზების შესახებ დოკუმენტაციის შინაარსი სულ მცირე უნდა მოიცავდეს ხარჯების, შემოსავლების და ფისკალური ნაშთის საშუალოვადიან პროგნოზებს.	კი	მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი შეიცავს საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს, რომლებშიც წარმოდგენილია შემოსავლების და ხარჯების ძირითადი მუხლების პროგნოზები, ისევე როგორც ფისკალური ბალანსი საბიუჯეტო წლებისა და მომდევნო სამი წლისთვის.
12	საგადასახადო შეღავათების რაოდენობრივი შეფასება.	NA	საგადასახადო ხარჯები შედის ცენტრალური მთავრობის კომპეტენციის ფარგლებში.

75. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B ბათუმის მუნიციპალიტეტის მინიმუმ 3 ძირითად ელემენტთან და ექვს დამატებით ელემენტთან მიმართებაში. უფრო მაღალი შეფასების (A) მისაღებად საჭიროა, რომ საბიუჯეტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებდეს ოთხ დამატებით ელემენტს ძირითად ოთხ ელემენტთან ერთად. ამ კრიტერიუმს მიენიჭა შეფასება B.

PI-6. ადგილობრივი მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა

76. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად წარმოებს სახელმწიფო ხარჯების და შემოსავლების შესახებ ანგარიშგება ადგილობრივი მთავრობის ფინანსური ანგარიშების მიღმა. ამ ინდიკატორის შეფასება ემყარება 2017 ფისკალური წლისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას და ანგარიშებს. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს. საქართველოს კანონმდებლობა და საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები არ ითვალისწინებს ბიუჯეტის სტრუქტურის მიღმა არსებულ არასაბიუჯეტო/ გარესაბიუჯეტო სუბიექტებს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-6 ადგილობრივი მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	
6.1 ხარჯები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	ყველა ხარჯი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში.
6.2 შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	ყველა შემოსავალი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში.
6.3 არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშები	NA	არასაბიუჯეტო ორგანიზაციები წარმოდგენილი არ არის მუნიციპალიტეტში.

6.1 ხარჯები ფინანსური ანგარიშების მიღმა

77. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყოვლისმომცველობის პრინციპის შესაბამისად ყველა შემოსავალი, ხარჯი და საბიუჯეტო ნაშთის ცვლილება სრულად არის ასახული ცენტრალური მთავრობის და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. ეს მოიცავს ყველა უწყებას, რამდენადაც კანონმდებლობა არ განიხილავს არასაბიუჯეტო ფონდების არსებობას. კანონმდებლობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს საშუალება აქვთ, რომ მიიღონ გარკვეული სახსრები მათ მიერ მიწოდებული მომსახურებისთვის საკუთარ ანგარიშებზე (სახაზინო სისტემაში). სახაზინო ანგარიშების სისტემაში შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (LEPL) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (N (N) LE) ანგარიშები. ინფორმაცია მათი ფულადი სახსრების შესახებ, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებთან ერთად, წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები წარმოდგენილია ცალკეული დანართის სახით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტის

შესრულების შესახებ შესაბამის ანგარიშებთან ერთად. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე²⁹. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

6.2 შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა

78. სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად არ არსებობს შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

6.3 არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშები

79. არასაბიუჯეტო ორგანიზაციები არ არის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტში. შეფასება: NA.

PI-7. ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის

80. ეს ინდიკატორი აფასებს ცენტრალური მთავრობის მიერ იმ ადგილობრივი მთავრობებისთვის გამოყოფილი ტრანსფერების გამჭვირვალობას და დროულობას, რომელთანაც გააჩნია პირდაპირი ფინანსური კავშირები. ის განიხილავს ცენტრალური მთავრობიდან ტრანსფერების განხორციელების საფუძველს. ასევე განიხილება, საბიუჯეტო პროცესის წარმართვისთვის იღებენ თუ არა ადგილობრივი მთავრობები დროულ ინფორმაციას მათი განაწილების შესახებ. ადგილობრივი მთავრობის PEFA-ს შეფასებაში, აღნიშნული ინდიკატორი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ტრანსფერები განხორციელდა იმ მუნიციპალიტეტისგან, რომელიც შეფასებულია მთავრობის ქვედა დონედ. ბათუმის შემთხვევაში აღნიშნული მიჩნეულ იქნა არარელევანტურად და მიენიჭა შეფასება NA.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-7 ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	NA	
7.1 ტრანსფერების გამოყოფის სისტემები	NA	
7.2 ტრანსფერების შესახებ ინფორმაციის დროულობა	NA	

PI-8. ინფორმაცია სერვისების გაწვევის ეფექტიანობის შესახებ

81. ეს ინდიკატორი სწავლობს მთავრობის ბიუჯეტის პროექტსა და მის თანდართულ მასალებში, ასევე, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას საჯარო

²⁹ <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

სერვისების გაწევის ეფექტიანობის თვალსაზრისით. ის განსაზღვრავს ჩატარდა თუ არა ეფექტიანობის აუდიტი ან შეფასება. ის ასევე აფასებს, თუ რამდენად წარმოებს სერვისების გამწევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და აღრიცხვა. მოცული პერიოდი: ქვეინდიკატორი 8.1: მომდევნო ფისკალური წლისთვის დაგეგმილი შეფასების ინდიკატორები და შუალედური და საბოლოო შედეგები; ქვეინდიკატორი 8.2: ბოლო ფისკალური წელს მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგები; 8.3 და 8.4 ქვეინდიკატორები: ბოლო 3 დასრულებული ფისკალური წელი. ფასდება ადგილობრივი მთავრობის სერვისები, რომელთა მართვა და დაფინანსება წარმოებს მთავრობის სხვა დონეების მიერ. ის შეტანილ უნდა იქნეს თუ ადგილობრივი მთავრობა მნიშვნელოვნად აფინანსებს ასეთ სერვისებს კომპენსაციებით ან მიზნობრივი გრანტებით ან იყენებს მთავრობის სხვა დონეებს როგორც შემსრულებლებს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-8: ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ	B	
8.1 სერვისების გაწევის განხორციელების გეგმები	B	ინფორმაცია ყოველწლიურად მზადდება და ქვეყნდება მუნიციპალიტეტის პროგრამული ამოცანების შესაბამისად. ის მოიცავს შეფასების ინდიკატორებს, ინფორმაციას შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ.
8.2. სერვისების გაწევის ეფექტიანობა	B	ინფორმაცია პროგრამების/ ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ რომლებიც მუნიციპალიტეტების მხარჯავი დაწესებულებების მიერ ხორციელდება პრიორიტეტების ფარგლებში და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ ყოველწლიურად ქვეყნდება წლიურ საბიუჯეტო ანგარიშებში.
8.3. სერვისების გამწევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსები	A	ინფორმაცია მომსახურების პროვაიდერების მიერ მიღებული რესურსების შესახებ ხელმისაწვდომია მინიმუმ ყოველწლიურად.
8.4. სერვისების გაწევის ეფექტიანობის შეფასება	D	მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის და უმაღლესი აუდიტორული ოფისის აუდიტის შესაბამისობის ანგარიშები მოიცავს გასული სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ მომსახურებებს. თუმცა, აღნიშნული აუდიტები არ არის დაკავშირებული არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევის ეფექტურობის და ეფექტიანობის შეფასებასთან.

82. ცენტრალური მთავრობის ოპერაციებისთვის პროგრამული ბიუჯეტირება დაინერგა 2010 წელს, ხოლო ადგილობრივი მთავრობებისთვის - 2013 წელს და მას შემდეგ მისი ხარისხი თანდათანობით უმჯობესდება. სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტები პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში მზადდება. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება ემყარება მისაღწევ გრძელვადიან შედეგებს და მისი ფორმატი შეიცავს შეფასების ინდიკატორებს (საბაზისო და სამიზნე ინდიკატორებს, ცდომილების ალბათობას და შესაძლო რისკებს) მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების პროგრამების/ ქვეპროგრამების მიხედვით პრიორიტეტების ჩარჩოს შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში (MPD) და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში (BDD), რომელიც მოიცავს დანართს თითოეული მუნიციპალიტეტისთვის. პროგრამული ბიუჯეტის დანართი³⁰ თან ახლავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინება ბათუმის საკრებულოს.

8.1 სერვისების გაწევის განხორციელების გეგმები

83. არსებული საბიუჯეტო მოწყობა თავისი პროგრამებით, ქვეპროგრამებით და მხარჯავი დაწესებულებებით იძლევა ინფორმაციას მომსახურების გაწევის შესახებ, რომელიც დაგეგმილია საბიუჯეტო ორგანიზაციების. ეს პროგრამა მოიცავს სრულ ბიუჯეტს. პროგრამების და მათი მიზნების პრეზენტაცია თითოეულ დონეზე, მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები, რომლებიც პროგრამის მიღწეული შედეგების შეფასების მიზნით შეფასებულ იქნა ინდიკატორებით, როგორცაა, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის კიბოს სკრინინგის პროგრამაში ჩართული ადამიანების რაოდენობა, რეაბილიტაციას დაქვემდებარებული შენობების რაოდენობა, რეაბილიტირებული გზის სიგრძე კმ-ში და ა.შ. ზოგიერთი პროგრამის შედეგები არ არის წარმოდგენილი. გარკვეული პროგრამების შედეგების შეფასება შეუძლებელია. პროგრამა უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდების შეფასებისთვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თუმცა, ძირითადი ინდიკატორების დახვეწის მიზნით აუცილებელია პროგრამის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებების და რაიონების პროგრამული ბიუჯეტირება მოიცავს აღნიშნულ დეტალურ ინფორმაციას.

84. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მოიცავს პრიორიტეტების დეტალურ პრეზენტაციას, რომლებიც ჩაშლილია პროგრამების მიხედვით თითოეულ დონეზე მათ მიზნებთან ერთად, მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების მიხედვით, რომლებიც პროგრამის მიღწეული შედეგების შეფასების მიზნით იზომება ისეთი ინდიკატორებით, როგორცაა, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის კიბოს სკრინინგის პროგრამაში ჩართული ადამიანების რაოდენობა, რეაბილიტაციას დაქვემდებარებული შენობების რაოდენობა, რეაბილიტირებული გზის სიგრძე კმ-ში და ა.შ. ზოგიერთი პროგრამის შედეგები არ არის წარმოდგენილი. გარკვეული პროგრამების შედეგების შეფასება შეუძლებელია. პროგრამა უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდების შეფასებისთვის შესაბამისი ინფორმაციის

³⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

ხელმისაწვდომობას, თუმცა, ძირითადი ინდიკატორების დახვეწის მიზნით აუცილებელია პროგრამის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამული ბიუჯეტირება მოიცავს აღნიშნულ დეტალურ ინფორმაციას.

85. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

8.2 სერვისების გაწევის ეფექტიანობა

86. მუნიციპალიტეტი აქვეყნებს წლიურ ანგარიშს ყველა მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ. ინფორმაცია პროგრამების შესრულების შესახებ ასევე მზადდება ყოველკვარტლურად (3, 6 და 9 თვე) და ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე³¹.

87. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი შედეგებისა და ინდიკატორების შესრულების თაობაზე. ანგარიში ასახავს, თუ რამდენად იქნა ძირითადი ამოცანები შესრულებული წლის განმავლობაში სხვადასხვა პრიორიტეტული პროგრამების, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებიც მოიცავენ ტრანსპორტის, ჯანდაცვის და სოციალური უსაფრთხოების, ასევე სკოლამდელი განათლების სფეროებს. ზოგიერთი პროგრამის შედეგები არ არის წარმოდგენილი. გარკვეული პროგრამების შედეგების შეფასება შეუძლებელია. ძირითადი განსხვავებების ან შეუსაბამობების განმარტება დოკუმენტირებულია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარედგინება საკრებულოს ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

88. ანგარიშები წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ხელმისაწვდომია ბათუმის მერიის ვებგვერდზე³². ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

8.3 სერვისების გამწევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსები

89. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გენერირებული შემოსავალი და გაწეული ხარჯი კონსოლიდირებულია ერთიან სახაზინო ანგარიშში, რომლის მართვასაც ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა. ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის (სერვისების გამწევი უწყებების ჩათვლით) შემოსავლები, ხარჯები და ნაშთის ცვლილება (კანონმდებლობით დაშვებული საკუთარი შემოსავლების ჩათვლით), 2015 წლიდან სრულად არის აღრიცხული ერთიან სახაზინო ანგარიშზე. საკუთარი შემოსავლების წყაროს ყველა დანახარჯი ასევე უნდა იყოს კონსოლიდირებული ერთიან სახაზინო ანგარიშზე. საკუთარი წყაროდან მიღებული შემოსავლის გადახდა, მის სადეპოზიტო ანგარიშზე გადაცემამდე, ხდება ერთიანი სახაზინო ანგარიშის ქვეანგარიშზე. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში.

³¹ <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

³² <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

90. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხარჯები შეიძლება ჩაიშალოს თითოეული საბავშვო ბაღის, მუზეუმის, ხელოვნებისა და მუსიკის სკოლის, თუ კულტურის დაწესებულების მიხედვით. საბავშვო ბაღების შემთხვევაში, ყველა მათგანი იმართება ერთი ა(ა)იპ-ის მიერ, თუმცა შესაძლებელია ხარჯები ჩაიშალოს თითოეული საბავშვო ბაღისთვის, ბიუჯეტისა და ანგარიშგების საინფორმაციო სისტემის გათვალისწინებით. ჯანდაცვაში ხდება მომსახურების შესყიდვა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებიც ასევე შეიძლება ჩაიშალოს თითოეული კლინიკის მიხედვით.

91. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

8.4. სერვისების გაწევის ეფექტიანობის შეფასება

92. შიდა აუდიტის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების და მხარჯავი დაწესებულებების 8 შესაბამისობის აუდიტს. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს ანგარიშებს და გასცემს რეკომენდაციებს მომსახურების მიწოდების შესრულებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დონეზე. ყურადღებას ამახვილებს სისტემური ხარვეზების გამოვლენაზე და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემაზე. 2014-2016 წლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა 4 შესაბამისობის აუდიტი და 2 ფინანსური აუდიტი, რომლებშიც მოიცვა მუნიციპალიტეტის ოპერაციები. 2018 წლისთვის დაგეგმილია 3 შესაბამისობის აუდიტის ჩატარება.

93. აღნიშნული აუდიტები, რომლებიც განხორციელდა, არ არის ეფექტიანობის ტიპის და შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

PI-9. ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა

94. ეს ინდიკატორი აფასებს ფისკალური ინფორმაციის სისრულეს, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. ამავდროულად, ფისკალური ინფორმაციის გამჭვირვალობა გულისხმობს მარტივ ხელმისაწვდომობას შეზღუდვების გარეშე (მაგ. რეგისტრაციისა და გადასახადის გარეშე). შესაფასებელი პერიოდი არის გასული დასრულებული ფისკალური წელი და შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-9 ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	B	მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს წვდომას 7 ელემენტთან, მათ შორის ჩამოთვლილი ინფორმაციის ხუთიდან 4 ძირითად ელემენტთან.

95. საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგი ტიპის საბიუჯეტო ინფორმაცია:

- (i) **წლიური ბიუჯეტის პროექტის დოკუმენტაცია**³³ - ბიუჯეტის პროექტი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და კანონით განსაზღვრული დროის ფარგლებში ხელმისაწვდომია ბათუმის საკრებულოს ვებგვერდზე, მერიის მიერ პროექტის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში.
- (ii) **დამტკიცებული ბიუჯეტი**³⁴ - საკრებულოს მიერ დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ბათუმის მერიის ვებგვერდზე მისი დამტკიცების თარიღიდან. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია საჯაროა, რადგან ის ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
- (iii) **ბიუჯეტის შესრულების შუალედური ანგარიშები.** კვარტალური ანგარიშები (3, 6 და 9 თვის)³⁵ თანდართულ დოკუმენტაციასთან და მასალებთან ერთად წარედგინება საკრებულოს კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში. ანგარიშები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ბათუმის მერიის ვებგვერდზე მისი წარდგენისთანავე.
- (iv) **წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში**³⁶ - ბათუმის წლიური ბიუჯეტის ანგარიში წარედგინება საკრებულოს წლის ბოლოდან ორი თვის განმავლობაში და ხელმისაწვდომია ბათუმის მერიის ვებ-გვერდზე პრეზენტაციის შემდეგ. გარდა ამისა, სახელმწიფოს წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს ადგილობრივი მთავრობებისთვის გაცემულ ტრანსფერებს. ანგარიშები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე საკანონმდებლო ორგანოსთვის მისი წარდგენისთანავე. საკრებულოსთვის წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საჯაროა და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
- (v) **აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიში** – მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშებს წარუდგენს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მომდევნო წლის აპრილის ბოლოს. აღნიშნული ანგარიშები ჯერ კიდევ არ არის საერთაშორისო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (IPSAS) შესაბამისობაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს კანონი არ ავალდებულებს აღნიშნული ანგარიშების ყოველწლიურ აუდიტს, თუმცა ის პერიოდულად ახორციელებს მათ აუდიტს მისი სამუშაო გეგმის შესაბამისად. ბათუმის ფინანსური ანგარიშგების ბოლო აუდიტი მოიცავს 2016 წელს, თუმცა 2018 წლამდე არ გამოქვეყნებულა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე³⁷. ასევე განხორციელდა ფინანსური აუდიტი 2015³⁸ წლისთვის.

96. **დამატებითი ელემენტები:**

³³ <http://www.batumicc.ge>

³⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

³⁵ <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

³⁶ <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

³⁷ <http://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2018/batumis-meria.pdf>

³⁸ <https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2016/qalaq-batumis-municipalitetis-meria.pdf>

- vi პირველადი საბიუჯეტო დოკუმენტი³⁹** - წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის მომზადებით ყოველი წლის 1-ლი მარტიდან. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ (მომავალი ოთხი წლის, მიმდინარე და გასული წლებისთვის), ისევე როგორც ინფორმაციას პროგრამების შესახებ განვითარების ძირითადი პრიორიტეტებით და მიმართულებებით დამხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებების ლიმიტებით. ის მოიცავს საქართველოს ადგილობრივ მთავრობებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს და ადგილობრივ ორგანოებს. დოკუმენტის განახლება ყოველწლიურად ხდება. მთავრობა იწონებს ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტს ყოველი წლის 10 ივლისამდე და დაუყოვნებლივ აქვეყნებს 5 თვეზე მეტი ხნით ადრე ფისკალური წლის დაწყებამდე. მიუხედავად ამისა, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი უპირველესად წარმოადგენს ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის დოკუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ ის მოიცავს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს, მათი წარმოდგენა ხდება მოგვიანებით, მას შემდეგ რაც შესაბამისი საკრებულოები ამტკიცებენ ყველა ადგილობრივ ბიუჯეტსა და შესაბამის MPD-ის. ასე რომ, თეორიულად, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (10 ივლისისთვის დამტკიცებული) არ მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მაჩვენებლებს. ამავდროულად, MPD-ი არ არის მზად ან გამოქვეყნებული ფისკალური წლის დაწყებამდე 4 თვით ადრე.
- vii გარე აუდიტის სხვა ანგარიშები** - სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს ანგარიშს მუნიციპალიტეტში ხარჯვითი ნაწილის შესრულების შესახებ. ის საბოლოოდ ამზადებს წლიურ ანგარიშს აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყველა ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე მათი მომზადებისთანავე⁴⁰.
- viii მუნიციპალიტეტის მიერ გამოქვეყნდა ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის ან დამტკიცებული ბიუჯეტის (ეგრეთ წოდებული ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი) შემაჯამებელი დოკუმენტი**, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ბეჭდური ფორმით.
- ix მაკროეკონომიკური პროგნოზები⁴¹** - ინფორმაცია საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) წლიური დოკუმენტის ნაწილია, რომლის განახლებაც რეგულარულად წარმოებს მთავრობის მიერ მის საბოლოო მოწონებამდე და დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განახლების ყოველ ეტაპზე. აღნიშნული ელემენტი არარელევანტურია.

³⁹<http://mof.ge/5075>;

⁴⁰ <http://sao.ge/audit/audit-reports>

⁴¹ <https://mof.ge/5097>

97. ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B, რადგან 4 ძირითადი და 3 დამატებითი ელემენტი ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

მესამე ბლოკი: აქტივების და ვალდებულებების მართვა

PI-10. ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ

98. ეს ინდიკატორი აფასებს ადგილობრივი მთავრობის წინაშე ფისკალური რისკების შესახებ ანგარიშგების მასშტაბს. ფისკალური რისკები შეიძლება წარმოიშვას უარყოფითი მაკროეკონომიკური სიტუაციებიდან, ადგილობრივი მთავრობების ფინანსური მდგომარეობიდან, მუნიციპალური საწარმოებიდან და ადგილობრივი მთავრობის საკუთარი პროგრამების და ღონისძიებების პირობითი ვალდებულებებიდან არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ჩათვლით. ისინი შეიძლება ასევე წარმოიშვას სხვა მკაფიო და გარე რისკებიდან, როგორცაა ბაზრის კრაზი და ბუნებრივი კატასტროფები. შეფასება დამყარებულია უახლესი, 2017 ფისკალური წლისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. ქვეინდიკატორი 10.1 მოიცავს ადგილობრივი მთავრობის მიერ კონტროლირებად მუნიციპალურ საწარმოებს. ქვეინდიკატორი 10.2 მოიცავს ადგილობრივი მთავრობის სუბიექტებს, რომლებმაც პირდაპირი ფისკალური კავშირი აქვთ ადგილობრივ მთავრობასთან. ბათუმის მუნიციპალიტეტში ასეთი სუბიექტები არ არის წარმოდგენილი. ქვეინდიკატორი 10.3 მოიცავს საერთო რისკების შეფასებას, რომელსაც ახორციელებს ცენტრალური მთავრობა და არა მუნიციპალიტეტი.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-10 ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ	D	
10.1 მუნიციპალური საწარმოების მონიტორინგი	D	მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტი ჩატარდა ორივე კომპანიაში, რომლებშიც მუნიციპალიტეტი ფლობს წილს, მუნიციპალიტეტი არ იყო აქტიურად ჩართული მათი ეფექტიანობის მონიტორინგში.
10.2 ადგილობრივი მთავრობის მონიტორინგი	NA	
10.3 პირობითი ვალდებულებები და სხვა ფისკალური რისკები	NA	

10.1 მუნიციპალური საწარმოების მონიტორინგი

99. ბათუმის მუნიციპალიტეტი ფლობს ერთ მუნიციპალურ საწარმოს ("ბათუმის ავტოტრანსპორტი") და წილს "ბათუმის წყალში" აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტი ჩატარდა ორივე კომპანიაში ("ბათუმის წყალი" 2014 და 2015 წლებისთვის ცალ-ცალკე) და ბათუმის ავტოტრანსპორტი 2014-2015 წლებისთვის ერთად, მუნიციპალიტეტი არ იყო აქტიურად ჩართული მათი ეფექტიანობის მონიტორინგში. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით 2018 წლის მაისში შეიქმნა მუნიციპალური დაწესებულებების კოორდინაციის განყოფილება, როგორც ქონების მართვის სამსახურის ნაწილი. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

10.2 ადგილობრივი მთავრობების მონიტორინგი

100. მუნიციპალიტეტთან მიმართებაში არარელევანტურია. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება NA.

10.3 პირობითი ვალდებულებები და სხვა ფისკალური რისკები

101. არანაირი პირობითი ვალდებულებები არ არსებობს მუნიციპალიტეტის შემთხვევაში. აღნიშნულ ქვეინდიკატორში ყველა დანარჩენი ფისკალური რისკი შეესაბამება ცენტრალურ მთავრობას და განხილულია ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის შესახებ დოკუმენტში, რომელიც თან ერთვის საქართველოს ბიუჯეტის კანონპროექტს. აღნიშნული არარელევანტურია ბათუმის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება NA.

PI-11. სახელმწიფო ინვესტიციები მართვა

100. ეს ინდიკატორი ეხება მთავრობის მიერ სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების ეკონომიკურ შეფასებას, შერჩევას, მათი ხარჯების შეფასებას და მონიტორინგს უდიდეს და ყველაზე მნიშვნელოვან პროექტებზე ფოკუსირებით. შეფასება ემყარება 2017 ფისკალურ წელს და მოიცავს ადგილობრივ მთავრობას.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-11 სახელმწიფო ინვესტიციების მართვა	B+	
11.1 საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი	A	ბათუმის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროექტების პორტფოლიოს დომინანტი საინვესტიციო პროექტის შეფასების მიზნით

		განხორციელდა ეკონომიკური ანალიზი.
11.2 საინვესტიციო პროექტების შერჩევა	C	ბიუჯეტში ასახვამდე ხდება მსხვილი საინვესტიციო პროექტების პრიორიტეტულობის განსაზღვრა, მაგრამ არა სტანდარტული კრიტერიუმების საფუძველზე.
11.3 საინვესტიციო პროექტების ღირებულება	B	საინვესტიციო პროექტების მთლიანი კაპიტალური ხარჯის პროგნოზები განხორციელების პერიოდისთვის, მომდევნო სამი წლის საერთო განმეორებით ხარჯებთან ერთად ყოველწლიურად აისახება საბიუჯეტო დოკუმენტებში.
11.4 საინვესტიციო პროექტების მონიტორინგი	A	საინვესტიციო პროექტების ღირებულების და ფიზიკური პროგრესის მონიტორინგი ხორციელდება მომსახურების შესყიდვით და მაკონტროლებელი უწყების მიერ. ინფორმაცია პროექტების განხორციელების შესახებ მზადდება კვარტალურად და ყოველწლიურად და წარედგინება საკრებულოს.

101. კაპიტალური / საინვესტიციო პროექტების ერთიანი ციკლის შემუშავების და განხორციელების მექანიზმების განსაზღვრის მიზნით, საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი შემუშავდა 2016 წელს და დამტკიცდა მთავრობის N 191 დადგენილებით (22 აპრილი, 2016). საინვესტიციო პროექტების მართვის დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის N165 ბრძანება (22 ივლისი, 2016)) დამტკიცდა აღნიშნული გზამკვლევის საფუძველზე. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად მოხდა აღნიშნული ბრძანებების გათვალისწინება.

11.1 საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი

102. ბათუმის მუნიციპალიტეტი ახორციელებს KFW-ის და თავად მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ კაპიტალური რეაბილიტაციის მრავალწლიან მასშტაბურ გეგმას. აღნიშნული საინვესტიციო გეგმა პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ფაქტიურად მთლიან საინვესტიციო

პორტფოლიოზე და მიეკუთვნება კატეგორიას "ძირითადი". KFW-ის მიერ დაფინანსებული ნაწილი ეხება ქალაქის წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის გაუმჯობესებას და განახლებას, ხოლო მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია მიწისზედა დამხმარე სამუშაოების (გზების რეაბილიტაცია და სხვა) დაფინანსებაზე. მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საინვესტიციო გეგმის განმახორციელებელ ორგანოს. დეტალური ეკონომიკური ანალიზი განხორციელდა KFW-ის მიერ დანახარჯების და მოგების სტანდარტული კრიტერიუმების დაცვით, რადგან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ელემენტი სრულიად შეესაბამება და ავსებს KFW-ის მიერ განხორციელებულ ელემენტს. პროექტის განხორციელების მიზნით ერთი ელემენტი დამოკიდებულია მეორეზე. ინვესტიციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საჯაროა. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

11.2 საინვესტიციო პროექტების შერჩევა

103. ბიუჯეტში გათვალისწინებამდე, საინვესტიციო პროექტის პრიორიტეტულობის განსაზღვრა ხდება მუნიციპალიტეტის სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად. პროექტის იდეა შესაძლოა მოდიოდეს მხარჯავი დაწესებულებებიდან ან მოსახლეობიდან. თუმცა, არ არსებობს სტანდარტული კრიტერიუმები⁴², რომლითაც იმართება პროცესი. არსებობს სტრუქტურული პროცესი, რომელიც მოიცავს პროექტის იდენტიფიკაციას, ტექნიკური პროექტის შემუშავებას და საჭიროებს / პროგრესის შეფასებას. ნომინირებული პროექტების შეთავაზება ხდება მერისთვის და საინვესტიციო პროექტებზე მომუშავე ჯგუფისთვის. პროექტების საბოლოო შერჩევა ეფუძნება იმას, თუ რამდენად შეესაბამება განსახილველი პროექტები მუნიციპალიტეტის პროგრამით განსაზღვრულ პრიორიტეტებს, რომლებიც დგინდება ბიუჯეტის ფორმირების პროცესის დასაწყისშივე, ხელმისაწვდომი სახსრების გამოყენების ალტერნატივების და ალტერნატიულ საპროექტო ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით. პროექტის ბიუჯეტში ასახვისთვის აუცილებელია დასრულდეს საპროექტო კვლევა და მომზადდეს სრული ხარჯთაღრიცხვა. ყველა განხორციელებული პროექტისთვის პრიორიტეტის მინიჭება მოხდა ამ გზით, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს რაიმე სტანდარტული კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე მოხდება აღნიშნული ინდიკატორის უფრო მაღალი შეფასება. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C.

11.3 საინვესტიციო პროექტების ღირებულება

104. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების გათვალისწინება დასაგეგმი წლისა და მომდევნო 3 წლისთვის ყოველწლიურად ხდება საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. განმეორებადი ხარჯების შედეგები გათვალისწინებულია ბიუჯეტში მთლიანი საბიუჯეტო წლისთვის და მომდევნო წლებისთვის, თუმცა არ ხდება მათი ჩაშლა ცალკეული პროექტებისთვის. საინვესტიციო დოკუმენტები მოიცავს მოცემული პროექტის როგორც მიმდინარე, ისე

⁴² აჭარის მთავრობა ამჟამად მუშაობს სტანდარტული კრიტერიუმების შემუშავებაზე

კაპიტალურ ხარჯებს. ეს დოკუმენტები წარმოადგენს საბიუჯეტო დოკუმენტაციის ნაწილს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

11.4 საინვესტიციო პროექტის მონიტორინგი

105. მუნიციპალიტეტს აქვს სპეციალური სამეთვალყურეო განყოფილება პროექტებისთვის. პროექტის განხორციელების მონიტორინგი, ფიზიკური (როგორცაა დანახარჯების მოცულობა, მაგალითად ბეტონის რაოდენობა, ხარისხი⁴³ და ღირებულება) და მატერიალური ხარჯების გათვალისწინებით, ხდება შესაბამისი საკონსულტაციო კომპანიების მომსახურების შესყიდვით, რომლებიც აწარმოებენ ყოველთვიურ ანგარიშებს. არსებობს მონიტორინგის სტანდარტული პროცედურები, როგორცაა ჟურნალების წარმოება, ფოტომასალის შეგროვება და ყოველდღიური ანგარიშების მომზადება. ფიზიკური პროგრესის მონიტორინგი ხორციელდება განხორციელების გრაფიკთან მიმართებაში⁴⁴. ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული და დაცულია. ხარჯების მონიტორინგი ხდება ბიუჯეტთან მიმართებაში იმისათვის, რომ გამოვლინდეს სახსრების გადახარჯვა და უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი პრობლემის დროულად აღმოფხვრა. ანგარიშფაქტურებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მათი საფინანსო სამსახურისთვის წარდგენამდე, საჭიროებს დამოწმებას და გადახდის განხორციელებამდე მერმა უნდა გასცეს გადახდის სერთიფიკატი. პროექტის დასრულების შემდეგ ხარისხის გარანტია უზრუნველყოფილია კონტრაქტის საგარანტიო პროცენტის (2.5%) დაკავებით პროექტის დასრულებიდან 2 წლის ვადით. 100,000 ლარზე ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტების მონიტორინგს აწარმოებს ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური მსგავსი, თუმცა შედარებით მარტივი პროცედურების გამოყენებით.

106. საკრებულოსთვის წარდგენილი და გამოქვეყნებულია შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები. ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული წლიური ანგარიში მოიცავს კაპიტალური პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ ეფექტიანობის ინდიკატორებს. აღნიშნული ანგარიში წარედგინება მერს, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშს წარუდგენს საკრებულოს განსახილველად, ხოლო საკრებულო გამართავს შეხვედრებს. აღნიშნული ინფორმაციის შეჯამება ხდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-12. სახელმწიფო აქტივების მართვა

107. ეს ინდიკატორი აფასებს სახელმწიფო აქტივების მართვას და მონიტორინგს და აქტივების განკარგვის გამჭვირვალობას. შეფასება ეფუძნება 2016 ფისკალური წლის მონაცემებს. 12.2

⁴³ საჭიროების შემთხვევაში, ლაბორატორიული ანალიზის გამოყენება

⁴⁴ საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელს აქვს ქალაქის რუკა, რომელზეც დატანილია ფერადი კოდებით აღნიშნული პროექტები მათი კონტრაქტორების და პროგრესის მიხედვით.

ქვეინდიკატორი მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს, ხოლო 12.3 ქვეინდიკატორი - ადგილობრივი მთავრობის ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-12 სახელმწიფო აქტივების მართვა	B	
12.1 ფინანსური აქტივების მონიტორინგი	C	მუნიციპალიტეტი აწარმოებს მის მფლობელობაში არსებული აქტივების აღრიცხვას ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიაში, რომლებიც აღიარებულია მათი შესყიდვის ღირებულებით და იშვიათ შემთხვევებში, საბაზრო (რეალური) ღირებულებით. ინფორმაცია ფინანსური აქტივების ძირითადი კატეგორიების ეფექტიანობის შესახებ ქვეყნდება ყოველწლიურად.
12.2 არაფინანსური აქტივების მონიტორინგი	C	მუნიციპალიტეტი ახდენს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების რეგისტრაციას და აგროვებს ნაწილობრივ ინფორმაციას მათი გამოყენების და ხანდაზმულობის შესახებ.
12.3 აქტივების განკარგვის გამჭვირვალობა	A	განსაზღვრულია პროცედურები და წესები ფინანსური და არაფინანსური აქტივების გადაცემის ან გასხვისებისთვის. მუნიციპალური ქონების მართვის სააგენტო იძლევა დეტალურ ინფორმაციას თითოეული ტრანზაქციის შესახებ. დეტალური ანგარიში თითოეულ აქტივზე საჯაროა.

12.1 ფინანსური აქტივების მონიტორინგი

108. ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს კანონით სახელმწიფო ვალის შესახებ, საქართველოს კანონით საგადასახადო ვალდებულებების და სახელმწიფო სესხების, რესტრუქტურის შესახებ და ა.შ. ფინანსური აქტივები მოიცავს სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორცაა სესხები, წილი საწესდებო კაპიტალში და ა.შ. მუნიციპალიტეტის ხაზინა პასუხისმგებელია შიდა და გარე საკრედიტო რესურსების მიერ გაცემული სესხების აღრიცხვაზე და მონიტორინგზე. წილი სააქციო კაპიტალში აღრიცხულია მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებებში, ძირითადად განხორციელებული შენატანის მოცულობით. ფინანსური მონაცემები სესხების შესახებ მთავრობის ფინანსური სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს შესაბამისად (GFSM 2001) წარმოდგენილია წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

109. მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს ინფორმაციას ფინანსური აქტივების შესახებ. თუმცა, ბათუმში არ ხდება მუნიციპალური საწარმოების ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება, შესაბამისად, აღნიშნული არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული ანგარიშგებები წარედგინება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ფისკალური წლის დასრულების შემდეგ აპრილის ბოლოს. ფინანსური აქტივების ძირითადი კატეგორიები აღირიცხება ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, რომლებიც ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. ფინანსური აქტივები ძირითადად ფასდება თავდაპირველი ღირებულებით და იშვიათ შემთხვევებში რეალური (საბაზრო) ღირებულებით. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C.

12.2 არაფინანსური აქტივების მონიტორინგი

110. არაფინანსური აქტივები აღირიცხება სხვადასხვა რეესტრებში ღირებულების გარეშე - აღრიცხვის, შენახვის და ტექნიკური მომსახურების მიზნებისთვის. ეს რეესტრები შეიცავს ისეთ მოძრავ აქტივებს და ძირითად საშუალებებს როგორებიცაა, მიწა და შენობები, კულტურული მემკვიდრეობის აქტივები (ხელოვნების ნიმუშები, ძეგლები და ა.შ.), ინფრასტრუქტურული აქტივები (ხიდები, გზები, და ა.შ.) და ასევე სხვა აქტივები როგორებიცაა მაგიდები, კომპიუტერები და სატრანსპორტო საშუალებები.

111. არაფინანსური აქტივების ღირებულების განსაზღვრის მიზნით ძირითადად გამოიყენება შესყიდვის ღირებულება. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება რეალური (საბაზრო) ღირებულება, მაგალითად, სარეალიზაციო მიზნებისთვის, რაც არ იძლევა ყოვლისმომცველ და ზუსტ ინფორმაციას ღირებულების შესახებ. ფინანსური მონაცემები არაფინანსური აქტივების შესახებ (საწყისი ღირებულება, დარიცხული ცვეთა, ნარჩენი საბალანსო ღირებულება და ა.შ.) მუნიციპალიტეტის დონეზე მოცემულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც მომზადებულია მთავრობის ფინანსური სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს შესაბამისად (GFSM 2001). ქვევით მოცემული ცხრილი გვიჩვენებს არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და მათ მართვას GFSM 2001 მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ცხრილი 12.2 არაფინანსური აქტივების მართვა

არაფინანსური აქტივების კატეგორიები	არაფინანსური აქტივების ქვეკატეგორიები	სად ინახება ინფორმაცია?	შენიშვნა
ძირითადი აქტივები	შენობები და ნაგებობები	მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებებში	reestri.gov.ge აწარმოებს შენობა-ნაგებობების აღრიცხვას. ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივები შეიძლება შეფასდეს ნეტო-კაპიტალის ღირებულებით, რომელიც არ შეესაბამება თავის რეალურ (საბაზრო) ღირებულებას.

არაფინანსური აქტივების კატეგორიები	არაფინანსური აქტივების ქვეკატეგორიები	სად ინახება ინფორმაცია?	შენიშვნა
ფასეულობა	ძვირფასი ქვები და ლითონები, ხელოვნების ნიმუშები და სხვა ფასეულობები	მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებებში	როგორც წესი, ის არ მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის აქტივებს (ხელოვნების ნიმუშებს, ძეგლებს), რომელთაც არ აქვთ შესაბამის რეესტრებში მითითებული ღირებულება
არაწარმოებული აქტივები	მიწა	მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებებში	www.reestri.gov.ge აღრიცხავს ინფორმაციას მიწის საკუთრების შესახებ
მოდრავი ქონება	მანქანები ავეჯი, კომპიუტერი და სხვა.	მანქანების ჩამონათვალი ხანდაზმულობის მიხედვით	მერია

112. აქტივების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სხვადასხვა სარეგისტრაციო ჟურნალში და რეესტრში და მათი ასაკის დადგენა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როდის მოხდა მათი სარეგისტრაციო ჟურნალში და რეესტრში აღრიცხვა. არაწარმოებული აქტივების საჯარო რეესტრი არ შეიცავს ინფორმაციას მათი ღირებულებების შესახებ. იგივე ვრცელდება მანქანებზეც. აქტივების ფასეულობის შესახებ აღრიცხვები ეფუძნება ღირებულებას და არ ასახავს რეალურ (საბაზრო) ღირებულებას. აღრიცხვა არ არის საჯარო. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C.

12.3 აქტივების განკარგვის გამჭვირვალობა

113. აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მერი. განსაკარგი აქტივების ჩამონათვალს, რომლებზეც უნდა გამოცხადდეს აუქციონი, ამტკიცებს საკრებულო. აქტივების განკარგვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურს, რომელიც ამზადებს წლიურ სამოქმედო გეგმას, ბიუჯეტს და ანგარიშვალდებულია მიღწეულ შედეგებზე გეგმასთან მიმართებაში. ეს გეგმები და ანგარიშები წარმოადგენს ბიუჯეტის მომზადების და შესრულების შესახებ მომზადებული დოკუმენტების ნაწილს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს. გარდა ამისა, სამსახური ამზადებს სპეციალურ ანგარიშებს ადმინისტრაციისთვის და საკრებულოსთვის.

114. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონი ადგენს აქტივების განკარგვის წესებსა და პროცედურებს და ის ხელმისაწვდომია ვებგვერდზე⁴⁵. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ყიდის მუნიციპალური ქონების უდიდეს ნაწილს ელექტრონული აუქციონის ფორმით, კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. ეროვნული ბიურო რჩევის სახით აწვდის

⁴⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112588>

საწყის ფასს. აუქციონის საჯაროობა უზრუნველყოფილია ვებგვერდის და ელექტრონული აუქციონების საშუალებით. ინფორმაცია პრივატიზაციას დაქვემდებარებული მნიშვნელოვანი ობიექტების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია ასევე მედიასაშუალებებით. განკარგვას დაქვემდებარებული აქტივების შესახებ ანგარიში მოიცავს დეტალურ აღწერას, ფოტო მასალას, ასევე ინფორმაციას აქტივის ზომის (ფართობი), გამოყენების პირობების, საწყისი ფასის, აუქციონის ჩატარების თარიღის, გადახდის პირობების და სხვა დეტალების შესახებ. აუქციონის შესახებ ანგარიში საჯაროა და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე⁴⁶. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-13. ვალის მართვა

115. ეს ინდიკატორი აფასებს საშინაო და საგარეო ვალის და გარანტიების მართვას. ის განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ეფექტური და ეფექტიანი მექანიზმებისთვის დამახასიათებელი მართვის პრაქტიკა, სააღრიცხვო დოკუმენტები და კონტროლის სისტემები. შეფასების პერიოდი მოიცავს: 13.1 ქვეინდიკატორისთვის შეფასების პერიოდს. 13.2 ქვეინდიკატორისთვის - გასულ, დასრულებულ 2016 ფისკალურ წელს, ხოლო 13.3 ქვეინდიკატორისთვის - გასულ სამ ფისკალურ წელს. შეფასება მოიცავს ადგილობრივ მთავრობას.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების მეთოდი M2)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-13 ვალის მართვა	B	
13.1 ვალის და გარანტიების აღრიცხვა და ანგარიშგება	B	ვალის შესახებ აღრიცხვები არის სრული, ზუსტი, განახლებული ყოველი გადახდის ან ვალის აღების მომენტში. მენეჯერული და სტატისტიკური ყოვლისმომცველი ანგარიშები ვალის მომსახურების, დაგროვილი ვალის და ოპერაციების შესახებ მზადდება კვარტალში ერთხელ.
13.2 ვალის და გარანტიების დამტკიცება	A	ძირითადი კანონმდებლობა ვალის მართვაზე პასუხისმგებელ ერთადერთ სუბიექტს ანიჭებს უფლებამოსილებას აიღოს სესხი, გასცეს ახალი ვალი და გასცეს სასესხო გარანტიები ადგილობრივი მთავრობის სახელით. დოკუმენტური სახით არსებული პოლიტიკა და პროცედურები იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს სესხის აღებასთან, ახალი სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიასთან და ვალთან

⁴⁶ www.eauction.ge

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების მეთოდი M2)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
		დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად, სასესხო გარანტიების გასაცემად და ვალის მართვის ოპერაციის მონიტორინგისთვის ვალის მართვის ერთადერთი სუბიექტის მიერ. წლიური ნასესხები სახსრები დამტკიცებულ უნდა იქნეს მთავრობის ან საკანონმდებლო ორგანოს მიერ.
13.3 ვალის მართვის სტრატეგია	D	მუნიციპალიტეტის მიერ ვალის აღება-მომსახურების შესაძლებლობების შეფასებას ახორციელებს საკრედიტო სააგენტოები. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ვალის მართვის სტრატეგია.

116. "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო ვალთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და საშინაო და საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილებას და ადგენს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებების თანახმად, საგარეო და საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებული ყველა ქმედება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების სამსახურის მიერ.

13.1 ვალის და გარანტიების აღრიცხვა და ანგარიშგება

117. მუნიციპალიტეტის სახაზინო სამსახური ფლობს სრულ და განახლებულ ინფორმაციას მისი ვალის შესახებ. შეფასების მომენტისთვის მუნიციპალიტეტს ქონდა ორი სესხი: i) ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი სსიპ "მუნიციპალური განვითარების ფონდი"-სგან; და ii) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებული კრედიტი იმავე პირობებით, რომლითაც მოხდა KFW-ის მიერ პირველადი სესხის გაცემა.

118. საკრედიტო ხელშეკრულებები დროულად რეგისტრირდება. გადასახადების გრაფიკი მოცემულია MS Excel-ის მარტივ მონაცემთა ბაზაში. პროცენტის და ძირის გადახდების შესახებ ანგარიში მზადდება კვარტალური ანგარიშგების მოთხოვნის საფუძველზე.

119. გადახდები წარმოებს კვარტალურად მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხზე. რაც შეეხება KFW-ის სესხს, ის წარმოადგენს საკრედიტო ხაზს და მისი გამოყენება ხდება მიმწოდებლებისთვის გადახდების საფუძველზე. ფინანსთა სამინისტრო მომსახურების მიმწოდებლებს უხდის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით. მუნიციპალიტეტი უნაზღაურებს

ფინანსთა სამინისტროს გადახდილ თანხებს და ახდენს გადახდებს შეჯერებას KFW-ისგან მიღებულ ყოველთვიურ ანგარიშგებაში. მონაცემთა შეჯერება წარმოადგენს კვარტალში ერთხელ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

13.2 ვალის და გარანტიების დამტკიცება

120. სახელმწიფო ვალის მართვასთან, სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან და ვალის გადასესხებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ (1998 წელი), საქართველოს კანონით „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (1997), საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს კანონით „საგადასახადო ვალდებულებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურისა და რეგულირების შესახებ“ (2004) და ეკონომიკური თავისუფლების აქტით.

121. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (მინისტრის საშუალებით) აქვს განსაკუთრებული და ექსკლუზიური უფლება და პასუხისმგებლობა, საქართველოს მთავრობის თანხმობით (პარლამენტის საშუალებით)⁴⁷ საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციით: ა) გააფორმოს ხელშეკრულებები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ; ბ) საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით, რომელიც გამოეყოფათ საქართველოს ეკონომიკურ აგენტებს საკუთრების ფორმისა და სამეურნეო საქმიანობის მიუხედავად (მუხლი 2.2). საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს საგარეო ვალების მომსახურებას, იღებს გადაწყვეტილებებს საგარეო სესხების მოზიდვის შესახებ, აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოელ კრედიტორებთან, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტებს სესხის აღების შესახებ, აღრიცხავს და იყენებს ნასესხებ თანხებს (მუხლი 2.3). ამასთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო სამინაო ვალის მართვას უზრუნველყოფს მისი დაფარვის ორგანიზაციით და აღრიცხვით, პროცენტის განსაზღვრით და გადახდით, აგრეთვე სხვა ოპერაციების განხორციელებით (მუხლი 13).

122. ადგილობრივი მთავრობის ვალების და მუნიციპალური გარანტიების გაცემის დამატებითი რეგულაციები განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით (2014). მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ კრედიტის აღება მხოლოდ ცენტრალური მთავრობის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. სესხები უნდა დაამტკიცოს საკრებულომ (მუხლი 68). სესხის აღება შეიძლება მხოლოდ საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტების დასაფინანსებლად. მუნიციპალიტეტის საკრედიტო ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს ბოლო სამი წლის საშუალო წლიური შემოსავლის 10%-ს. აღნიშნული ლიმიტის გადაცდომის ალბათობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი საჭიროებს ცენტრალური მთავრობის თანხმობას და დამატებითი სესხის

⁴⁷ ევრობონდების გარდა

აღება შესაძლებელია მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისგან. კანონი კრძალავს მუნიციპალიტეტების მიერ მუნიციპალური ქონების იპოთეკით დატვირთვას. მუნიციპალური გარანტიის გასაცემად საჭიროა ცენტრალური მთავრობის წინასწარი თანხმობა (მუხლი 100). ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

13.3 ვალის მართვის სტრატეგია

123. მუნიციპალიტეტის მიერ ვალის აღება-მომსახურების შესაძლებლობების შეფასებას ახორციელებს საკრედიტო სააგენტოები. ბათუმის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ვალის მართვის სტრატეგია. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

მეოთხე ბლოკი: პოლიტიკაზე დაფუძნებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება

PI-14. მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება

124. ეს ინდიკატორი აფასებს ქვეყნის უნარს შეიმუშაოს საიმედო მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზები, რომელთაც გააჩნიათ გადამწყვეტი მნიშვნელობა მდგრადი საბიუჯეტო სტრატეგიის შემუშავებისა და საბიუჯეტო ასიგნებების უფრო მაღალი პროგნოზირებადობის უზრუნველყოფისთვის. ის ასევე განიხილავს მთავრობის უნარს შეაფასოს ეკონომიკური პირობების შესაძლო ცვლილებებით გამოწვეული ფინანსური შედეგები. შეფასების პერიოდი მოიცავს გასულ სამ ფისკალურ წელს. ქვეინდიკატორი 14.1 მოიცავს მთლიან ეკონომიკას, ხოლო ქვეინდიკატორები 14.2 და 14.3 - ცენტრალურ მთავრობას.

125. ამ ინდიკატორის ბუნებიდან გამომდინარე, PEFA-ს თვალსაზრისით ის არარელევანტური ადგილობრივი მთავრობისთვის, რადგან ეს პროგნოზები ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს მიერ და შესულია ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში, და ასახულია როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტში.⁴⁸

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების მეთოდი M2 AV)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-14 მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	NA	
14.1: მაკროეკონომიკური პროგნოზები	NA	
14.2 ფისკალური პროგნოზები	NA	
14.3 მაკროფისკალური სენსიტიურობის ანალიზი	NA	

PI-15. ფისკალური სტრატეგია

126. ეს ინდიკატორი ითვალისწინებს მკაფიო ფისკალური სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების შესაძლებლობის ანალიზს. ის ასევე აფასებს შემოსავლებთან და ხარჯებთან

⁴⁸ უახლესი CG PEFA PI-14 შეფასება: A

დაკავშირებული პოლიტიკის ცვლილების ფისკალური ზემოქმედების შესწავლის უნარს, რომელიც ხელს უწყობს მთავრობას ფისკალური მიზნების მიღწევაში. შეფასების დროის პერიოდი 15.1 ქვეინდიკატორისთვის არის უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წელი, ხოლო 15.2 და 15.3 ქვეინდიკატორისთვის - გასული დასრულებული ფისკალური წელი. შეფასება მოიცავს ადგილობრივ მთავრობას.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების მეთოდი M2 AV)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-15: ფისკალური სტრატეგია	B	
15.1 პოლიტიკის ცვლილების ფისკალური გავლენა	D	ბიუჯეტის მომზადების პროცესში საბიუჯეტო და მომდევნო წლებისთვის ხდება პოლიტიკისა და პროგრამების ცვლილების შედეგად მიღებული ყველა შემოსავლის და ხარჯების რაოდენობრივი შეფასება აგრეგირებულ დონეზე, და არ ხდება მათი შეფასება ცალკეული პროექტების მიხედვით.
15.2 ფისკალური სტრატეგიის მიღება/დამტკიცება	A	მუნიციპალიტეტმა მიიღო, საკრებულოს წარუდგინა და გამოაქვეყნა საბიუჯეტო წლის მიმდინარე ფისკალური სტრატეგია.
15.3 ანგარიშგება ფისკალური შედეგების შესახებ	A	მუნიციპალიტეტი ამზადებს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას ფისკალურ სტრატეგიასთან მიმართებაში მიღწეული პროგრესის შესახებ.

15.1 პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული ფისკალური ზემოქმედება

127. ბიუჯეტის მომზადების პროცესში საბიუჯეტო და მომდევნო წლებისთვის ხდება პოლიტიკისა და პროგრამების ცვლილების შედეგად მიღებული ყველა ხარჯის რაოდენობრივი შეფასება აგრეგირებულ დონეზე. საინვესტიციო პოლიტიკის ფისკალური გავლენა აისახება ბიუჯეტში. პროექტის კაპიტალური ხარჯები განსაზღვრულია მთლიანად პროგრამისთვის და არა ცალკეული პროექტებისთვის (როგორც ეს 11.3 ინდიკატორშია მითითებული). თითქმის არ არსებობს, ან არსებობს უმნიშვნელო მასშტაბით, განმეორებად ხარჯებზე გავლენის მქონე პოლიტიკის ცვლილების შემთხვევები. წარსულში დაფიქსირებულა განმეორებადი ხარჯების, როგორცაა სოციალური სუბსიდიები სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის, ზრდა, თუმცა ასეთი შემთხვევები წარმოადგენს უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მხოლოდ წარსულში. მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურის გათვალისწინებით, პოლიტიკის შეცვლის უნარი შეზღუდულია. შემოსავლების ცვლილების

შედეგად გადასახადებში და მოსაკრებლებში დაფიქსირებული ნებისმიერი ცვლილება (რაც საერთო შემოსავლის 5%-ზე ნაკლებია) ასახულია ბიუჯეტში და დამხმარე დოკუმენტებში.

128. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ცვლილების ფისკალური ზემოქმედება გათვალისწინებულია საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, ეს უკანასკნელი არ მოიცავს შემაჯამებელ ცხრილს, რომელშიც თითოეული მათგანი ინდივიდუალურად არის განსაზღვრული. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

15.2 ფისკალური სტრატეგიის მიღება / დამტკიცება

129. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტებს ეკრძალებათ სესხის აღება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მიზნით. პროგნოზირებადი დეფიციტის დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ არსებული დანაზოგიდან. ეს არის მუნიციპალიტეტის ერთგვარი ფისკალური წესი. ბიუჯეტის მომზადების პროცესი ითვალისწინებს შემოსავლების და ხარჯების შესახებ დეტალურ და რაოდენობრივ ინფორმაციას და შედეგობრივ ფისკალურ ბალანსს საბიუჯეტო და მომდევნო ორი წლისთვის. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ბიუჯეტში და ბიუჯეტის დამატებითი პრიორიტეტების დოკუმენტში და წარდგენილია საკრებულოსთვის. ბიუჯეტი მოიცავს ფისკალურ სტრატეგიას, რომელიც შეთავაზებულია და დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მიერ. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

15.3 ანგარიშგება ფისკალური შედეგების შესახებ

130. ბიუჯეტის ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები მოიცავს საბიუჯეტო ბალანსს, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ ფისკალურ "პოლიტიკას". არ არსებობს მკაფიო ამოცანები, გარდა მიმდინარე დეფიციტის დაფინანსების მიზნით სესხის არგაცემის წესის დაცვა. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-16. ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში

131. ეს ინდიკატორი იკვლევს, საშუალოვადიანი ბიუჯეტი შემუშავდა თუ არა საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერების ფარგლებში. ის ასევე იკვლევს, წლიური ბიუჯეტები ეყრდნობა თუ არა საშუალოვადიან პროგნოზებს და როგორია შესაბამისობის ხარისხი საშუალოვადიან საბიუჯეტო პროგნოზებსა და სტრატეგიულ გეგმებს შორის. 16.1, 16.2 და 16.3 ქვეინდიკატორების შეფასება ეფუძნება საკანონმდებლო ორგანოსთვის ბოლოს წარდგენილ 2018 წლის ბიუჯეტს. ხოლო 16.4 ქვეინდიკატორისთვის - საკანონმდებლო ორგანოსთვის ბოლოს წარდგენილ 2017 წლის ბიუჯეტს. ქვეინდიკატორი ფარავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების მეთოდი M2 AV)		
ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	2017 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება

PI-16 ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში	C+	
16.1 ხარჯების საშუალოვადიანი შეფასება/გაანგარიშება	A	წლიური ბიუჯეტი წარმოადგენს ხარჯების გაანგარიშებას საბიუჯეტო წლისთვის და მომდევნო ორი ფისკალური წლისთვის, რომლებიც განაწილებულია ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პროგრამული (ან ფუნქციონალური) კლასიფიკაციით.
16.2 საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერები	D	აგრეგირებული საბიუჯეტო ჭერები და საბიუჯეტო ორგანიზაციის დონეზე საბიუჯეტო ჭერები დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მიერ მხოლოდ საბიუჯეტო წლისთვის და გამოყენებულია საბოლოო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.
16.3 სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისობა	B	არსებობს სტრატეგიული გეგმები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციების პრიორიტეტების და მათი რეალიზებისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ.
16.4 ბიუჯეტების შესაბამისობა გასულ წელს გაკეთებულ პროგნოზთან	D	გასულ წელს მომზადებული საშუალოვადიანი ხარჯების პროგნოზის (MTEF) მეორე წელსა და მომდევნო წელს გაკეთებულ (MTEF) ბიუჯეტს შორის ცვლილებების რაოდენობა არ არის შეფასებული. საბიუჯეტო ორგანიზაციები იკვლევენ, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსრულებლობა ბიუჯეტის მომზადების პროცესში.

16.1 ხარჯების საშუალოვადიანი შეფასება/გაანგარიშება

132. 2018 - 2021 წლების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი, როგორც 2018 წლის საბიუჯეტო დოკუმენტაციის ნაწილი, იძლევა შეფასებას საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლისთვის ეკონომიკური, ადმინისტრაციული ორგანოების და მათი პროგრამების შესახებ. თუმცა, წლიური ბიუჯეტი თავისთავად მოიცავს მხოლოდ საბიუჯეტო წელს, რამდენადაც ის იძლევა მხოლოდ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ხარჯვის ავტორიზაციას. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

16.2 . საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერები

17 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირება რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველ რიგში, საბიუჯეტო ორგანიზაციები ამზადებენ და წარადგენენ ბიუჯეტის პროექტებს წინასწარი საბიუჯეტო ჭერების საფუძველზე, რომელთაც ადგენს საფინანსო სამსახური სავარაუდო შემოსავლების შესახებ მისი შეფასებების საფუძველზე. საბიუჯეტო ცირკულარის გაცემა ხდება საბიუჯეტო ჭერებით თითოეული მხარჯავი ორგანიზაციისთვის მხოლოდ საბიუჯეტო წლისთვის. ბიუჯეტის საბოლოო პროექტები ეფუძნება აღნიშნულ ჭერებს, რომელთა კორექტირება ხდება კაპიტალური ტრანსფერების შესახებ საბოლოო ინფორმაციის მიღებისთანავე.

18 საბიუჯეტო ცირკულარი განსაზღვრავს ხარჯებს პროგრამებზე საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლის პერიოდისთვის, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე დარყდნობით. თუმცა, ისინი არ ეფუძნება ჭერებს, რომლებიც განსაზღვრავს რესურსების სტრატეგიულ განაწილებას, არამედ წარმოადგენენ სავარაუდო აგრეგირებული შემოსავლების და გასავლების მხოლოდ პროგნოზს. ისინი არ მტკიცდება საკრებულოს მიერ. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

16.3. სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისობა

133. საშუალოვადიან პერიოდში პროგრამებთან დაკავშირებული საჯარო ფინანსების ძირითადი მოწყობის წესი განისაზღვრება საბიუჯეტო კოდექსით. აღნიშნული ეფუძნება მთელ რიგ ცალკეულ ელემენტებს, როგორცაა: ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა, ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება, რესურსების მართვა. ნებისმიერი პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ხარჯების სწორი გაანგარიშება და მათი ასახვა ბიუჯეტში. შესაბამისად, კანონმდებლობით⁴⁹ განსაზღვრულია, რომ პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებში აუცილებელია აისახოს შესაბამისი ფინანსური გათვლები, სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს თან უნდა ახლდეს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დამყარდა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კავშირი პოლიტიკის დოკუმენტებსა და წლიურ ბიუჯეტს შორის. აღნიშნულს ხელი შეუწყო პროგრამული (შედეგზე ორიენტირებული) ბიუჯეტირების შემოღებამ და დანერგვამ.

134. პროგრამული ბიუჯეტის განახლებული მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ დეტალური საშუალოვადიანი (4 წლიანი) სამოქმედო გეგმების მომზადებას, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები და შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონს და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს. აღნიშნული ეტაპები უზრუნველყოფს მჭიდრო კავშირს

⁴⁹„საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება (2015 წლის 19 აგვისტოს N427 დადგენილება; “პროგრამული ბიუჯეტის შედგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება.

პოლიტიკის დოკუმენტებს, დარგობრივ სტრატეგიებსა და ბიუჯეტებს შორის. ბათუმის პრიორიტეტების დოკუმენტიდან ჩანს, რომ აღნიშნული მეთოდოლოგია დაცულია და დარგობრივი სტრატეგიები შემუშავებული ყველა პროგრამისთვის. მუნიციპალური სამსახურების და გამგეობების (საბიუჯეტო ორგანიზაციები) მიერ ჯერ კიდევ არ შემუშავებულა დარგობრივი გეგმები მათი დარგობრივი სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შესახებ, თუმცა თითოეული პროგრამა ეფუძნება საკუთარ სტრატეგიულ მიზნებს. ამ პროგრამების ღირებულება განისაზღვრება ბიუჯეტში და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში პროგრამის ეკონომიკური კატეგორიებისთვის განსაზღვრული შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებით. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

16.4 ბიუჯეტის შესაბამისობა გასულ წელს გაკეთებულ პროგნოზთან

135. გასულ წელს მომზადებული საშუალოვადიანი ხარჯების პროგნოზის (MTEF) მეორე წელსა და მომდევნო წელს გაკეთებულ (MTEF) ბიუჯეტს შორის განსხვავებები არ არის შეფასებული. ბიუჯეტის მომზადების პროცესში საბიუჯეტო ორგანიზაციები იკვლევენ, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსრულებლობა ბიუჯეტის მომზადების პროცესში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

PI-17. ბიუჯეტის მომზადების პროცესი

136. ეს ინდიკატორი აფასებს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ეფექტურობას ბიუჯეტის მომზადების პროცესში, მათ შორის პროცესში მონაწილე პირების ჩართულობის თანამიმდევრულობასა და დროულობას. 17.1 და 17.2 ქვეინდიკატორებისთვის შეფასების დროის პერიოდი არის საკანონმდებლო ორგანოში ბოლო ბიუჯეტის წარდგენის დრო, ხოლო 17.3 ქვეინდიკატორისთვის - უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორი ფარავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების მეთოდი M2 AV)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-17: ბიუჯეტის მომზადების პროცესი	B	
17.1 საბიუჯეტო კალენდარი	B	საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოა და სრულდება. ის საშუალებას აძლევს საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბიუჯეტო ცირკულარის მიღებიდან 5 კვირის ვადაში გონივრულად და დროულად დაასრულონ თავიანთი დეტალური საპროგნოზო გამოთვლები.

17.2 ბიუჯეტის მომზადების ინსტრუქციები	A	საბიუჯეტო ცირკულარი ყოვლისმომცველია და მოიცავს ფისკალური წლის მთლიან ხარჯებს. საბიუჯეტო ცირკულარში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭერები მტკიცდება ცირკულარის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გავრცელებამდე.
17.3 ბიუჯეტის წარდგენა საკანონმდებლო ორგანოში	C	წლიური ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ორგანოში წარადგინა წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 კვირის ვადაში, ყოველწლიურად ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში.

17.1. საბიუჯეტო კალენდარი

137. ადგილობრივი ხელისუფლებისთვის საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოდ არის განსაზღვრული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლები 65-80, IV ნაწილი). საბიუჯეტო კალენდარი⁵⁰, რომელიც მიჰყვება საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ პირობებს, მიუთითებს მუნიციპალიტეტისთვის შესაბამის თარიღებს.

- 1-ელ მარტამდე მერის დადგენილებით განისაზღვრება ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის საჭირო საქმიანობები. აღნიშნულ დადგენილებაში დეტალურად არის აღწერილი, თუ როდის უნდა წარმოადგინონ უწყებებმა ინფორმაცია, როდის უნდა გაიმართოს საჯარო შეხვედრები, რა ფორმები უნდა იქნას შევსებული და ა.შ. აღნიშნულ პროცესში ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს სტრატეგიული გეგმა (დეპარტამენტების გეგმების ჩათვლით), მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და წლიური ბიუჯეტი. იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი საბიუჯეტო და მომდევნო სამი ფისკალური წლისთვის.
- 15 მარტამდე უწყებამ უნდა განიხილოს მისი სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა წინა წლის მიღწევებთან დაკავშირებით.
- 5 მაისისთვის უნდა დასრულდეს სტრატეგიული გეგმების განახლება.
- 20 მაისისთვის უნდა გადაიხედოს უწყების სამოქმედო გეგმები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციების გზით.
- 25 მაისს, განხილვის შემდეგ, პროგრამები წარედგინება საფინანსო სამსახურს.
- 10 ივნისისთვის საფინანსო სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის წინასწარ პროექტს, სადაც ასახული იქნება სტრატეგიული გეგმები და მას მერი წარუდგენს საკრებულოს. კომენტარების წარმოდგენისთვის საკრებულოს აქვს 20 დღე.

⁵⁰ ბათუმის მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს ფაქტიურ კალენდარს, სადაც დეტალურად არის აღწერილი ბიუჯეტის მომზადების პროცესში მისაღები ქმედებები თვეების მიხედვით.

- 15 ივლისისთვის მუნიციპალიტეტი ფინანსთა სამინისტროსგან იღებს BDD-ის პროექტს, სადაც მოცემულია ინფორმაცია მაკრო/ფისკალურ პროგნოზებზე, შემოსავლების პროგნოზებსა და გათანაბრებით გრანტებზე.
- 25 ივლისისთვის შემუშავდება პრიორიტეტების დოკუმენტის განახლებული პროექტი მიღებული კომენტარების და მერის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ჭერების გათვალისწინებით.
- 1 აგვისტოს გაიცემა საბიუჯეტო ცირკულარი კაპიტალური და მიმდინარე საბიუჯეტო ჭერების ჩათვლით.
- 5 სექტემბრისთვის მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებები წარმოადგენენ ბიუჯეტის პროექტებს.
- 15 სექტემბრისთვის დაინტერესებულ მხარეებთან იმართება დამატებითი კონსულტაციები.
- 5 ოქტომბერს მუნიციპალიტეტი ფინანსთა სამინისტროსგან იღებს ინფორმაციას ტრანსფერების შესახებ.
- 5 ნოემბერს მუნიციპალიტეტი აჭარისგან იღებს ინფორმაციას კაპიტალური ტრანსფერების შესახებ.
- 10 ნოემბრისთვის მომზადდება ბიუჯეტის პროექტი და ტრანსფერების გათვალისწინებით მოხდება მისი კორექტირება. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მერსა და უწყებებს შორის და ყურადღება ძირითადად მახვილდება კაპიტალურ პროექტებზე.
- 15 ნოემბრამდე მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის პროექტს.
- 15 ნოემბერს ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი წარედგინება საკრებულოს.

138. საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოა და სრულდება. ის საშუალებას აძლევს საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბიუჯეტო ცირკულარის მიღებიდან ხუთი კვირის ვადაში გონივრულად და დროულად დაასრულონ თავიანთი დეტალური საპროგნოზო გამოთვლები. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

17.2. ბიუჯეტის მომზადების ინსტრუქციები

139. ბიუჯეტის მომზადების პროცესი სრულყოფილად მიმდინარეობს. ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შემოსავლების პროგნოზებისა და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის საფუძველზე, ბიუჯეტის პირველადი პროექტი განიხილა ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფმა. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ჭერები გაიცემა თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის. საბიუჯეტო ჭერებზე დაყრდნობით საბიუჯეტო ცირკულარი გაიცემა ყველა მხარჯავი დაწესებულებისთვის.

140. საბიუჯეტო ცირკულარი მზადდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 77.4) და ის გასაგები და ყოვლისმომცველია. ის მოიცავს მუნიციპალიტეტის მთლიან ხარჯებს ფისკალური წლისთვის და საბიუჯეტო ჭერებს თითოეული მხარჯავი დაწესებულებისთვის. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

17.3. ბიუჯეტის წარდგენა საკანონმდებლო ორგანოსთვის

141. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77.7 მუხლის თანახმად, 15 ნოემბრამდე მუნიციპალიტეტმა საკრებულოს უნდა წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი. გასული ბოლო სამი წლის ბიუჯეტები წარმოდგენილია დროულად.

ცხრილი 17.3 საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის წარდგენის თარიღი

წელი	წარდგენის თარიღი
2016	13 ნოემბერი, 2015
2017	15 ნოემბერი, 2016
2018	10 ნოემბერი, 2017

142. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C, რადგან წარდგენა ხდება ფისკალური წლის დაწყებამდე მხოლოდ 6 კვირით ადრე.

PI-18. ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება

143. ეს ინდიკატორი აფასებს წლიური ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასების მასშტაბს. ის განიხილავს, თუ როგორ აფასებს და აწარმოებს დებატებს საკანონმდებლო ორგანო და ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს და ასევე, თუ როგორ დგინდება შეფასების პროცედურები და როგორ სრულდება ისინი. შეფასების დროის პერიოდი: ბოლო დასრულებული ფისკალური წელი (2017) 18.1, 18.2 და 18.4 ქვეინდიკატორებისთვის. 18.3 ქვეინდიკატორისთვის ფასდება ბოლო სამი დასრულებული ფისკალური წელი (2015, 2016 და 2017). შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასებების M1 WL მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-18: ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება	A	

18.1 ბიუჯეტის განხილვის მასშტაბი	A	საკრებულო განიხილავს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს და საშუალოვადიან პრიორიტეტებს, ხარჯების და შემოსავლების დეტალებს
18.2 ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები	A	საბიუჯეტო მოსმენამდე საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულია საკრებულოს პროცედურები და ხორციელდება მათი დაცვა. პროცედურები მოიცავს შიდა საორგანიზაციო მექანიზმებს, როგორებიცაა მაგალითად განხილვის სპეციალიზებული კომისიები, ტექნიკური მხარდაჭერა და მოლაპარაკების პროცედურები. ისინი ასევე მოიცავს საჯარო კონსულტაციების განხორციელებას.
18.3 ბიუჯეტის დამტკიცების ვადა	A	ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში, საკრებულომ წლიური ბიუჯეტის კანონი დაამტკიცა ფისკალური წლის დაწყებამდე
18.4 აღმასრულებელი ორგანოს მიერ ბიუჯეტის კორექტირების წესები	A	არსებობს მკაფიო წესები წლის განმავლობაში აღმასრულებელი ორგანოს მიერ საბიუჯეტო კორექტირებების განსახორციელებლად. წესები ადგენს მკაცრ ლიმიტებს ცვლილების მასშტაბის და ტიპის შესახებ და სრულდება ყველა შემთხვევაში.

18.1. ბიუჯეტის განხილვის მასშტაბი

144. საკრებულო დეტალურად ანალიზებს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან პრიორიტეტებს და საბიუჯეტო შემოსავლებსა და ხარჯებს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად (მუხლი 77.9 და მუხლი 77.10), საკრებულოში წარდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტი შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

145. 2018 წლის ბათუმის ბიუჯეტის პროექტი სრულად შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს და საკრებულომ განიხილა საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

146. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

18.2. ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები

147. ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები მტკიცდება საბიუჯეტო მოსმენების დაწყებამდე, საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად. ეს პროცედურები განსაზღვრავს საკრებულოს შიდა საორგანიზაციო პროცედურებს, როგორც არის:

- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და სხვა საკანონმდებლო კომისიების შესაბამისი პასუხისმგებლობები ამ პროცესში;
- საკრებულოში ტექნიკური მხარდაჭერის არსებობა, როგორც არის ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თანამშრომლები; და
- მერსა და საკრებულოს შორის მოლაპარაკებების პროცედურები, როგორც არის მაგალითად აღმასრულებელი ორგანოს მიერ საკრებულოსთვის ბიუჯეტის პროექტის მეორე ვერსიის წარდგენა (10 დეკემბრამდე), თავდაპირველ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული კომენტარების შემდეგ.

148. საკრებულოს რეგლამენტი განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურებს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის და თანდართული დოკუმენტების განხილვისთვის. წარდგენილი დოკუმენტაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენისთანავე (მუხლი 78.1). ზემოაღნიშნულთან ერთად და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის სესიები საჯაროა და კომისიის სხდომების და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საკრებულოს ვებგვერდზე. საჯარო მოსმენების მიმდინარეობისას, საზოგადოების წარმომადგენლები (მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები⁵¹, ასოციაციები) მონაწილეობას იღებენ დისკუსიაში, ფორმატი მათ აძლევს კითხვების დასმის, საკუთარი აზრის გამოთქმის, კამათის და დებატების წარმოების საშუალებას.

149. საკრებულოს პროცედურები საკანონმდებლო ორგანოს მიერ დგინდება საბიუჯეტო მოსმენების დაწყებამდე. პროცედურები მოიცავს შიდა საორგანიზაციო მექანიზმებს, როგორც არის სპეციალური შეფასების კომისიები, ტექნიკური მხარდაჭერა და მოლაპარაკებების პროცედურები. ისინი ასევე მოიცავს საზოგადოებასთან კონსულტაციების გაწევის ღონისძიებებს. მიუხედავად ახლად არჩეული საკრებულოსა (2017 წლის ოქტომბერი), რომლის წევრთა უმრავლესობაც ახალია, ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი, კომისიების მიერ განხილვის ჩათვლით, მიმდინარეობდა პროცედურების დაცვით. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

18.3. ბიუჯეტის დამტკიცების ვადები

150. უკანასკნელი სამი ფისკალური წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანო წლიურ საბიუჯეტო კანონს ფისკალური წლის დაწყებამდე ამტკიცებდა.

ცხრილი 18.3 საკანონმდებლო ორგანოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების თარიღები

⁵¹ არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად იღებენ მონაწილეობას 2016 წლიდან

წელი	დამტკიცების თარიღი
2016	25 დეკემბერი, 2015
2017	29 დეკემბერი, 2016
2018	26 დეკემბერი, 2017

151. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

18.4. ადმასრულებელი ორგანოს მიერ ბიუჯეტის კორექტირების წესები

152. მკაფიოდ არის განსაზღვრული ადმასრულებელი ხელისუფლების მიერ წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის წესები. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის წესები განსაზღვრულია საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 69). სახსრების გადანაწილება პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის კონკრეტული პრიორიტეტების (ფუნქციების) ფარგლებში, რომლებიც არ აღემატება პრიორიტეტის წლიური ასიგნების 5 პროცენტს შესაძლოა განხორციელდეს საფინანსო სამსახურის მიერ საკრებულოსთან შეთანხმების გარეშე. ყველა სხვა ტიპის ცვლილება საჭიროებს საკრებულოს თანხმობას. ეს წესი შესრულებულია.

153. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

მეხუთე ბლოკი: ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი

PI-19. შემოსავლების ადმინისტრირება

154. ეს ინდიკატორი ეხება სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივი მთავრობის შემოსავლების ადმინისტრირებას, რაც შესაძლოა მოიცავს საგადასახადო ადმინისტრირებას, საბაჟო ადმინისტრირებას და სოციალური შენატანების ადმინისტრირებას. ის ასევე მოიცავს უწყებებს, რომლებიც აწარმოებენ შემოსავლების ადმინისტრირებას სხვა მნიშვნელოვანი წყაროებიდან, როგორცაა ბუნებრივი რესურსების მოპოვება. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებისთვის ფუნქციონირებენ როგორც მარეგულირებლები და ჰოლდინგური კომპანიები. ასეთ შემთხვევებში შეფასება მოითხოვს ინფორმაციის შეგროვებას სახელმწიფო სექტორის მიღმა არსებული სუბიექტებისგან. ინდიკატორი აფასებს ადგილობრივი მთავრობის შემოსავლების შეგროვების და მონიტორინგის პროცედურებს.

155. ადგილობრივი მთავრობის PEFA-ს შეფასებებისთვის დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების თანახმად მე-19 ინდიკატორი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

- ადგილობრივ მთავრობას საკუთარი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეუძლია შემოსავლების მობილიზება; და
- ადგილობრივი მთავრობის შემოსავლები გროვდება ადგილობრივი მთავრობის სახელით უფრო მაღალი დონის შემოსავლების სამსახურის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მთავრობა ახორციელებს შემოსავლებისა და შემოსავლების ადმინისტრირების სრულ კონტროლს..

და არარელევანტურია შემდეგ შემთხვევებში:

- ადგილობრივი მთავრობა აგროვებს შემოსავალს მხოლოდ ადგილობრივი მთავრობის მიერ გაწეული გარკვეული მომსახურებებისთვის მომხმარებლების მიერ გადახდილი საფასურის ხარჯზე (ამ მომსახურების თვითღირებულების ფარგლებში); და ცენტრალური (ან სხვა მაღალი დონის) მთავრობა აგროვებს შემოსავლებს შემოსავლების სამსახურის საშუალებით და დადგენილი წესით ანაწილებს ადგილობრივი მთავრობის შემოსავლების სამსახურთან.

156. შემოსავლების სამსახური ახდენს საქართველოში შემოსავლების შეგროვებასა და ადმინისტრირებას. არსებობს შეთანხმება ცენტრალურ და I და II დონის მთავრობებთან წილობრივი განაწილების შესახებ, კანონის შესაბამისად.

157. ქ. ბათუმი ადმინისტრირებას უწევს და აგროვებს ადგილობრივ მოსაკრებლებს და შემოსავლების სხვა უმნიშვნელო კატეგორიებს, რომლებიც მისი შემოსავლების 4%-ს შეადგენს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ადმინისტრირება განხილულია ინდიკატორში PI-12.3.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-19 შემოსავლების ადმინისტრირება	NA	
19.1 უფლებები და ვალდებულებები საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებისთვის	NA	
19.2 შემოსავლებთან დაკავშირებული რისკების მართვა	NA	
19.3 საგადასახადო აუდიტი და მოკვლევა	NA	
19.4 საგადასახადო დავალიანების მონიტორინგი	NA	

PI-20. შემოსავლების აღრიცხვა

158. ეს ინდიკატორი აფასებს პროცედურებს მიღებული საგადასახადო შემოსავლების აღრიცხვისა და ანგარიშებისთვის, მიღებული შემოსავლების კონსოლიდაციისთვის და საგადასახადო შემოსავლების ანგარიშების შეჯერებისთვის. ის მოიცავს ადგილობრივი მთავრობის მიერ მობილიზებულ საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებს. შეფასების პერიოდი მოიცავს შეფასების განხორციელების დროს. PI-19-ის მსგავსად, ქვეინდიკატორები 20.2 და 20.3 არ ფასდება ადგილობრივი მთავრობის დონეზე, რადგან შემოსავლების ადმინისტრაციას ახორციელებს საქართველოს შემოსავლების სამსახური. თუმცა, ქვეინდიკატორი 20.1 შეესაბამება მუნიციპალიტეტის დონეს და შეფასების პერიოდი მოიცავს შეფასების მომენტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M1 WL მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-20 შემოსავლების აღრიცხვა	A	
20.1 ინფორმაცია შემოსავლების მობილიზების შესახებ	A	მუნიციპალიტეტი საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრირებული შემოსავლების შესახებ მონაცემებს იღებს მინიმუმ ყოველთვიურად და შემოსავლები აისახება ხაზინის ერთიან ანგარიშზე. ეს ინფორმაცია ჩაშლილია

		შემოსავლების ტიპის მიხედვით და კონსოლიდირებულია ანგარიშში.
20.2 შემოსავლების გადარიცხვა	NA	ყველა შემოსავალი პირდაპირ ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშებზე ყოველდღიურად.
20.3 შემოსავლების ანგარიშების შეჯერება	NA	სუბიექტები, რომლებიც ახდენენ მუნიციპალიტეტის შემოსავლების უმეტესი ნაწილის მობილიზებას, ახორციელებენ დარიცხული თანხების, მიღებული შემოსავლების, დავალიანების და ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადარიცხული თანხების სრულ შედარებას ყოველდღიურად.

20.1 ინფორმაცია შემოსავლების მობილიზების შესახებ

159. ყველა შემოსავალი ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, რომლის მართვას და ოპერირებას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა. ერთიან სახაზინო ანგარიშზე მოხვედრილ შემოსავლების ტიპებს განსაზღვრავს სახაზინო კოდი, რომელიც რეგისტრირდება სახაზინო სამსახურის საინფორმაციო სისტემაში და მითითებულია ე. ბათუმთან დაკავშირებული შემოსავლების ქვეანგარიშებში. 2016 წლის იანვრიდან მენეჯმენტისთვის მზადდება ყოველთვიური ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ყოველთვიურ ანგარიშში ხდება გასული წლის იმავე თვეში ბიუჯეტის შესრულების არსებულ მონაცემებთან შედარება. კვარტალში ერთხელ ხდება შემოსავლების აგრეგირება მათი ტიპების მიხედვით და ხდება იმ კვარტლის გეგმასთან შედარება. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

20.2 შემოსავლების გადარიცხვა

160. ყველა შემოსავალი საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე ყოველდღიურად. მუნიციპალიტეტის კუთვნილი შემოსავლები აისახება მუნიციპალიტეტის ანგარიშზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ინდიკატორი აფასებს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეულ ოპერაციებს, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება NA.

20.3 შემოსავლების ანგარიშების შეჯერება

161. შემოსავლების სამსახური ადმინისტრირებას უწევს მუნიციპალური შემოსავლების უმეტესობას, ახორციელებს შემოსავლების შეგროვებას, მართავს დავალიანებებს და ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადარიცხულ თანხებს ყოველდღიურად. თითოეული გადარიცხვის შესახებ მონაცემები ავტომატურად მოწმდება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის მიერ არ არის მითითებული გადახდის მიზნობრიობა, დეკლარაციის ატვირთვამდე თანხა შეინახება ზოგად ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის მიერ მოხდა დეკლარირება, მაგრამ სახაზინო მონაცემებში გადასახადის გადამხდელის სახელით განხორციელებული გადახდა არ არის ასახული, მაშინ თანხა აღირიცხება როგორც დავალიანება შემოსავლების სამსახურის პირად ფაილებში. შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა გამოიყენოს ადმინისტრაციული ღონისძიებები (სრული თანხის იძულებითი დაფარვა, ქონების და ანგარიშების დაყადაღება და სხვა), რათა უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ვადის ფარგლებში დავალიანებების განულება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ინდიკატორი აფასებს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეულ ოპერაციებს, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება NA.

PI-21. წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა

162. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად შეუძლია ადგილობრივი მთავრობის საფინანსო სამსახურს ფულადი სახსრების საჭიროების პროგნოზის განხორციელება და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შესახებ. შეფასების დროის პერიოდი: PI-21.1-თვის არის შეფასების დრო და PI-21.2-დან PI-21.4-მდე არის ბოლო დასრულებული ფისკალური წელი. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-21: წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	B+	
21.1 ფულადი სახსრების ნაშთების კონსოლიდაცია	A	სახელმწიფო სახაზინო სამსახურის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე დღის ბოლოს ხელმისაწვდომია კონსოლიდირებული ინფორმაცია მთელი საბანკო და ფულადი ნაშთების შესახებ
21.2 ფულადი სახსრების პროგნოზირება და მონიტორინგი	B	ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მზადდება ყოველწლიურად ფისკალური წლისთვის, რომელიც გაშლილია კვარტლების მიხედვით და ყოველკვარტლურად ხდება მისი განახლება ფაქტიური ფულადი შემოდინებებისა და გადინებების საფუძველზე.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
21.3 ინფორმაცია ვალდებულებების ლიმიტების შესახებ	A	საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების დაგეგმვა და ვალდებულებების აღება 12 თვით ადრე საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად.
21.4 წლიური ბიუჯეტის კორექტირების მასშტაბი	C	საბიუჯეტო ასიგნებების კორექტირება განხორციელდა შვიდჯერ 2017 წელს და შეადგინა საწყისი ბიუჯეტის 13.1%. ეს შესრულდა გამჭირვალე და პროგნოზირებადი ფორმით.

21.1. ფულადი სახსრების ნაშთების კონსოლიდაცია

163. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის ყველა შემოსავალი, მათ შორის ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე მიღებული შემოსავლები, დაუყოვნებლივ ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. საქართველოს ხაზინა, ფულადი სახსრების შემოდინების და გადინების პროგნოზებზე დაყრდნობით, თავისი ფულადი შემოდინებების ნაწილს განათავსებს კომერციულ ბანკებში ყოველდღიური აუქციონების მეშვეობით. ამ ფულადი სახსრების საშუალო ნაშთი შეადგენს 500 მლნ ლარს. ფულადი ნაშთების კონსოლიდაცია ერთიან სახაზინო ანგარიშზე და კომერციულ ბანკებში ხორციელდება ყოველდღიურად და ქვეყნდება ხაზინის ვებგვერდზე (www.treasury.gov.ge).

164. ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია შემოსავლებს რიცხავს ერთიან სახაზინო ანგარიშზე, გარდა მათი საკუთარი შემოსავლებისა, მაგალითად: საბავშვო ბაღები და სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც თანხებს განათავსებენ კომერციულ ბანკებში. საშუალოდ, ბათუმის მიმდინარე ანგარიშის დეპოზიტები კომერციულ ბანკებში შეადგენს ერთიან სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთის 5%-ზე ნაკლებს. 2018 წლის 12 ივნისის მდგომარეობით, ბათუმის მიმდინარე ანგარიშის დეპოზიტები კომერციულ ბანკებში შეადგენდა 0.1 მლნ ლარს და ყველა დეპოზიტის საერთო ჯამმა შეადგინა 5.4 მლნ ლარამდე. არ წარმოებს მათი ყოველდღიური კონსოლიდაცია ფულადი სახსრების დანარჩენ ნაშთებთან.

165. შესაბამისად, ყველა (95%) საბანკო და ფულადი ნაშთების კონსოლიდირება ხორციელდება ყოველდღიურად. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

166. ფულადი სახსრების მართვის რეფორმის ფარგლებში, დამატებითი შემოსავლების მობილიზების მიზნით, იგეგმება ფულადი სახსრების მართვის მექანიზმების დანერგვა. ხაზინა თავისუფალ ფულად ნაკადებს განათავსებს სხვადასხვა საბანკო ინსტრუმენტებში საფინანსო ბაზრებზე. შემუშავებულია შესაბამისი დებულების პროექტი და მომზადებულია ტექნიკური პლატფორმა სადეპოზიტო აუქციონების განსახორციელებლად. რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, ფინანსურ ბაზრებზე დაიწყება აქტიური ოპერაციები. ხაზინის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი ინვესტიციებისა და რისკის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

21.2. ფულადი სახსრების პროგნოზირება და მონიტორინგი

167. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მომზადებულია მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ ბიუჯეტის მიღებიდან ორი კვირის ვადაში, რომლებიც ემყარება ისტორიულ მონაცემებს, შემოსავლების და ხარჯების პროგნოზებს, მათ შორის საბიუჯეტო ერთეულებიდან მიღებულ ინფორმაციას მოსალოდნელი გადახდების შესახებ.

168. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მზადდება ყოველწლიურად მომდევნო წლისთვის და ჩაშლილია კვარტლების მიხედვით. მისი განახლება ხდება სამომავლო ხარჯებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, გრანტებიდან ფულად შემოდინებებზე დარყდნობით (პროგნოზზე მეტი/ნაკლები ფაქტიური კვარტალური გადინებები)⁵². აღნიშნული ცვლილებები ხორციელდება დამატებითი ასიგნებების საშუალებით. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

21.3. ინფორმაცია ვალდებულებების ლიმიტების შესახებ

169. საკრებულოს მიერ წლიური ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, მისი ასიგნებები აისახება საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ხდება მათი განწერა ფისკალური წლის კვარტალების მიხედვით. ამგვარად, ვალდებულების ლიმიტები ავტომატურად ხდება ხელმისაწვდომი საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ სრული უფლება გასწიონ ხარჯები კვარტალური განწერის ფარგლებში.

170. კვარტლის განმავლობაში აუთვისებელი თანხები ავტომატურად გადადის მომდევნო კვარტალში და ინფორმაცია მიეწოდება საინფორმაციო სისტემას. რამდენადაც არ არსებობდა პრობლემა ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებით, არ არსებობდა ვალდებულებების ლიმიტის არანაირი შეზღუდვა.

171. 2017 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეეძლოთ ხარჯების დაგეგმვა და გაწევა ერთი წლით ადრე კვარტლის ლიმიტების საფუძველზე, საბიუჯეტო ასიგნებებისა და ვალდებულებების შესაბამისად. ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

21.4. წლის განმავლობაში ბიუჯეტის კორექტირებების მასშტაბი

172. წლის განმავლობაში ბიუჯეტის კორექტირებები უნდა განხორციელდეს საბიუჯეტო კოდექსის მე-80-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს, რომ გადანაწილება ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან მეორეში ხორციელდებოდეს წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით. 2017 წელს ბათუმის საკრებულოს მიერ ბიუჯეტი შვიდჯერ შეიცვალა. ხარჯების პროცენტული მაჩვენებლის ზრდამ, განმეორებითი არჩევნების შედეგად, 13.1% შეადგინა.

⁵² დანართი 4, ცხრილი 11

ცხრილი 21.4 დამატებითი ხარჯები (მლნ ლარი)

	თავდაპირველი ბიუჯეტი	კორექტირებული ბიუჯეტი	სხვაობა	
ხარჯი	147.7	167.1	19.4	13.1%

173. აღნიშნული კორექტირებები შესაბამისობაში იყო საბიუჯეტო კოდექსის მიერ დადგენილ წესებთან, რომლებიც მოითხოვს საკრებულოს მიერ დამტკიცებას. შეცვლილი ბიუჯეტის წარდგენამდე ის განიხილა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ. საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალდებულებების ლიმიტები შესაბამისად იქნა შეცვლილი საინფორმაციო სისტემაში მას შემდეგ, რაც საკრებულომ მიიღო შეცვლილი ბიუჯეტი.

174. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის კორექტირებები გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გზით განხორციელდა, 2017 წელს მათი რაოდენობა მაღალია (7). ანალიზისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C.

PI-22. საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები

175. ეს ინდიკატორი აფასებს სიტუაციას დაგროვილ დავალიანებებთან დაკავშირებით და თუ რამდენად წარმოებს ამ თვალსაზრისით სისტემურ პრობლემაზე რეაგირება და მისი კონტროლის ქვეშ მოქცევა. შეფასების დროის პერიოდი 22.1 ქვეინდიკატორისთვის არის გასული სამი დასრულებული ფისკალური წელი (2015, 2016 და 2017), ხოლო 22.2 ქვეინდიკატორისთვის - შეფასების დრო. შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M1 WL მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-22: საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები	A	
22.1 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების ნაშთი	A	მუნიციპალიტეტის განცხადებით, საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები არ აქვთ.
22.2 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების მონიტორინგი	NA	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ინფორმაციას ხარჯვით ნაწილში დაგროვილი დავალიანებისა და მისი სტრუქტურის შესახებ. ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს წარმოქმნილი დავალიანებების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მოამზადებს ანგარიშს.

22.1. საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების ნაშთი

176. დავალიანება განისაზღვრება როგორც რეგისტრირებული ვალდებულებები, რომლისთვისაც საქონელი ან სერვისები მიწოდებული იყო წლის განმავლობაში, მაგრამ სათანადო დოკუმენტები არ ყოფილა მიღებული ფისკალური წლის ბოლოს. შედეგად, გადახდა შეუძლებელია გატარდეს წლის განმავლობაში და ანგარიშგება განხორციელდება მომდევნო წელს.

177. ეს დავალიანება რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და ბათუმის წლიური ბიუჯეტით, რომლის მიხედვით მათი დაფარვა ხორციელდება 01 05 ქვეპროგრამიდან (ფინანსური სახსრები წინა წლებში დაგროვილი ვალის გადასახდელად და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის). მათ შესახებ ანგარიშგება წარმოებს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში. მუნიციპალიტეტს არანაირი დავალიანება არ აღერიცხება. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

22.2. ბიუჯეტის ხარჯების დავალიანებების მონიტორინგი

178. მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ინფორმაციას ხარჯვით ნაწილში დაგროვილი დავალიანებისა და მისი შედგენილობის შესახებ. ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს წარმოქმნილი დავალიანებების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მოამზადებს ანგარიშს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება NA.

PI-23. სახელფასო განაცემების კონტროლი

179. ეს ინდიკატორი ეხება მხოლოდ მუნიციპალიტეტში მომუშავე პირთა ხელფასებს: როგორ იმართება ისინი, როგორ წარმოებს ცვლილებების განხორციელება და როგორ ხდება პერსონალის ჩანაწერების მართვა. ხელფასები დროებითი სამუშაოსთვის და ერთჯერადი განაცემები, რომლებიც არ შეადგენს სახელფასო სისტემის ნაწილს, შეტანილია არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლის შეფასებაში PI - 25. შეფასების დროის პერიოდი 23.1, 23.2 და 23.3 ინდიკატორებისთვის შეფასების განხორციელების დროა, ხოლო 23.4 -ისთვის არის ბოლო სამი დასრულებული ფისკალური წელი (2015, 2016 და 2017). შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M1 WL მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-23: სახელფასო განაცემების კონტროლი	B+	

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M1 WL მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
23.1 სახელფასო და პერსონალის ჩანაწერების ინტეგრაცია	A	მუნიციპალიტეტი აწარმოებს თავისი პერსონალის მონაცემთა ბაზებს ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდული) სისტემის ფარგლებში, რომლის მართვაც ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის მიერ. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება წარმოებს ყოველთვიურად მაინც, მანამ სანამ მოხდება ხელფასების გადახდა პერსონალის საბანკო ანგარიშებზე. არსებობს ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ჩამწებულია სახელფასო მოდულში და რომელიც ავტომატურად ბლოკავს ნებისმიერი პირის სახელფასო განაცემებს რომელიც არ არის ასახული ელექტრონული ხაზინის სისტემის პერსონალის მონაცემთა ბაზაში.
23.2 სახელფასო ჩანაწერებში ცვლილების მართვა	A	პერსონალის ჩანაწერების განახლება წარმოებს ყოველთვიურად, ყოველთვიური გადახდის დროისთვის. განახლებები ხორციელდება რეალურ დროში და აისახება ელექტრონული ხაზინის სისტემის სახელფასო მოდულში. ამასთან ერთად, არსებული მონაცემების რეტროაქტიური ცვლილებები სისტემაში არ არის დაშვებული.
23.3 სახელფასო განაცემების შიდა კონტროლი	A	მუნიციპალიტეტში სახელფასო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის უფლება მხოლოდ ავტორიზებულ პირებს აქვთ. ცვლილებები უფლებამოსილი პირის მიერ მოწმდება და მტკიცდება განყოფილების უფროსის მიერ. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს სახელფასო ჩანაწერებში გაკეთებული ცვლილებების კვალის მიდევნება. ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ხდება ცვლილებების დოკუმენტირება და შენახვა. ამასთან, ელექტრონული ხაზინის სისტემაში შესვლის/წვდომის კონტროლი ხორციელდება ნომრისა და პაროლის გამოყენებით. გარე აუდიტორები აფასებენ სახელფასო რისკებს როგორც დაბალს, რამდენადაც სახელფასო მონაცემების სიზუსტე საკმაოდ მაღალია.
23.4 სახელფასო განაცემების აუდიტი	B	არსებობს წლიური სახელფასო აუდიტის სისტემა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. აღნიშნული სისტემა ავლენს ნებისმიერ სისუსტეს ნებისმიერი სახის კონტროლთან დაკავშირებით და ასევე ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს. მუნიციპალიტეტის დონეზე აღნიშნული არ ხორციელდება ყოველწლიურად. ბოლო აუდიტი დასრულდა 2016 წელს.

23.1. სახელფასო და პირადი მონაცემების ინტეგრაცია

180. წლიური ბიუჯეტი იძლევა ინფორმაციას თანამშრომლების რაოდენობის და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სახელფასო ბიუჯეტის შესახებ. მუნიციპალიტეტი (მერის დაქვემდებარებაში მყოფი ცენტრალური სამსახური და მუნიციპალური ა(ა)იპ-ები) ინარჩუნებს თანამშრომლებს და აყავს ახალი პერსონალი წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პარამეტრების ფარგლებში. დამტკიცებული სიის გარეთ და საკონკურსო შერჩევის გარეშე თანამშრომლის აყვანა შეუძლებელია. ახალი თანამშრომლის აყვანისთანავე მისთვის იხსნება ფაილი. სახელფასო ჩანაწერების წარმოება ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალის მიერ, ელექტრონული ხაზინის სისტემის გამოყენებით, რომელსაც აქვს სახელფასო მოდული. სახელფასო მოდულს აქვს ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს თანამშრომლის მიერ მუშაობის დაწყების დროს, პოზიციას, საიდენტიფიკაციო ნომერს, დეპარტამენტის დასახელებას, საბანკო ანგარიშს, ხელფასის თანხას, გადასახადის და დაზღვევის გადასახდელებს, დაწინაურებას და ხელფასის ცვლილებას. სახელმწიფო ხაზინას შეუძლია სახელფასო ჩანაწერებთან წვდომა, მაგრამ ეს წვდომა შეზღუდულია და ითვალისწინებს მხოლოდ დათვალიერებას და ზღუდავს ჩანაწერების შეცვლას. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება ხორციელდება ყოველთვიურად მაინც, სანამ მოხდება ხელფასის ჩარიცხვა პერსონალის საბანკო ანგარიშებზე. სახელფასო მოდულში ასევე ჩაშენებულია ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ბლოკავს ხელფასის გადახდას ნებისმიერი პირისთვის, რომელიც არ არის ასახული ელექტრონული ხაზინის სისტემის პერსონალის მონაცემთა ბაზაში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

23.2. სახელფასო ჩანაწერებში ცვლილებების მართვა

181. მუნიციპალური სამსახურები აახლებენ თავიანთ ჩანაწერებს თანამშრომლების შესახებ ყოველთვიური ხელფასის გადახდამდე (ყოველი თვის 25 რიცხვი), რათა შეამოწმონ პერსონალის სახელფასო ანაზღაურება სამუშაო დღეების მიხედვით და გაითვალისწინონ ისეთი გარემოებები, როგორცაა შვებულებაში გასვლა, ავადმყოფობა, პენსიაზე გასვლა და სამსახურიდან გათავისუფლება. ეს განახლებები რეალურ დროში აისახება ელექტრონულ ხაზინაში (სახელფასო მოდული) და გაითვალისწინება თვის სახელფასო განაცემებში. ელექტრონული ხაზინის სისტემაში დაუშვებელია არსებულ სახელფასო ჩანაწერებში რეტროაქტიური ცვლილებების შეტანა. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

23.3. სახელფასო განაცემების შიდა კონტროლი

182. არსებობს მძლავრი სისტემა, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტში სახელფასო ცვლილებების მონიტორინგს და მას აქვს აუდიტის კვალის (ცვლილებების მიდევნების) სისტემა. მერი (მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების შემთხვევაში - დირექტორები) წარმოადგენს ერთადერთ

პირს, რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სახელფასო განაცემების ცვლილებაზე, თუმცა ამ უფლების დელეგირება შესაძლებელია სამსახურების უფროსებისთვის. არსებობს ორდონიანი ავტორიზაციის პროცესი: სისტემის დათვალიერებ ჩანაწერების შეცვლის შესაძლებლობის გარეშე. მხოლოდ ადამიანური რესურსების მმართველ მხარეს აქვს უფლებამოსილება, შეიტანოს შესწორება და წვდომა შეზღუდულია სხვადასხვა დონისთვის. არსებობს 4 ავტორიზებული პირი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შემოწმებასა და მონიტორინგზე. აღნიშნული დამტკიცების პროცესი ტოვებს „აუდიტის კვალს“, რამდენადაც თითოეული პირი, რომელიც ახორციელებს დამტკიცებას შედის ელექტრონული ხაზინის სისტემაში უნიკალური პაროლითა და საიდენტიფიკაციო ნომრით. სახელფასო მონაცემების სისწორე მაღალია, რამდენადაც გარე აუდიტორები, რომლებიც ახორციელებენ სახელფასო ჩანაწერების აუდიტს მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ ჩანაწერებთან დაკავშირებული რისკი დაბალია. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

23.4. სახელფასო განაცემების აუდიტი

183. სახელფასო განაცემები ფინანსური აუდიტი განხორციელდა 2015 და 2016 წლებში, როგორც ბათუმის მერიის საფინანსო აუდიტის შემადგენელი ნაწილი, აუდიტის უმაღლესი ინსტიტუტებისთვის განკუთვნილი საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აუდიტი იძიებს სახელფასო კონტროლში არსებულ ნაკლოვანებებს და განიხილავს ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

PI-24. შესყიდვები

184. ეს ინდიკატორი აფასებს შესყიდვების მართვის ძირითად ასპექტებს. ის ფოკუსირებულია პროცედურების გამჭვირვალობაზე. აქცენტი კეთდება ღია და კონკურენტულ ტენდერებზე, შესყიდვების შედეგების მონიტორინგზე და გასაჩივრების და ანაზღაურების პროცედურებზე წვდომაზე. შეფასების დროის პერიოდი: ბოლო ფისკალური წელი. შეფასება მოიცავს ადგილობრივ მთავრობას.

185. ადგილობრივი მთავრობის PEFA-ს შეფასების დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით ინდიკატორი 24 გამოიყენება მხოლოდ ადგილობრივი მთავრობის მიერ განხორციელებული შესყიდვებისთვის, ხოლო ინდიკატორი 24.1 არარელევანტურია, როდესაც აღრიცხვები ხორციელდება უფრო მაღალი დონის მთავრობის მიერ, რომელიც არ კონტროლდება ადგილობრივი მთავრობის მიერ.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-24. შესყიდვები	B	

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
24.1 შესყიდვების მონიტორინგი	NA	მონაცემთა ბაზების და ჩანაწერების წარმოება ხორციელდება ყველა კონტრაქტისთვის, მათ შორისაა ინფორმაცია, თუ რისი შესყიდვა განხორციელდა, როგორი იყო შესყიდვის ღირებულება, ვისთან გაფორმდა კონტრაქტი. ყველა სახელმწიფო კონტრაქტის შესყიდვა ხდება საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით.
24.2 შესყიდვების მეთოდები	A	სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, როცა შესყიდვის ღირებულება აღემატება 5000 ლარს (ან მის ეკვივალენტურ ოდენობას 2000 აშშ დოლარს), შესყიდვა ტარდება ღია კონკურსის გზით, რომელიც წარმოადგენს შესყიდვის ძირითად მეთოდს. 2017 წელს კონტრაქტების 96%-ის შესყიდვა განხორციელდა კონკურენტული ტენდერის გზით.
24.3 შესყიდვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა	A	შესყიდვების შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. სხვა ინფორმაციასთან ერთად, მათ შორის მოიცავს შემდეგ ინფორმაციასაც: <ol style="list-style-type: none"> 1. შესყიდვების სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემის შესახებ; 2. სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესახებ; 3. ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ; 4. გამარჯვებულთან გაფორმებული კონტრაქტების (მიზანი, კონტრაქტორი, ღირებულება) შესახებ; 5. შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ; და 6. შესყიდვების წლიურ სტატისტიკას

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
24.4 შესყიდვების შესახებ საჩივრების მართვა	D	<p>შესყიდვების სისტემა აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს, გარდა N1-სა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების საბჭოს საქმიანობის წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად დავების განხილვის საბჭო შედგება პარიტეტული პრინციპით შერჩეული 6 პირისგან. 3 წევრი არის სამოქალაქო საზოგადოების / არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ხოლო 3 წევრი შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე იმავდროულად არის დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარე უპირატესი ხმის უფლებით. შესყიდვების სააგენტო ასევე არის გამარტივებული შესყიდვების დამმოწმებელი შემფასებელი ორგანო (იხილავს შემსყიდველი უწყებების მოთხოვნებს პირდაპირი შესყიდვის განხორციელებაზე).</p> <p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩართულობა შესყიდვის კონკრეტულ პროცედურაში შესყიდვის გამარტივებულ პროცედურისთვის (პირდაპირი კონტრაქტის გაფორმება) მას აქცევს შესყიდვების ტრანზაქციების და გადაწყვეტილების მიღების ნაწილად, რომელსაც მოჰყვება კონტრაქტის გაფორმება. ეს ქმნის კონფლიქტს მის საზედამხედველო ფუნქციასთან და როლთან შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის კუთხით.</p>

24.1. შესყიდვების მონიტორინგი

186. ინფორმაცია შესყიდვების სრული ციკლის შესახებ ინახება საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მონაცემთა ბაზაში, რომლის ადმინისტრირებას ახდენს საქართველოს შესყიდვების სააგენტო (GPA). ეს ინფორმაცია გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სისტემაში ინახება შემდეგი სახის ინფორმაცია:

შესყიდვის ტიპი, განცხადების ნომერი, შესყიდვის სტატუსი, შემსყიდველი ორგანიზაცია, შესყიდვების შესახებ განაცხადის გაკეთების თარიღი, ტენდერის დაწყების და დასრულების თარიღი და დრო, შესყიდვის საანგარიშო ღირებულება, კლასიფიკატორის კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი, შესყიდვის რაოდენობა ან ღირებულება, მიწოდების თარიღი, პირველი და ბოლო შეთავაზების თარიღი, გამარჯვებული, კომისიის ოქმი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რაოდენობა და თანხა, კონტრაქტთან დაკავშირებული ცვლილებები და ა.შ.

187. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სისტემა არ არის მხოლოდ მუნიციპალიტეტისთვის განკუთვნილი, ეს ქვეინდიკატორი არარელევანტურია PEFA-ს შეფასების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება NA.

24.2 შესყიდვების მეთოდები

188. ამ ქვეინდიკატორის შესაბამისობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს შესყიდვების პროცესში კონკურენტული ტენდერის ფაქტიური გამოყენება. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, ღია კონკურსი, როცა შესყიდვის ღირებულება აღემატება 5000 ლარს (ან მის ეკვივალენტურ ოდენობას 2000 აშშ დოლარს) წარმოადგენს შესყიდვის ძირითად მეთოდს. ესენია: (i) როდესაც შესყიდვის განხორციელება შეზღუდულია დროში; (ii) როდესაც ის გადაუდებელია, როგორც საგანგებო მდგომარეობის დროს; (iii) არსებობს მხოლოდ ერთი ადგილობრივი მიმწოდებელი⁵³; და (iv) გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც საჭიროა არსებული ტენდერის კორექტირება და თანხა აჭარბებს განსაზღვრულ ლიმიტს. ასეთ შემთხვევებში შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომელიც შესყიდვების პორტალზე ატვირთავს მოთხოვნას, რომლის საშუალებით პოტენციურ მომწოდებლებს ეძლევათ კომენტარის გაკეთების საშუალება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მოთხოვნის ლეგიტიმურობის დადასტურების შემდეგ, იძლევა თანხმობას (no objection) და შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ნორმალური კონკურენტული ტენდერის პროცესის გარეთ.

ცხრილი 24.2 ბათუმის მუნიციპალიტეტის სტატისტიკა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 2017 წელი

დასახელება	ყველა კონტრაქტი	კონკურენტული ტენდერით შესყიდული კონტრაქტები		არაკონკურენტული ტენდერით შესყიდული კონტრაქტები	
		აბსოლუტური რაოდენობა	%	აბსოლუტური რაოდენობა	%
კონტრაქტების რაოდენობა	1995	491	24.6	1504	75.4

⁵³ ან სასურველი მომწოდებელი დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების შემთხვევაში

კონტრაქტების ღირებულება (მლნ ლარი)	93.3	89.8	96.2	3.5	3.8
------------------------------------	------	------	------	-----	-----

წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

189. 2017 წელს, ბათუმის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა შემსყიდველი ორგანოს მიერ GPA-ს სისტემის მეშვეობით შესყიდული ყველა კონტრაქტის 96.2%. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

24.3. შესყიდვებთან დაკავშირებით ინფორმაციის საჯაროობა

190. შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში (მაგ: სატენდერო განაცხადები, სატენდერო დოკუმენტები, სატენდერო კომისიის ყველა გადაწყვეტილება და ა.შ.). სატენდერო წინადადების ფასი წარდგენილია და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები გამოქვეყნებულია Ge-GP სისტემის საშუალებით. შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან ელექტრონული სისტემის საშუალებით ფისკალური წლის დასაწყისში გამოაქვეყნონ შესყიდვების ყოველწლიური გეგმა. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე - [http:// procurement.gov.ge/](http://procurement.gov.ge/) მათ შორის არარეგისტრირებული მომხმარებლებისთვისაც. სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის პროცესი შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ. შემუშავებულია სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტი. ეს ვებ-გვერდი (www.stats.spa.ge) ასახავს რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მათ შორის არის: გამოქვეყნებული ტენდერების ყოველკვარტალური განახლებები, ტენდერების ღირებულება, ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა, დარეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობა და ა.შ.⁵⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალი შესაძლებელს ხდის და ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის მომხმარებლების მიერ მონაცემებთან წვდომას და შემდგომ გამოყენებას. ეს განაპირობებს გამარტივებას და გაცილებით უფრო სანდო მესამე მხარის აუდიტს და მოქალაქეთა ჩართულობას. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა აუდიტის უმაღლესი ორგანოები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, დარგობრივი სამინისტროები, დონორები და ბევრი სხვა შეძლებს განახორციელოს მტკიცებულებებზე დამყარებული ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს შესყიდვების და მთლიანობაში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

191. PEFA-ს შეფასების მოთხოვნების გათვალისწინებით შემდეგი ელემენტების სტატუსია:

⁵⁴ მსოფლიო ბანკის მიერ ადმინისტრირებული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში - სახელმწიფო შესყიდვებში ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ამაღლება შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი, რომელიც ასახავს სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს ღია სახელშეკრულებო მონაცემების სტანდარტით შემოთავაზებული სქემის შესაბამისად. ასევე ამოქმედდა შესაბამისი პორტალი ([http:// opendata.spa.ge/](http://opendata.spa.ge/)), რომელიც ახდენს სახელმწიფო შესყიდვების ყველა კონტრაქტისთვის სატენდერო ინფორმაციის ელექტრონული ფორმატით გენერაციას.

ცხრილი 24.3 შესყიდვების შესახებ ხელმისაწვდომი დოკუმენტაცია

საჯაროდ ხელმისაწვდომი	კი/ არა	ადგილი
კანონი შესყიდვებისა და შესაბამისი მარეგულირებელი აქტების შესახებ	კი	http://www.procurement.gov.ge/ELibrary/LegalActs.aspx https://matsne.gov.ge
სახელმწიფო შესყიდვების გეგმა	კი	https://tenders.procurement.gov.ge – plan module
ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობები	კი	https://tenders.procurement.gov.ge
ტენდერის გამარჯვებული (მიზანი, კონტრაქტორი და თანხა)	კი	https://tenders.procurement.gov.ge
ინფორმაცია საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ	კი	https://tenders.procurement.gov.ge/dispute
წლიური შესყიდვების სტატისტიკა	კი	http://procurement.gov.ge/ELibrary/AnalyticalStudiesReports.aspx

192. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

24.4. შესყიდვების შესახებ საჩივრების მართვა

193. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესებში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც შეიცვალა გასაჩივრების პირობები. წარმოდგენილ იქნა განაცხადის ახალი ფორმა და მოხდა შესყიდვების პროცედურების შეჩერების პროცესის ავტომატიზება. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მიერ 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესები 2016 წელს სამჯერ შეიცვალა⁵⁵. ცვლილებების თანახმად, საბჭოს წინაშე გასაჩივრების პირობები ხელახლა განისაზღვრა და დადგინდა საჩივრის დაუშვებლობის საფუძველი. ამასთან, საჩივრის მიღების შემდეგ ხდება შესყიდვების პროცედურების შეჩერება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ისევე, როგორც მონაწილისთვის (მონაწილეებისთვის).

194. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №17 დადგენილებით⁵⁶ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საჩივრის დაშვებადობის შემთხვევაში, წარმოებს შესყიდვის შესაბამისი პროცედურების სისტემური შეჩერება. გარდა ამისა, მხარეებს (მომჩივანი, განმცხადებელი) და დაინტერესებულ პირებს (თუ მისაღებია)

⁵⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 11 იანვრის №1 დადგენილება; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 26 ოქტომბრის №12 დადგენილება; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №17 დადგენილება;

⁵⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარე (ძალაშია 2017 წლის 16 იანვრიდან)

ეცნობებათ საბჭოს სხდომაზე მოწვევის შესახებ, №1 ბრძანებით⁵⁷ დამტკიცებული წესების 1-ლი მუხლის მე- 5 პუნქტის შესაბამისად. ელექტრონული საჩივრის ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

195. ბათუმის შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ მონაცემები:

ცხრილი 24.4.1 შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრები

	მიღებული საჩივრების საერთო რაოდენობა	დავების განხილვის საბჭოს მიერ სრულად დაკმაყოფილებული	დავების განხილვის საბჭოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული	დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება
ბათუმის მუნიციპალიტეტის შემსყიდველი ორგანიზაციები	30	3	9	18

წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

196. PEFA-ს შეფასების მოთხოვნების გათვალისწინებით შემდეგი ელემენტების სტატუსია:

ცხრილი 24.4.2 შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების კრიტერიუმები

შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების კრიტერიუმები	კი / არა	მტკიცებულება / კომენტარი
(1) არ მონაწილეობს შესყიდვების ტრანზაქციებში ან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.	არა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე- 3 მუხლის 1-ლი და მე- 2 ქვეპუნქტის თანახმად, დავების განხილვის საბჭო დაკომპლექტებულია 6 წევრისგან პარიტეტული პრინციპის საფუძველზე. 3 წევრი სამოქალაქო საზოგადოების/ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია, ხოლო დანარჩენი 3 წევრი კი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდანაა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარე იმავე დროს არის დავების განხილვის საბჭოს თავჯდომარეც, უპირატესი ხმის უფლებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ასევე არის გამარტივებული შესყიდვების განმხილველი ორგანო (იხილავს შემსყიდველი უწყებიდან პირდაპირი შესყიდვის მოთხოვნას).

⁵⁷ამ წესის ფარგლებში ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება მოპოვებულ იქნეს / გაიგზავნოს მართვის ავტომატური საშუალებებით, ვებგვერდით <https://tenders.procurement.gov.ge/dispute> და/ ან კომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშუალებით (ელ-ფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება).

შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების კრიტერიუმები	კი / არა	მტკიცებულება / კომენტარი
(2) არ აწესებს გადასახადს დავაში მონაწილე მხარეებისთვის	კი	საჩივრის შეტანა უფასოა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად
(3) საჩივრის შეტანის და გადაწყვეტის შემდგომი პროცესები მკაფიოდ არის განსაზღვრული და საჯაროდ ხელმისაწვდომია	კი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი შესაბამისად
4) იყენებს შესყიდვის პროცესის შერჩევის უფლებას	კი	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის და 23-ე მუხლის 2 ^ა და მე-11 პუნქტების თანახმად. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის და იგივე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.
(5) გამოსცემს წესებს / რეგულაციებს კონკრეტულ ვადებში	კი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.
(6) იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც სავალდებულოა ყველა მხარისთვის (გარე ზემდგომი ორგანოების წვდომის გარეშე)	კი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ჩატარების წესების მე-10 მუხლის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად.

197. ამ კრიტერიუმს მიენიჭა შეფასება D, რადგან არ შესრულდა 1-ლი კრიტერიუმი.

198. ახლახან (PEFA-ს ჩარჩოს ფარგლებს გარეთ) აღინიშნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობასთან და დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარედ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ავტომატურად დანიშვნის საკითხთან მიმართებით. კონტრაქტებისთვის, რომელთა სავარაუდო ფასი უტოლდება ან აღემატება 15.8 მილიონ ლარს⁵⁸, გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ახლად მიღებული

⁵⁸ შესყიდვების შესახებ ევროკავშირის დირექტივების მიხედვით განსაზღვრული ზღვრები.

N1 ბრძანება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესების შესახებ⁵⁹. ახალი ბრძანების პირობებში - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე აღარ არის საბჭოს თავმჯდომარე უპირატესი ხმის უფლებით. საჩივრები განიხილება დავების საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც კვლავ შედის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 3 წევრი, მაგრამ გახანგრძლივებული წევრობის ფარგლებში. საბჭო, ახალი ბრძანების თანახმად, შედგება 10 წევრისგან, რომელთაგან 3 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელია (სააგენტოს თავმჯდომარის ჩათვლით), 3 წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელია, 1 წევრი კონკურენციის სააგენტოდანაა, 1 წევრი წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას, 1 წევრი - საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის ოფისს, ხოლო ერთი წევრი კი შესაბამისი პროფილის მქონე, საქართველოს აკადემიური წრეების წარმომადგენელია. საბჭოს თითოეული წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამი წევრის ჩათვლით, გადაწყვეტილებების მიღებისას სარგებლობს ერთი ხმის მიცემის უფლებით, ბრძანების 24-ე მუხლის შესაბამისად. ეს ქმნის ინტერესთა კონფლიქტს იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ გამოხატავს საწინააღმდეგო მოსაზრებას პირდაპირ კონტრაქტებთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს შესყიდვის ისეთი მეთოდის არჩევას, რომელსაც შედეგად მოჰყვება კონტრაქტის გაფორმება.

199. თუმცა, ევროკავშირის ზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით (მაგალითად, 5,548,000 ევრო სამოქალაქო სამუშაოებთან დაკავშირებული კონტრაქტებისთვის, რაც 15,8 მლნ ლარის ეკვივალენტურია) მოსალოდნელია, რომ საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილის განხილვა ჯერ კიდევ მოხდება დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის წინა ბრძანების მიხედვით, იმდენად რამდენადაც ჯერაც ის გამოიყენება უფრო მცირე თანხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას.

PI-25. არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი

200. ეს ინდიკატორი აფასებს არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლის საერთო ეფექტურობას. საჯარო მოსამსახურეთა სახელფასო ხარჯების კონტროლი განიხილება PI-23-ში. შეფასების დროის პერიოდი: შეფასების განხორციელების დროა. შეფასება მოიცავს ადგილობრივ მთავრობას.

ინდიკატორი / კვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M2 AV მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-25: არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი	A	

⁵⁹ დათარიღებული 2018 წლის 8 თებერვლით

25.1 მოვალეობების გადანაწილება	A	„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანების შესაბამისად, მოვალეობები გადანაწილებულია ხარჯების გაწევის მთელი პროცესის განმავლობაში პასუხისმგებლობების მიხედვით, რომელიც მკაფიოდ არის გადმოცემული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) სხვადასხვა დონეზე.
25.2 ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტროლის ეფექტურობა	A	ვალდებულებების კონტროლი გამოიყენება ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან გაკეთებული ყველა გადახდის მიმართ. ფაქტიური ხარჯების გაიწევა დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში და არ აღემატება აღებულ ვალდებულებებსა და პროგნოზირებულ ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს.
25.3 გადახდის წესებისა და პროცედურების დაცვა	A	გადახდები წარმოებს წესებისა და პროცედურების მკაცრი დაცვით

201. არასახელფასო ხარჯების განხორციელებაზე შიდა კონტროლის ეფექტურობა უზრუნველყოფილია საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) შექმნით. სისტემა ფარავს არასახელფასო ხარჯების განხორციელების მთელ პროცესს და შეიმუშავებს სისტემაში კონტროლის საფეხურებს სხვადასხვა თანამშრომლის ფუნქციების შესაბამისად. არასახელფასო ხარჯებისთვის გადახდის პროცედურები განსაზღვრულია „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით, რომლის შესრულებაც ხორციელდება ყველა მხარჯავი დაწესებულების მიერ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ მთავრობებში.

25.1. მოვალეობების გადანაწილება

202. ფუნქციები მკაფიოდ არის გადანაწილებული მუნიციპალიტეტის დებულებებით, შიდა რეგულაციებით, სამუშაო აღწერილობებით და სხვა შიდა დოკუმენტებით. შესაბამისი პირის დაშვების დონე საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში (PFMIS) განსაზღვრულია „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანებით. სისტემასთან წვდომის უფლების მოპოვების მიზნით, მხარჯავი დაწესებულება უკავშირდება სახელმწიფო სახაზინო სამსახურს სისტემაზე წვდომის (ან გაუქმების) თხოვნით და წარადგენს შესაბამისი წესებით შევსებულ დანართს. საბუღალტრო და გადახდის დოკუმენტების ავტორიზაციის წვდომასთან დაშვების დონეები განსხვავდება თანამშრომლების ფუნქციების შესაბამისად ავტორიზაციის, რეგისტრაციის / რედაქტირების, შემოწმების თვალსაზრისით და ა.შ. ტრენინგი სისტემაზე ხორციელდება პირის დაშვების დამტკიცების შემდეგ.

203. არსებობს ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან წვდომის 3 ტიპი:

- მონაცემების შეყვანა / დოკუმენტის ელექტრონული ფორმით მომზადება;
- დადასტურება ელექტრონული დოკუმენტის შევსების შემდეგ;
- ელექტრონული დოკუმენტის სახელმწიფო სახაზინო სამსახურში გადაგზავნა.

204. გადახდის ყველა ეტაპზე უფლებამოსილი პირების წვდომის მართვა გადახდების ყველა ეტაპზე ხორციელდება შესაბამისი მოდულის ელექტრონული პასპორტის საშუალებით. მოდული შეიცავს პირად ნომერს, სახელს და გვარს, სამუშაო ადგილს, პოზიციას და ავტორიზებული პირის საკონტაქტო ინფორმაციას. მინიმუმ 3 პირი არის ჩართული პროცესში თითოეული ეტაპის შესასრულებლად: შექმნა, შემოწმება და დადასტურება; და ხაზინაში გადაგზავნა. ხაზინაში წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ საფინანსო სამსახურის უფროსს და მერს. შესყიდვაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია მუნიციპალიტეტსა და შესყიდვების სააგენტოს შორის, რაც უზრუნველყოფს შესყიდვების სააგენტოს მიერ შესყიდვებთან დაკავშირებული მოვალეობების გადანაწილებას და კონტროლს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

25.2. ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის ეფექტურობა

205. მუნიციპალიტეტის გადახდების დამუშავება ხორციელდება ხაზინის ელექტრონული სისტემის საშუალებით, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად კვარტალური განაწილების ფარგლებში (PI-21.3) და მათი გადახდა წარმოებს ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან. გადახდების პროცედურები ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განსაზღვრულია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით, რომლის შესრულებაც ხორციელდება ყველა მხარჯავი დაწესებულების მიერ (ცენტრალური მთავრობა და მუნიციპალიტეტი)⁶⁰. ვალდებულებების მართვის კონტროლის მექანიზმი გამოიყენება ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან განხორციელებული ყველა გადახდისთვის. ყოველწლიური გეგმა კვარტალური განწერით აისახება სახაზინო სისტემაში ბიუჯეტის დაგეგმვის და ასიგნებების მართვის მოდულიდან. ფაქტიური ხარჯები გაიწევა დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების, აღებული ვალდებულებებისა და პროგნოზირებული ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ფარგლებში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

25.3. გადახდის წესებისა და პროცედურების დაცვა

206. იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტმა განახორციელოს გადახდები ხაზინის ელექტრონული სისტემის საშუალებით, პირველ რიგში ხდება კონტრაქტის რეგისტრაცია,

⁶⁰<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2665096>

შემდეგ წარმოებს ვალდებულებების აღრიცხვა და შემდეგ კი ხორციელდება გადახდა. არსებობს სისტემაში ავტორიზაციის სამსაფეხურიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- i) დოკუმენტის შექმნა;
- ii) დოკუმენტის შემოწმება/ ვალიდაცია; და
- iii) ხაზინისთვის დოკუმენტის გაგზავნა;

207. სისტემა ასევე უზრუნველყოფს ავტენტურობის და ხელმოწერის დადასტურებისთვის უსაფრთხო მექანიზმს, რომელიც ახდენს მონაცემთა ბაზაში არაავტორიზებული წვდომის პრევენციას.

208. დაბალი რისკის მქონე გადახდები, რომლებიც შეესაბამება გარკვეულ პარამეტრებს ასევე ავტომატურად მუშავდება „მწვანე დერეფნის“ საშუალებით. მათ მიეკუთვნება ანგარიშები კომუნალური მომსახურებებისთვის და სამივლინებო ხარჯები. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-26. შიდა აუდიტი

209. ეს ინდიკატორი აფასებს სტანდარტებს და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება შიდა აუდიტის მიმართ. შეფასების დროის პერიოდი 26.1 და 26.2 ქვეინდიკატორისთვის არის შეფასების დრო; 26.3 ქვეინდიკატორისთვის კი - ბოლო დასრულებული ფისკალური წელი. 26.4 ქვეინდიკატორის შეფასებისთვის გამოიყენება ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აუდიტის ანგარიშები. ინდიკატორი მოიცავს ადგილობრივ მთავრობას.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M1 WL მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-26: შიდა აუდიტი	B+	
26.1 შიდა აუდიტის მასშტაბი	A	არსებობს შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც მოიცავს მთლიანად ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობას.
26.2 აუდიტის სახეები და გამოყენებული სტანდარტები	B	შიდა აუდიტორული საქმიანობა ყურადღებას ამახვილებს შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებებზე და ის ფოკუსირებულია მაღალი რისკის სფეროებზე. შიდა აუდიტის საქმიანობა წარიმართება შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც შეესაბამება შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის სახელმძღვანელოებს.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების M1 WL მეთოდი)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
26.3 შიდა აუდიტორების და ანგარიშგების განხორციელება	A	წლიური აუდიტის გეგმები არსებობს და მისი მონიტორინგი წარმოებს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ. 2017 წელს ყველა გეგმიური აუდიტი დასრულდა და მათ შესახებ ანგარიშები მიეწოდა შესაბამის მხარეებს.
26.4 რეაგირება შიდა აუდიტის რეკომენდაციებზე	A	მენეჯმენტის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, შიდა აუდიტის ყველა რეკომენდაცია დროულად შესრულდა.

26.1. შიდა აუდიტის მასშტაბი

210. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად (2011 წლის 9 დეკემბრის #5447 საქართველოს კანონი) შიდა აუდიტი ჩამოყალიბდა ცენტრალური მთავრობისთვის. 2012 წლის მარტში, ფინანსური კონტროლის შესახებ კანონი გავრცელდა ადგილობრივ მთავრობებზეც და საინსპექციო სამსახურები გადაკეთდა შიდა აუდიტის სამსახურებად.

211. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის საქალაქო სამსახურში დასაქმებულია 7 ადამიანი და არის ერთი ვაკანტური ადგილი. ორი თანამშრომელი ახორციელებს მონიტორინგს. სამსახური ახორციელებს შესაბამისობის აუდიტებს, თუმცა, 2017 წელს შეიმუშავა საპილოტე ეფექტიანობის აუდიტი. შიდა აუდიტი მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ყველა ოპერაციას. ამ ინდიკატორის შეფასებაა A.

26.2. აუდიტის სახეები და გამოყენებული სტანდარტები

212. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი განსაზღვრავს შიდა აუდიტორული შემოწმების შემდეგ ხუთ სახეს, ესენია: ფინანსური აუდიტი; შესაბამისობის აუდიტი; სისტემური აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის მომზადების პროცესს და მის მიწოდებას შესაბამისი მხარეებისთვის. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები განიხილება იმ სუბიექტთან, რომლის აუდიტორული შემოწმებაც განხორციელდა და რომლის მოსაზრებაც გამოხატულია დასკვნით ანგარიშში აუდიტორული შემოწმების შესახებ.

213. საქართველოს აქვს ჰარმონიზაციის ცენტრი (CHU), რომელიც 2010 წელს ამოქმედდა. ცენტრი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტს. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ცენტრი უზრუნველყოფს შიდა აუდიტის შეფასებას, კოორდინაციას და

ჰარმონიზაციას, ფინანსურ მართვას და კონტროლის სისტემის დანერგვას მხარჯველ დაწესებულებებში. შიდა აუდიტის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან.

214. შიდა აუდიტორული შემოწმება წარმოებს შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ ინსტრუქციის შესაბამისად, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად. სახელმძღვანელო ძირითადად მოიცავს სისტემას, შესაბამისობას და ფინანსურ აუდიტორულ შემოწმებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისთვის სახელმძღვანელოს შემუშავება დაგეგმილია 2018 ფისკალური წლის ბოლოსთვის. შიდა აუდიტორული შემოწმების მეთოდოლოგია შესაბამისობაშია პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო ჩარჩოსთან (IPPF), რომელიც გამოქვეყნებულია შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ და უზრუნველყოფს შესაბამისობას შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგიაში არ არის ასახული ჩარჩოში 2017 წელს შეტანილი ცვლილებები. ასევე საქართველოს მთავრობის #1836 განკარგულების (თარიღი: სექტემბერი 18, 2011) შესაბამისად, მიღებულია ეთიკის კოდექსი, რომლის დაცვა ევალება ყველა შიდა აუდიტორს. მომზადდა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტი, რომელიც გამოიყენება შიდა აუდიტორების მიერ. ეს სახელმძღვანელოები უზრუნველყოფენ, რომ შიდა აუდიტორული შემოწმება ფოკუსირებული იყოს შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებაზე და იმავდროულად მაღალ რისკიან სფეროებზე.

215. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები და კონკრეტული პროცედურები განსაზღვრულია შიდა აუდიტორებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში, რომელიც მომზადდა ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ. მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს შემუშავებული აქვს საკუთარი სახელმძღვანელო რისკების შეფასებისა და რისკების მართვის საფუძველზე. აღნიშნულ სამსახურს ტექნიკურ დახმარებას უწევს USAID-ის პროგრამა - „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GGI) საქართველოში, კერძოდ კი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ ტრენინგით. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

26.3. შიდა აუდიტორების და ანგარიშგების განხორციელება

216. საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების ყველა შიდა აუდიტორი რისკის შეფასების საფუძველზე და უწყების მიზნების და მისიის გათვალისწინებით, ამზადებს სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების უფროსს. აღნიშნული წლიური გეგმები ასევე ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრს და წარმოებს მისი მონიტორინგი. თუ საბიუჯეტო ერთეული არ ახორციელებს წლიური აუდიტის გეგმას, განმარტება უნდა იქნეს მიწოდებული უწყების მენეჯმენტისა და ჰარმონიზაციის ცენტრისთვის.

217. მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს შემუშავებული აქვს სამწლიანი სტრატეგიული გეგმა და წლიური გეგმა. 2017 წელს, კვარტლების მიხედვით ჩამოლილი წლიური

გეგმა მოიცავდა 9 აუდიტის რისკების შეფასების საფუძველზე. ყველა აუდიტი დასრულებულია. 2017 წელს, მერის მოთხოვნით განხორციელდა სპეციალური აუდიტი.

218. PEFA-ს შემფასებელთა ჯგუფმა შეისწავლა 2017 წლის სამოქმედო გეგმა, 2017 წლის წლიური ანგარიში, რისკების შეფასების მეთოდოლოგია და ბათუმის სასწრაფო დახმარების ცენტრის ინსპექციის ანგარიში. აღნიშნული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აუდიტის ანგარიშები კარგად არის აგებული და მოიცავს ყველა შესაბამის მიმართულებას, როგორცაა აუდიტის მიზეზი, ვინ არის ჩართული პროცესში, აუდიტის პროცედურები, რისკების შეფასება (საერთო ბიუჯეტი, როდის განხორციელდა უკანასკნელი აუდიტი და საქმიანობის და სტრუქტურის სირთულე), ინტერვიუები, მნიშვნელოვანი დასკვნები რეკომენდაციებით.

219. ანგარიშები წარედგინა მერს და ყველა ინსპექტირებულ ერთეულს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

26.4. რეაგირება შიდა აუდიტის რეკომენდაციებზე

220. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის 24 -ე მუხლი მოითხოვს, რომ შიდა აუდიტის წლიური ანგარიში, აუდიტის რეკომენდაციებთან ერთად, მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე წარედგინოს დაწესებულების ხელმძღვანელს. აღნიშნული ანგარიში ასევე წარედგინება ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრს. შიდა აუდიტორული შემოწმების ობიექტი უწყების უფროსს უგზავნის ანგარიშს შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსის შესახებ.

221. შიდა აუდიტის სამსახური ხელმძღვანელობს შემდეგი პროცესით:

- კვლევის შემდეგ ანგარიშის პროექტი რეკომენდაციებთან ერთად წარედგინება ინსპექტირებულ დაწესებულებას განხორციელებისთვის გამოყოფილი ვადების ფარგლებში. ინსპექტირებული დაწესებულება რეაგირებას ახდენს შეთანხმების / შეუთანხმებლობის თვალსაზრისით.
- შემდეგ, საბოლოო ანგარიში გაიცემა რეკომენდაციებით, ინსპექტირებული დაწესებულებისგან მიღებული პასუხის გათვალისწინებით.
- ანგარიშს განიხილავს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმება ხდება დროულად.
- მომდევნო შემოწმება ხორციელდება რეკომენდაციების შესრულების შესაფასებლად.
- იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი აუდიტი ჩატარდება მომავალში, ის მოიცავს წინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს.

222. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მონაცემები რეკომენდაციების⁶¹ შესრულების შესახებ შემდგენიანია:

⁶¹ ეს ცხრილი ძირითადად ეფუძნება შემოწმებული ორგანიზაციებისგან მიღებულ ანგარიშებს. შიდა აუდიტის სამსახურმა რესურსების შეზღუდვების გამო ვერ შეძლო ანგარიშების სისწორეს გადამოწმება. შეიქმნა მონიტორინგის სამსახური.

ცხრილი 26.4 შიდა აუდიტის მონაცემები

	2015 ⁶²	2016	2017
განხორციელებული აუდიტების რაოდენობა	24	8	10
რეკომენდაციების რაოდენობა	290	90	50
სრულად შესრულებული რეკომენდაციები	185	90	50
ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციები	71	0	0
შეუსრულებელი რეკომენდაციები	34	0	0

წყარო: ბათუმის შიდა აუდიტის სამსახური

223. დაფარული პერიოდის განმავლობაში შესრულდა რეკომენდაციების 75.6%, ნაწილობრივ შესრულდა რეკომენდაციების 16.5% და არ შესრულდა რეკომენდაციების 7.9%. ნაწილობრივ და არ შესრულებული რეკომენდაციები ფიქსირდება 2015 წლამდე, მანამ, სანამ სამსახურმა აიყვანა თანამშრომლები აღნიშნული საქმიანობისთვის. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

მექვესე ბლოკი: აღრიცხვა და ანგარიშგება

PI-27. ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა

224. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ როგორ წარმოებს ხაზინის საბანკო ანგარიშების, გაურკვეველი თანხების ანგარიშების და საავანსო ანგარიშების რეგულარული შეჯერება და თუ როგორ უწყობს ხელს არსებული პროცესები ფინანსური მონაცემების სიზუსტეს. ის შეიცავს ოთხ ქვეინდიკატორს და იყენებს შეფასების M2 (AV) მეთოდს. შეფასების დროის პერიოდი 27.1, 27.2 და 27.3 ქვეინდიკატორებისთვის არის შეფასების პერიოდის წინა ფისკალური წელი. 27.4 ქვეინდიკატორისთვის დროის პერიოდი არის შეფასების განხორციელების დრო. 27.1 ქვეინდიკატორის ფარავს ადგილობრივ მთავრობას, ხოლო 27.2, 27.3 და 27.4 ქვეინდიკატორები ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

⁶² აუდიტების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, რამაც გავლენა იქონია ანგარიშების ხარისხზე. ჰარმონიზაციის ცენტრის რეკომენდაციით აუცილებელია აუდიტების რაოდენობის შემცირება და თითოეული აუდიტისთვის უფრო მეტი დროის გამოყოფა. შიდა აუდიტის სამსახური ასრულებს აღნიშნულ რეკომენდაციას 2016 წლიდან.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების მეთოდი M2 AV)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-27: ფინანსური ინფორმაციის საიმედოობა	A	
27.1 საბანკო ანგარიშის შეჯერება	A	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური ყველა თავისი ნაშთის ერთიანი სახაზინო ანგარიშის ქვეანგარიშებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სხვა საბანკო ანგარიშებთან შეჯერებას აწარმოებს ყოველდღიურად.
27.2 დროებითი ანგარიშები	NA	მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დროებითი ანგარიშები.
27.3 საავანსო გადახდები	A	წინასწარ გადახდილი თანხების შეჯერება ხორციელდება ყოველთვიურად. ყველა გაცემული ავანსის დახურვა დროულად წარმოებს.
27.4 პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის საიმედოობას	A	დოკუმენტებთან წვდომა და მათი ცვლილების შესაძლებლობა შეზღუდულია, შესაბამისად აღირიცხება და შესაძლებელია ცვლილებების კვალის მიდევნება („აუდიტის კვალი“). ფინანსური მონაცემების საიმედოობა უზრუნველყოფილია ხაზინის მიერ, რომელიც განიხილავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ ინფორმაციას და მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ახორციელებს სისტემაში არავტორიზებული წვდომის მონიტორინგს. შიდა აუდიტორები და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე ახორციელებენ ფინანსური მონაცემების საიმედოობის აუდიტორულ შემოწმებას.

27.1. საბანკო ანგარიშის შეჯერება

225. მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური აწარმოებს თავისი ნაშთების შეჯერებას ერთიანი სახაზინო ანგარიშის ქვეანგარიშებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სხვა საბანკო ანგარიშებთან. ერთიანი სახაზინო ანგარიში ანგარიშსწორების ვალუტაა ლარი. ბრუნვა ანგარიშზე და ყოველდღიური ნაშთების მონიტორინგი წარმოებს რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემით (RTGS). RTGS სისტემა სრულად ავტომატიზებულია. ის მუშაობს „ონლაინ“ რეჟიმში და მონაცემთა გადაცემა მომენტალურია. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

27.2 დროებითი ანგარიშები

226. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დროებითი ანგარიშები. ხარჯებს ენიჭებათ შესაბამისი კოდი საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება NA.

27.3. საავანსო გადახდები

227. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მომწოდებლებისთვის ავანსის გადახდა დაშვებულია თითოეულ კონტრაქტში შეთანხმებული ვადების და პირობების შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის განისაზღვრება გადახდის ინსტრუქციები, რომელთა თანახმადაც წინასწარი გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო სისტემაში რეგისტრირებული კონტრაქტების და წარმოქმნილი ვალდებულებების შესაბამისად საბანკო გადარიცხვის მეშვეობით (რაც გულისხმობს, რომ ნაღდი ანგარიშსწორება არ არის დაშვებული). საავანსო თანხების გადახდა ხორციელდება საბანკო გარანტიების საფუძველზე და მათი დახურვა შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს. საბანკო გარანტიის თარიღი შეტანილია სახაზინო სისტემაში და წარმოებს მისი მონიტორინგი. იმ შემთხვევებში, სადაც საბანკო გარანტიის ვადის გასვლის თარიღი დგება და შეთანხმებული მომსახურება ან საქონელი მიწოდებული არ არის, ან გარანტიის ამოწურვის თარიღი არ არის გაგრძელებული, შემდგომი გადახდა არ იქნება დაშვებული რეგისტრირებული კონტრაქტიდან გამომდინარე და წინასწარ გადახდილი თანხები დაბრუნებული იქნება საჭიროების შემთხვევებში საბანკო გარანტიის საფუძველზე.

228. სამივლინებო ხარჯების დაფარვა ხდება დღიური ნორმის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ სამგზავრო ბილეთებზე დაყრდნობით გაანგარიშებული დღეების შესაბამისად. დამტკიცებული მივლინების გეგმაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დღიური ხარჯების ნორმაზე უნდა გაირკვეს მივლინებიდან 2 კვირის ვადაში. მუნიციპალიტეტისთვის თანხის არდაბრუნების შემთხვევაში, თანხა გამოიქვითება შემდეგი თვის ხელფასიდან.

229. საავანსო გადახდის შესახებ ანგარიშგება ავტომატურად მუშავდება მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ. ანგარიში დეტალურია და შეიცავს ინფორმაციას ორგანიზაციის დასახელების, თანამშრომლის სახელი/ გვარის, ავანსის მოთხოვნის ნომრის, წინასწარ გადახდილი თანხის, გაცემის თარიღის და დამოწმების თარიღის შესახებ. საავანსო გადახდის დაფარვის თარიღები მოწმდება რეგულარულად. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

27.4. პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის საიმედოობას

230. დოკუმენტების შექმნა ან შეცვლა არ შეიძლება განხორციელდეს „აუდიტის კვალის“ დატოვების გარეშე. „აუდიტის კვალის“ მეშვეობით შესაძლებელია ინდივიდუალური ანგარიშვალდებულება, ჩარევის გამოვლენა და პრობლემების ანალიზი. ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან გენერირებული „აუდიტის კვალი“ იძლევა ინფორმაციას, თუ ვინ განახორციელა

წვდომა მონაცემებზე, ვინ წამოიწყო ტრანზაქცია, ვინ დაამტკიცა ის, ჩანაწერის გაკეთების დრო და თარიღი, ჩანაწერის ტიპი, რა სახის ინფორმაცია არის მასში და რომელი ფაილის განახლება მოხდა.

231. ფინანსური მონაცემების საიმედოობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა აკისრია მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსს. შემოწმებები ტარდება რეგულარულად. ხაზინის მომსახურების დეპარტამენტი ყოველდღიურად განიხილავს საბიუჯეტო ორგანიზაციების, მათ შორის ყველა მუნიციპალიტეტის ფინანსური მონაცემების სისწორეს. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასთან არაავტორიზებული წვდომის მონიტორინგს. შიდა აუდიტორები და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებენ აუდიტორულ შემოწმებას ფინანსური მონაცემების სიზუსტის და სისრულის დასადგენად. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-28. შიდა წლიური ანგარიშები

232. ეს ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად ყოვლისმომცველი, ზუსტი და დროულია ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია. დროის პერიოდი არის გასული დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორი მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების მეთოდი M1 WL)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-28: შიდა წლიური ანგარიშები	B+	
28.1 ანგარიშების შესადარისობა და მოცვა	A	ბიუჯეტის შესახებ ანგარიშებში მონაცემების მოცვა და კლასიფიკაცია შესაძლებელს ხდის თავდაპირველ ბიუჯეტთან პირდაპირ შედარებას. ინფორმაცია მოიცავს მუნიციპალიტეტის ყველა ხარჯს და შემოსავალს.
28.2 შიდა წლიური ანგარიშების ვადები	A	ანგარიშები კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ მზადდება ყოველთვიურად. ყოველკვარტალური ანგარიშები წარედგინება საკრებულოს და ქვეყნდება.
28.3 შიდა წლიური ანგარიშების სიზუსტე	B	მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებით არ არსებობს არსებითი შენიშვნები. ინფორმაცია ხარჯების შესახებ ასახულია ელექტრონული ხაზინის სისტემაში გადახდის ეტაპზე.

28.1. ანგარიშების შესადარისობა და მოცვა

233. კლასიფიკაცია ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში ემყარება GFSM 2001-ს. 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ელექტრონული ბიუჯეტის სისტემა ინტეგრირებულია ელექტრონული ხაზინის სისტემასთან, სადაც მოცული და აღრიცხულია ხარჯების გეგმები. ეს ინტეგრირებული სისტემები შესაძლებელს ხდის წლის განმავლობაში ყოველთვიური, ყოველკვარტალური და ასევე წლიური ანგარიშების კონსოლიდაციას და მომზადებას.

234. ყოველთვიური ანგარიშების მონაცემების მოცვა და კლასიფიკაცია ბიუჯეტის საფუძველზე ხდება და მოიცავს მუნიციპალიტეტის ყველა ხარჯს და შემოსავალს, მათ შორის სსიპ-ების მიერ ერთიანი სახაზინო ანგარიშის მეშვეობით გაწეულ ხარჯებს. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

28.2. შიდა წლიური ანგარიშების ვადები

235. ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური ანგარიშები მზადდება თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში⁶³. კვარტალური ანგარიშები მზადდება კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში და ბიუჯეტის კოდექსის (84-ე და 85-ე მუხლების) შესაბამისად წარედგინება საკრებულოს. კვარტალური ანგარიშები ქვეყნდება ბათუმის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე⁶⁴. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

28.3. შიდა წლიური ანგარიშების სიზუსტე

236. ყოველთვიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები ეფუძნება სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებს. კვარტალური ანგარიშები უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულების ანალიზს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარესთან გამართული განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებით არ არსებობს არსებითი შენიშვნები. ამასთან ერთად, ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებში, ქმნის საფუძველს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისთვის, რომლის შემოწმებას და დამტკიცებასაც ახორციელებს საკრებულო. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოიცავს ელექტრონული ხაზინის სისტემაში გადახდის ეტაპებს, თუმცა სისტემას ასევე აქვს შესაძლებლობა მოიცვას ვალდებულებებიც. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

PI-29. წლიური ფინანსური ანგარიშები

237. ეს ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად სრული და დროულია წლიური ფინანსური ანგარიშგებები და რამდენად შეესაბამება ისინი საყოველთაოდ აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს და სტანდარტებს. შეფასების დროის პერიოდი არის გასული

⁶³ ექვსი ანგარიშის ნიმუშის მიხედვით

⁶⁴ <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=49>

დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორის შეფასება მოიცავს ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტს.

ინდიკატორი /კვინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების მეთოდი M1 WL)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-29: წლიური ფინანსური ანგარიშები	D+	
29.1 წლიური ფინანსური ანგარიშების ყოვლისმომცველობა	C	მუნიციპალიტეტისთვის ფინანსური ანგარიშები ყოველწლიურად მზადდება და ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს. ის შეიცავს ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. თუმცა, ეს ანგარიშები მუნიციპალიტეტისთვის არ არის კონსოლიდირებული.
29.2 ანგარიშების წარდგენა გარე აუდიტისთვის	D	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოველწლიური აუდიტი არ არის სავალდებულო. ანგარიშების აუდიტი ხორციელდება პერიოდულად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ რისკების შეფასების კრიტერიუმებით განსაზღვრული წლიური სამუშაო პროგრამის საფუძველზე. შეფასება შეესაბამება PEFA- ს და მათი დასრულების კანონით განსაზღვრული ვადები დაცულია.
29.3 ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები	C	მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან მოამზადონ ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ ეროვნულ სტანდარტებს.

29.1. წლიური ფინანსური ანგარიშების ყოვლისმომცველობა

238. მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 24 დეკემბრის № 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 86-ე და 87-ე მუხლების შესაბამისად.

239. არსებობს ორი წლიური ანგარიში. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში უნდა მომზადდეს ფისკალური წლის დასრულებიდან ორი თვის ვადაში. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

წარედგინება საკრებულოს განხილვისა და დამტკიცებისთვის. ანგარიში შეიცავს შემდეგ ინფორმაციას 87 -ე მუხლის შესაბამისად:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- გ) საბიუჯეტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- დ) პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- ე) ინფორმაციას, სარეზერვო ფონდებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის მიზნით გამოყოფილი ასიგნებების და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის საჭირო თანხების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ვ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს; და
- ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

240. მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება ყოველწლიურად მზადდება საფინანსო სამსახურის მიერ, ფისკალური წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშგება ედრება დამტკიცებულ ბიუჯეტს. ის შეიცავს ინფორმაციას მხოლოდ ბათუმის მერიის შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. თუმცა, ეს ანგარიშები მუნიციპალიტეტისთვის არ არის კონსოლიდირებული.

241. თითოეულ განვლილ ფისკალურ წელს, ფინანსური ანგარიშგება და წლიური შესრულების ანგარიში მომზადდა კანონით განსაზღვრულ ვადაში. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C.

29.2 ანგარიშების წარდგენა გარე აუდიტისთვის

242. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოველწლიური აუდიტი არასავალდებულოა. კანონით არ არის მოთხოვნილი მუნიციპალიტეტის წლიური ანგარიშების (როგორც ფინანსური ანგარიშგების, ასევე შესრულების ანგარიშების) აუდიტისთვის წარდგენა. საბიუჯეტო კოდექსი ადგენს, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ბიუჯეტის აუდიტის მოსაზრება და საბიუჯეტო აღსრულების შესახებ წლიური ანგარიში წარმოადგენს საჯარო დოკუმენტაციას და ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით."⁶⁵ ანგარიშების აუდიტი ხორციელდება პერიოდულად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ რისკების შეფასების კრიტერიუმებით განსაზღვრული

⁶⁵ მუხლი 88.2

წლიური სამუშაო პროგრამის საფუძველზე. თუ მუნიციპალიტეტი შეირჩევა აუდიტისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებს და ინსპექტირებისა და აუდიტის მიზნით დაგეგმავს სავსელ ვიზიტებს. შეფასებასთან დაკავშირებით PEFA-ს სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, აღნიშნულ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება D სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტების ნაკლებობის გამო, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი დასრულების და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოში მათი წარდგენის კანონით განსაზღვრული ვადები დაცულია ყველა გასული სამი ფისკალური წლის განმავლობაში.⁶⁶ ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

29.3. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები

243. მუნიციპალიტეტებს მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება, რომელიც შეესაბამება ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტებს და არა საერთაშორისო სტანდარტებს. დღეისათვის ეროვნული სტანდარტები ეფუძნება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (დარიცხვის მეთოდის საფუძველზე), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 24 დეკემბრის № 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები (ფინანსთა მინისტრის ბრძანებები №1321 და №364) საჯაროდ ხელმისაწვდომია და განიხილება როგორც გამჟღავნებული, ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C.

⁶⁶ მერს (ფინანსური ანგარიშგება 30 აპრილს) და საკრებულოს (ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 28 თებერვალს)

მეშვიდე ბლოკი: გარე შეფასება და აუდიტი

PI-30. გარე აუდიტი

244. ეს ინდიკატორი სწავლობს გარე აუდიტის მახასიათებლებს. შეფასების დროის პერიოდი 1, 2 და 3 ქვეინდიკატორებისთვის არის გასული სამი დასრულებული ფისკალური წელი, ხოლო 4 ქვეინდიკატორისთვის - შეფასების დრო. შეფასება მოიცავს ადგილობრივ მთავრობას. ქვეინდიკატორი 1 ფოკუსირებულია აუდიტის უმაღლესი ორგანოების მუშაობაზე: აუდიტის დაფარვის მასშტაბი, როგორ ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას, ხოლო ქვეინდიკატორი 4 აფასებს მის დამოუკიდებლობას. ქვეინდიკატორი 2, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის დასრულებისთანავე იკვლევს პროცესს და პროცედურებს. ქვეინდიკატორი 3 აფასებს, თუ როგორ რეაგირებენ დაწესებულებები აუდიტის ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებზე.

ინდიკატორი . ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების მეთოდი M1 WL)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-30: გარე აუდიტი	D+	
30.1 აუდიტის მასშტაბი და სტანდარტები	C	მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს შემოსავლებს, ხარჯებს, აქტივებს და ვალდებულებებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წლის განმავლობაში, ფინანსური ანგარიშგებების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშის აუდიტი ხორციელდება აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გამოყენებით. აუდიტის დაფარვა 2015 და 2017 ფისკალური წლებისთვის იყო მუნიციპალიტეტის მერიის სრული აუდიტი. აუდიტის პროცესში გამოვლინდა შესაბამისი არსებითი საკითხები და სისტემური და კონტროლთან დაკავშირებული რისკები.
30.2 საკანონმდებლო ორგანოში აუდიტის ანგარიშების წარდგენა	D	მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგებების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ყოველწლიური აუდიტი არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას კანონით. აუდიტებს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური რისკების შეფასებით განსაზღვრული სამუშაო პროგრამის საფუძველზე, და ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუნიციპალიტეტების აუდიტები შეძლებისდაგვარად ხშირად ხორციელდება. ისინი წარედგინება პარლამენტს და არა საკრებულოს.

30.3 გარე აუდიტის შედეგების რეალიზაცია	B	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციები ასრულებენ აუდიტის რეკომენდაციებს. ყოველ ექვს თვეში ერთხელ წარმოებს მათი შესრულების მონიტორინგი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 56%-ს განვლილი სამი წლის განმავლობაში.
30.4 აუდიტის უმაღლესი ორგანოს დამოუკიდებლობა	A	სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გენერალური აუდიტორის დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურებთან დაკავშირებით, ასევე აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვასთან, ანგარიშების გამოქვეყნების ორგანიზებასთან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცებასა და შესრულებასთან მიმართებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეუზღუდავი და დროული წვდომა აქვს აუდიტის სუბიექტების (საბიუჯეტო ორგანიზაციების) ჩანაწერებთან, დოკუმენტებთან და ინფორმაციასთან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით სახელმწიფო აუდიტის შესახებ.

30.1. აუდიტის მასშტაბი და სტანდარტები

245. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტები ხორციელდება აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გამოყენებით. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი ხორციელდება ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიის (ISSAI 1000 - 2999) და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის (ISSAI 4000 - 4200) მიხედვით, რომლებიც ეყრდნობა რისკზე დამყარებულ მიდგომას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2011 წლიდან ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ISSAI სტანდარტებთან შესაბამისობას, ISSAI 40-ის (აუდიტის უმაღლესი ორგანოებისთვის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით), ISSAI 1220-ის (ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით) და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC 1) მიხედვით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს სტრატეგიული გეგმა 2018-2022 წლებისთვის, რომელიც განსაზღვრავს რეფორმების პროგრამას და აუდიტების განხორციელების გეგმას. სტრატეგია მოიცავს ISSAI -სთან შესაბამისობის შეფასებას. ასევე არსებობს წლიური აუდიტის გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ასევე აქვს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა. ამას გარდა აქვს საკუთარი აკადემია, სადაც ხდება აუდიტორთა სერტიფიცირება, რომლებიც შემდეგ კვალიფიცირებულნი არიან საჯარო სექტორის ორგანიზაციებზე აუდიტის ჩასატარებლად.

246. სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტს ატარებს რისკების შეფასებით განსაზღვრული სამუშაო პროგრამის საფუძველზე, და ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუნიციპალიტეტების აუდიტები შეძლებისდაგვარად ხშირად ხორციელდება. მუნიციპალიტეტის აუდიტი უნდა განხორციელდეს სამ წელიწადში ერთხელ, თუმცა რისკ ფაქტორების გათვალისწინებით აუდიტი შესაძლოა ჩატარდეს უფრო ხშირად. ასევე შესაძლოა განხორციელდეს სპეციალური აუდიტი გარე მოთხოვნის საფუძველზე, მაგალითად, მუნიციპალიტეტის მერის ან თუნდაც საზოგადოების წევრის მიერ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური აუდიტი განხორციელდა 2015 და 2016 წლებში.

247. 2015-2017 ფისკალური წლების განმავლობაში ბათუმის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აუდიტების რაოდენობა ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 30.1 ბათუმის მუნიციპალიტეტის აუდიტები მათი ტიპების მიხედვით

აუდიტის ტიპი	2015	2016	2017
ფინანსური აუდიტი	2	1	-
შესაბამისობის აუდიტი	5	-	-
სულ	7	1	0

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

248. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება C, რადგან ფინანსურმა აუდიტმა მოიცვა საერთო ხარჯების 51.2% (დანართი 4, ცხრილი 10).

249. ორი დამატებითი შესაბამისობის აუდიტი განხორციელდა 2018 წელს და მოიცვა 2015-2016 ფისკალური წლების პერიოდი. ასევე განხორციელდა ეფექტიანობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2015-2018 წლების პერიოდი.

30.2. საკანონმდებლო ორგანოში აუდიტის ანგარიშების წარდგენა

250. მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგებების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ყოველწლიური აუდიტი არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას კანონით. აუდიტის დასრულების შემდეგ, პროექტი წარედგინება მერს და საკრებულოს (ასლი ასევე გადაეგზავნება გუბერნატორს ინფორმაციისთვის) გავრცელების მოთხოვნით. მუნიციპალიტეტისგან კომენტარების მიღებისთვის გამოყოფილია 1 კვირა, რასაც მოყვება მუნიციპალიტეტში არსებულ დაინტერესებულ მხარეებსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის განხილვები. საკრებულოს სარევიზიო კომისია განიხილავს მხოლოდ საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, როგორც მხარჯავი დაწესებულება და არა როგორც მაკონტროლირებელი ორგანო. ანგარიშის მერთან შეთანხმების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა 30 დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად იქნება მოცემული მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეულის და ვადების შესახებ ინფორმაცია.

251. აუდიტის ანგარიშის მომზადების შემდეგ, ის წარედგინება საქართველოს პარლამენტს და არა მუნიციპალიტეტის საკრებულოს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით ჩანს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში (მერია) განხორციელდა შესაბამისობის აუდიტები, მაგრამ არ განხორციელებულა ფინანსური აუდიტები.

252. ბათუმში არსებობს 14 აუდიტორი, რომლებიც მოიცავენ 5 მუნიციპალიტეტს და აჭარის რესპუბლიკის მთავრობას. როგორც წესი, აუდიტი გრძელდება 3 თვე პლიუს 1 თვე ანგარიშის და რეკომენდაციების შესათანხმებლად. ბათუმის ოფისი ახორციელებს დაახლოებით 24 აუდიტს წელიწადში. აუცილებლად განსახორციელებელი აუდიტების რაოდენობის და შესაბამისი შტატის გათვალისწინებით, შეუძლებელია ყოველწლიურად ყველა მუნიციპალიტეტის აუდიტის განხორციელება.

253. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება D, რადგან ქვეინდიკატორის PEFA-ს შეფასება არ ითვალისწინებს ადგილობრივი მთავრობის აუდიტის ანგარიშების ცენტრალური მთავრობის საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენას, მაშინაც კი, თუ აუდიტი განხორციელებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ. თუ აუდიტის ანგარიშები მხოლოდ ცენტრალური მთავრობის საკანონმდებლო ორგანოშია წარდგენილი, ქვეინდიკატორს უნდა მიენიჭოს შეფასება D.

30.3. გარე აუდიტის შედეგების რეალიზაცია

254. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება აუდიტის შედეგების რეალიზაცია. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 6 თვეში ერთხელ აწარმოებს შეთანხმებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და აგრძელებს კონტროლს მომდევნო 3 წლის განმავლობაში. ის შემდეგ ახორციელებს რეკომენდაციების კლასიფიკაციას როგორც შეუსრულებელ, ნაწილობრივ შესრულებულ, შესრულებულ ან არარეგულარულ რეკომენდაციებად. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ორი ან მეტი ფისკალური წლის ერთ აუდიტში გაერთიანების პრაქტიკის შესაბამისად, დასკვნები და რეკომენდაციები უკავშირდება ყველა განხილულ წელს.

ცხრილი 30.3 ბათუმში განხორციელებული აუდიტების რეკომენდაციები

დასკვნების რაოდენობა	რეკომენდაციების რაოდენობა	განხორციელებული რეკომენდაციების რაოდენობა	განხორციელებული რეკომენდაციები %-ში
88	50	28	56%
რომელთაგან ფინანსური ანგარიშგების აუდიტებია	17	9	53%

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

255. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის განხორციელებული აუდიტების რეკომენდაციების 53% შესრულდა, თუმცა, რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის დადგენილი პერიოდი (3 წელი) ჯერ კიდევ არ გასულა. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება B.

30.4. აუდიტის უმაღლესი ორგანოს დამოუკიდებლობა

256. საქართველოს კონსტიტუციის 97 (2) მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს ოპერაციული, ფინანსური, ფუნქციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. გენერალურ აუდიტორს⁶⁷ ხუთი წლის ვადით ნიშნავს პარლამენტი, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მისი წარდგენის და დასახელებულ კანდიდატებს შორის პარლამენტის წევრთა ხმების უმრავლესობის მოპოვების შემდეგ. საქართველოს კონსტიტუციის 64 -ე მუხლის შესაბამისად, გენერალური აუდიტორი შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან პარლამენტის მიერ მისთვის უნდობლობის გამოცხადების შემდეგ. გენერალურ აუდიტორს შეუძლია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლების დანიშვნა და გათავისუფლება⁶⁸.

257. საქართველოს კანონი “სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ” უზრუნველყოფს ხელისუფლების აღმასრულებელი შტოსგან სამსახურის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვის თვალსაზრისით⁶⁹; ანგარიშების გამოქვეყნების მექანიზმებთან დაკავშირებით⁷⁰; და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცებასთან და შესრულებასთან მიმართებით⁷¹. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს შეუზღუდავი და დროული წვდომა ჩანაწერებთან, დოკუმენტებთან და ინფორმაციასთან.⁷² ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A.

PI-31. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება

258. ეს ინდიკატორი ორიენტირებულია ადგილობრივი მთავრობის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების საკანონმდებლო შეფასებაზე, იმ თვალსაზრისით, რომ მათ (ა) კანონით მოეთხოვებათ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენა; ან (ბ) მათი ზემდგომი ან მაკონტროლებელი ერთეული უნდა პასუხობდეს კითხვებს და

⁶⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ მუხლი 9, პუნქტი 1, გენერალური აუდიტორი.

⁶⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 10 პუნქტი (დ), გენერალური აუდიტორის უფლებამოსილება

⁶⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 17, პუნქტი 3, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება

⁷⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 25, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

⁷¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 34, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაფინანსება

⁷² საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 23, პუნქტი 2 და 3, აუდიტის ობიექტის უფლებები და პასუხისმგებლობები

ახორციელებდეს ქმედებებს მათი სახელით. შეფასების დროის პერიოდი არის უკანასკნელი სამი დასრულებული ფისკალური წელი. ინდიკატორი მოიცავს

259. მუნიციპალიტეტის აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება ხორციელდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ, და არა საკრებულოს ან მისი კომისიის მიერ. პარლამენტის მიერ განხილული ბოლო აუდიტის ანგარიშები არ მოიცავს ანგარიშებს ბათუმის მუნიციპალიტეტზე. აღნიშნული ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად ახდენს ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო გარე აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასებას. ეს უნდა განხორციელდეს ადგილობრივი მთავრობის დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვას ახდენს მხოლოდ ეროვნული საკანონმდებლო ორგანო ან ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, აღნიშნული ინდიკატორი არარელევანტურია. SN PEFA საველე სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, თუ აუდიტს ანგარიშები არ არის წარდგენილი საკანონმდებლო ორგანოსთვის და ამ უკანასკნელს არ აქვს განხორციელებული აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვა, ამ ინდიკატორის ყველა ქვეინდიკატორის შეფასება იქნება D. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

ინდიკატორი / ქვეინდიკატორი	მინიმალური მოთხოვნები (შეფასების მეთოდი M2 AV)	
	2018 წლის შეფასება	შეფასების მოკლე დასაბუთება
PI-31: აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება	D	
31.1 აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასების ვადები	D	საკრებულოს მიერ არ განხორციელებულა აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება.
31.2 აუდიტის მიგნებების განხილვა	D	საკრებულოს მიერ არ განხორციელებულა აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება.
31.3 საკანონმდებლო ორგანოს მიერ აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	D	საკრებულოს მიერ არ განხორციელებულა აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება.
31.4 აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვების საჯაროობა	D	საკრებულოს მიერ არ განხორციელებულა აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება.

31.1. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასების ვადები

260. საკრებულოსთვის არ წარდგენილა ბათუმის მუნიციპალიტეტის შესახებ აუდიტის ანგარიშები. ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

31.2. აუდიტის შედეგების განხილვა

261. საკრებულოსთვის არ წარდგენილა ბათუმის მუნიციპალიტეტის შესახებ აუდიტის ანგარიშები. ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

31.3. საკანონმდებლო ორგანოს მიერ აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

262. საკრებულოსთვის არ წარდგენილა ბათუმის მუნიციპალიტეტის შესახებ აუდიტის ანგარიშები. ამ ქვეინდიკატორს მიენიჭა შეფასება D.

31.4. აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვების საჯაროობა

134. ეს ქვეინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად ახდენს ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო გარე აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო განხილვა პარლამენტში მიმდინარეობს⁷³, გარდა ეროვნული უსაფრთხოების ან მსგავსი სენსიტიური დისკუსიებისა, ბათუმის აუდიტის ანგარიშების საჯარო განხილვები არ ტარდება საკრებულოში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ანგარიშებს წარადგენს პარლამენტის სესიაზე და ანგარიშები ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე:<https://info.parliament.ge/#law-drafting>, თუმცა, აღნიშნული არ აკმაყოფილებს ინდიკატორით მუნიციპალიტეტისთვის წაყენებულ მოთხოვნას. საკანონმდებლო შეფასება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი მთავრობის დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვას ახდენს მხოლოდ ეროვნული საკანონმდებლო ორგანო ან ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამ ინდიკატორს მიენიჭება შეფასება D.

⁷³ საჯარო მოსმენები პირდაპირ ეთერში გადმოიცემა პარლამენტის ვებგვერდზე და ტელევიზიით. სესიების აუდიო ჩანაწერები ატვირთულია ვებგვერდზე და ზოგიერთი YouTube- ზე.

4. საჯარო ფინანსების მართვის სისტემების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები

4.1 ეფექტიანობის ინდიკატორების მიხედვით ინტეგრირებული შეფასება

ბიუჯეტის სანდოობა

266. მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ბიუჯეტის სანდოობა ძირითადად დამოკიდებულია ცენტრალური მთავრობისგან მისაღები ტრანსფერების შესახებ ინფორმაციის სანდოობაზე. ამ ინდიკატორს მიენიჭა შეფასება A ტრანსფერების საერთო რაოდენობის და დროული განაწილების თვალსაზრისით, თუმცა მიზნობრივი ტრანსფერების დაბალი მაჩვენებლით (შეფასება D). საერთო შემოსავლების ზუსტი პროგნოზების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები ბოლო წლების განმავლობაში გადაიჭრა. შემოსავლები მეტი იყო ბიუჯეტით გათვალისწინებულზე ორი წლის განმავლობაში, ხოლო მესამე წელს ნაკლები. შემოსავლების სტრუქტურულ ცვალებადობას მიენიჭა შეფასება D. შედეგად, ბიუჯეტის აგრეგირებულ ხარჯებს მიენიჭა შეფასება B+, ხოლო ხარჯების სტრუქტურულ შესრულებას ადმინისტრაციული ტიპის და ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით მიენიჭა შეფასება B. ეს საერთო შედეგი მიღწეულ იქნა ხარჯების სხვადასხვა მუხლებს შორის სახსრების გადანაწილების ძლიერი მხარეების (შეფასება A) და დამატებითი ბიუჯეტების არსებობის კონტექსტში (შეფასება C). ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობასთან შესაბამისობის მიზნით, საბიუჯეტო ასიგნებების კონტროლის პროცესი გამყარებული იყო ფულადი სახსრების ადეკვატური პროგნოზებით (შეფასება A), რომელთა პირობებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციებს ჰქონდა მკაფიო ინფორმაცია ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით თავიანთი ბიუჯეტების დაგეგმილის შესაბამისად შესასრულებლად (შეფასება A). არ არსებობს დაგროვილი დავალიანება (შეფასება A) რაც მიუთითებს იმაზე, რომ ვალდებულებების კონტროლი საკმაოდ ძლიერია.

საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა

266. საქართველოს აქვს ინფორმაციის შთამბეჭდავი მოცულობა ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსებთან დაკავშირებით და აღნიშნული ინფორმაცია ასევე გადმოეცემა მუნიციპალიტეტს. ანგარიშთა გეგმა, რომელიც საფუძველად უდევს ბიუჯეტის მომზადებას, შესრულებას და ანგარიშგებას, ყოვლისმომცველია და შეესაბამება GFS სტანდარტებს (შეფასება A). ინფორმაციის შეტანა ბიუჯეტში ხდება დროულად. შედეგად, საბიუჯეტო დოკუმენტები შეიცავს საბაზისო ინფორმაციის უმეტესობას და ასევე დამატებითი ინფორმაციის დიდ ნაწილს, რომელიც საჭიროა გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის მხარდასაჭერად (შეფასება B). ეს შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდეს ფინანსური აქტივების და პოლიტიკასთან დაკავშირებული ახალი ინიციატივების ფისკალური გავლენის შესახებ ინფორმაციის შეტანით.

267. არსებობს სრული ინფორმაცია საჯარო უწყებების ოპერაციებთან დაკავშირებით, რამდენადაც ის შეტანილია საბიუჯეტო დოკუმენტაციაში. მხარჯავი ორგანიზაციების შემოსავლების და ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლების და მათ დაფინანსებაზე მყოფი უწყებების გაერთიანებით, საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს მთელ ადგილობრივ მთავრობას. ინფორმაცია საქმიანობის გეგმების და მომსახურების გაწევის შუალედური და საბოლოო შედეგების მიღწევების შესახებ სამთავრობო სექტორების მიხედვით კარგია (შეფასება B), თუმცა, დამოუკიდებელი შეფასება უნდა გაუმჯობესდეს (შეფასება D).

268. საჯარო წვდომა ფისკალურ ინფორმაციასთან კარგია (შეფასება B), საჭირო ელემენტების უმეტესი ნაწილის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ბიუჯეტზე მოქალაქის გზამკვლევის ჩათვლით.

აქტივების და ვალდებულებების მართვა

269. სახელმწიფო ინვესტიციების პროგრამების მართვა კარგია. ფინანსური ანალიზი ტარდება სესხით დაფინანსებული პროგრამების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული დამატებითი ინვესტიციების საფუძველზე (შეფასება A) და მიენიჭა შეფასება B. ინვესტიციის რეალიზაციის მონიტორინგს მიენიჭა შეფასება A. სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული რისკების შესახებ საერთოდ არ ხდება ანგარიშგება, თუმცა მუნიციპალური საწარმოების აუდიტი ხორციელდება (შეფასება D). ვალის მართვა შეესაბამება საჭიროებას (შეფასება A), მაგრამ ვალის მართვის სტრატეგია (შეფასება D) დელეგირებულია კრედიტორისთვის.

პოლიტიკაზე დამყარებული ფისკალური სტრატეგია და ბიუჯეტირება

270. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ყოვლისმომცველი საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოს შექმნის მიმართულებით პროგრამული ბიუჯეტირების საფუძველზე, შედეგებზე დამყარებული მიდგომისთვის. მუნიციპალიტეტი აწარმოებს დეტალურ საბიუჯეტო კალენდარს ფაქტიური კედლის კალენდრის ფორმატით (შეფასება B). მისი ეფექტურობა არ იკლებს ტრანსფერების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ვადების დარღვევის შედეგად, რადგან მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა შიდა პროგნოზების სისტემა, რითაც საკმარის დროს უზრუნველყოფს საბიუჯეტო ჭერების გასათვალისწინებლად. საკანონმდებლო ორგანოს საკმარისი დრო აქვს თავისი ფუნქციის განსახორციელებლად. საშუალოვადიანი მიდგომა გამოიყენება ხარჯების ბიუჯეტირებაში. თუმცა, საბაზისო მრავალწლიანი საბიუჯეტო ჭერები მხოლოდ პირობითია, რომელიც ეყრდნობა მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არსებულ სამომავლო საპროგნოზო გათვლებს (შეფასება D). ბიუჯეტის წარდგენა წარმოებს მომდევნო და მისი შემდგომი ორი ფისკალური წლისთვის (შეფასება A) საშუალოვადიანი ჭერების განსაზღვრაზე ფოკუსირებით, სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისად (შეფასება A). გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს წინა ფისკალური პროგნოზებისგან განსხვავების ახსნით (შეფასება D). მუნიციპალიტეტის ფისკალური სტრატეგია დაკავშირებულია მიმდინარე დეფიციტების არარსებობასთან, რომლებიც ვერ დაფინანსდება დანაზოგებიდან და აღნიშნული მიღწეულია (შეფასება B).

ბიუჯეტის შესრულების პროგნოზირებადობა და კონტროლი

271. შემოსავლების ადმინისტრირება ხორციელდება საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ. შემოსავლების ანგარიშში მზადდება ყოველთვიურად მუნიციპალიტეტისთვის (შეფასება A). თანხების ასახვა და შეჯერება ხდება ყოველდღიურად.

272. მუნიციპალიტეტის თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო ხაზინასთან. ფულადი სახსრების შემოდინების და გადინების პროგნოზის საფუძველზე, საქართველოს სახაზინო სამსახური ფულადი სახსრების ნაწილს განათავსებს კომერციულ ბანკებში ყოველდღიური აუქციონების საშუალებით. ფულადი სახსრების ნაშთების კონსოლიდაცია ერთიან სახაზინო ანგარიშზე და კომერციულ ბანკებში ხორციელდება ყოველდღიურად და ინფორმაცია ქვეყნდება ხაზინის ვებგვერდზე (შეფასება A). მუნიციპალიტეტის მიერ ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზი ყოველწლიურად მზადდება მომდევნო წლისთვის და ჩამოილია კვარტლების მიხედვით. მისი განახლება წარმოებს ფაქტიური შემოდინების და გადინების საფუძველზე, განსაკუთრებით კი ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისთვის (შეფასება B). საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების დაგეგმვა და გაწევა ერთი წლით ადრე ყოველკვარტალური განწერის საფუძველზე საბიუჯეტო ასიგნებების და ვალდებულებების შესაბამისად (შეფასება A). საბიუჯეტო თანხების მართვა წარმატებული იყო დავალიანების კონტროლის თვალსაზრისით (შეფასება A).

273. სახელფასო სისტემის კონტროლი ძალიან კარგია (შეფასება B+). საბიუჯეტო ორგანიზაციები ინარჩუნებენ თავიანთი პერსონალის მონაცემთა ბაზებს ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდულის) სისტემის ფარგლებში, რომლის მართვასაც ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება წარმოებს, სულ მცირე, ყოველთვიურად, სანამ მოხდება პერსონალის საბანკო ანგარიშებზე ხელფასების გადახდა. შეჯერება ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდული) სახელფასო ჩანაწერებს და სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის ჩანაწერებს შორის ხორციელდება მაშინვე, როცა თანამშრომელი ინიშნება და რეგისტრირდება სისტემაში. პერსონალის შესახებ ჩანაწერების განახლება წარმოებს ყოველთვე, ყოველთვიური გადახდების განხორციელების დროს. განახლება წარმოებს რეალურ დროში და აისახება ელექტრონული ხაზინის სისტემის სახელფასო მოდულში. საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელფასო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის უფლება გააჩნია ავტორიზებულ პირებს. ცვლილებებს აწარმოებს უფლებამოსილი პირი და მტკიცდება განყოფილების უფროსის მიერ. არსებობს წლიური სახელფასო აუდიტის ძლიერი სისტემა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური და რომელიც ავლენს კონტროლთან დაკავშირებულ ნებისმიერ ნაკლოვანებას და ანგარიშვალდებულების პრობლემას. აღნიშნული არ ხორციელდება ყოველწლიურად (შეფასება B).

274. ყველა სახელმწიფო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის საშუალებით. ჩანაწერების მონაცემთა ბაზების წარმოება ხორციელდება ყველა კონტრაქტისთვის. ინფორმაცია მოიცავს, თუ რისი შესყიდვა განხორციელდა, როგორი იყო შესაბამისი შესყიდვის ფასი და თუ ვინ გაიმარჯვა

ტენდერში. მონაცემები ზუსტია და სრული საქონლის, მომსახურების და სამუშაოს შესყიდვის ყველა მეთოდისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არ ეხება მუნიციპალიტეტს, აღნიშნული კრიტერიუმი შეფასდა როგორც შეუსაბამო მუნიციპალიტეტისთვის. ხელშეკრულებების 96%-ის შესყიდვა წარმოებს კონკურენტული ტენდერით შესყიდვის საშუალებით (შეფასება A). ინფორმაცია ყველა ძირითადი შესყიდვის შესახებ ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის (შეფასება A). თუმცა, დავების პროცესი არ არის სრულად დამოუკიდებელი, რამდენადაც დავების საბჭოს 3 წევრი შესყიდვების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ასევე დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარეცაა უპირატესი ხმის უფლებით (შეფასება D).

275. არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლის შეფასება ყველა ქვეინდიკატორში არის A, მოვალეობების ძლიერი გადანაწილებით, ვალდებულებების ეფექტური კონტროლით და გადახდის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობით. ეს მიღწევა უზრუნველყოფილია საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემით (PFMIS). შიდა აუდიტის ფუნქცია გაძლიერდა (შეფასება B+). შიდა აუდიტის საქმიანობა ფოკუსირებულია შიდა კონტროლის ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებებზე და მაღალი რისკის მატარებელ სფეროებზე, თუმცა ჯერ კიდევ არ ვრცელდება სისტემების აუდიტზე. შიდა აუდიტის საქმიანობა წარმართება ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის - ჰარმონიზაციის ცენტრის ინსტრუქციების თანახმად, რომელიც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის ყველა საქმიანობის თანმიმდევრულობას. მენეჯმენტმა შეასრულა 2015 – 2017 ფისკალურ წლებში შიდა აუდიტის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია (შეფასება A).

აღრიცხვა და ანგარიშგება

276. ანგარიშების შეჯერება და ფინანსური ინფორმაციის სისწორე ძლიერი მხარეებია. საბანკო შეჯერება ცენტრალური მთავრობის ყველა აქტიური საბანკო ანგარიშებისთვის ხორციელდება ყოველდღიურად რეალურ დროში ანგარიშსწორების ერთიანი სისტემის საშუალებით (RTGS) (შეფასება A). არ არსებობს დროებითი ანგარიშები გაურკვეველი ხარჯებისთვის (შეფასება A). წინასწარ გადახდილი თანხების შეჯერება დროულად წარმოებს (შეფასება A). მონაცემთა საიმედოობა კარგია (შეფასება A), რამდენადაც წვდომა და ჩანაწერების ცვლილება შეზღუდული და აღრიცხულია. გაკეთებულ ცვლილებებს მიჰყვება საკმარისი „აუდიტის კვალი“.

277. წლის განმავლობაში მოსამზადებელ საბიუჯეტო ანგარიშებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ, ანგარიშგების მასშტაბი და მონაცემთა კლასიფიკაცია დამტკიცებულ ბიუჯეტთან პირდაპირი შედარების საშუალებას იძლევა. ინფორმაცია მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ყველა საბიუჯეტო საპროგნოზო მაჩვენებელს. ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები მზადდება კვარტალურად და წარედგინება საკრებულოს. ეს ანგარიშები ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან 14 დღის ვადაში (შეფასება A). არ არსებობს რაიმე არსებითი შენიშვნა მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხარჯების შესახებ მოცემულია გადახდების ეტაპზე (შეფასება B).

278. სიტუაცია წლიურ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით სხვადასხვანაირია (საერთო შეფასება D +). ბიუჯეტის შესრულების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიში ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ყოველწლიურად მზადდება და დამტკიცებული ბიუჯეტის შესადარისია. ასევე მომზადებულია შედეგების შესრულების დეტალური ანალიზი. ფინანსური ანგარიშგებები ზოგადად შეიცავს სრულ ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური და მატერიალური აქტივების, ვალდებულებების, გარანტიების და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ, თუმცა მოიცავს მხოლოდ მერიის ხარჯებს და არ არის კონსოლიდირებული სხვა მხარჯველი დაწესებულებების ხარჯებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ მუნიციპალიტეტში (შეფასება C). წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და ფინანსური ანგარიშგებები არ წარედგინება გარე აუდიტისთვის, მათი წარდგენა ხდება მხოლოდ მერისთვის და საკრებულოსთვის (შეფასება D). მუნიციპალიტეტი ფინანსური ანგარიშგებისთვის იყენებს მოქმედ ეროვნულ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს (შეფასება C).

გარე შეფასება და აუდიტი

279. მიუხედავად იმისა, რომ გარე აუდიტის სტანდარტები წარმოადგენს მნიშვნელოვნად ძლიერ მხარეს, წლიური აუდიტის წარმოება არ არის სავალდებულო. აუდიტები მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს (შეფასება D), რაც დამოკიდებულია რიკების ანალიზსა და სახელმწიფო აუდიტს სამსახურის სამუშაო გეგმაზე მისი რესურსების გათვალისწინებით. აუდიტების შედეგად გამოვლინდა არსებითი პრობლემატური საკითხები და სისტემური და კონტროლთან დაკავშირებული რისკები. აუდიტის რეკომენდაციები დაცულია და ხორციელდება მათი მონიტორინგი (შეფასება B). სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ (შეფასება A).

280. თუმცა, აღნიშნული ანგარიშების საკანონმდებლო განხილვები შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს სანიმუშო პრაქტიკად (შეფასება D). საკრებულო არ მონაწილეობს აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვაში და ის მხოლოდ პარლამენტის ვალდებულებად რჩება.

4.2 შიდა კონტროლის ჩარჩოს ეფექტურობა

281. შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თითოეული კომპონენტისთვის რისკებზე რეაგირებისას და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ოპერაციები აკმაყოფილებდეს კონტროლის ამოცანებს. შიდა კონტროლის ჩარჩოს ამოცანებია: ბიუჯეტის შესრულება მოწესრიგებული, ეთიკური, ეკონომიკური, ეფექტიანი და ეფექტური ფორმით, ანგარიშვალდებულება შედეგებთან დაკავშირებით; შესაბამისობა მოქმედ კანონებთან და წესებთან; და რესურსების დაცვა ზარალის, არასწორი გამოყენებისა და ზიანისგან.

282. შიდა კონტროლის გარემო, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 დანართში, ზოგადად ჯანსაღია. შესაბამისი ინდიკატორების და ქვეინდიკატორების შეფასებები აჩვენებს, რომ ადგილობრივი მთავრობის საბიუჯეტო ორგანიზაციების ყოველდღიურ ტრანზაქციებთან

დაკავშირებული კონტროლის სისტემები ფუნქციონირებს და შედეგად იძლევა ადეკვატურ და სწორ მონაცემებს აღნიშნული სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებით. კანონები და წესები ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს და ითვალისწინებს კონკრეტულ როლებს და პასუხისმგებლობებს, მოვალეობების გაყოფას და ოპერაციულ პროცესებს. სისტემა აერთიანებს წვდომასთან დაკავშირებულ კონტროლს და „აუდიტის კვალს“, რომელიც განამტკიცებს შიდა კონტროლის ჩარჩოს.

283. შესაბამისობაზე დამყარებული მიმდინარე მიდგომები განამტკიცებს კონტროლის გარემოს უწყვეტ გაუმჯობესებას იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ძლიერი მხარე ვალდებულებების კონტროლის და მასთან დაკავშირებულ წესებისა და პროცედურების სახით.

284. არსებობს რისკზე დამყარებული მიდგომა, რომელსაც განამტკიცებს ძლიერი შიდა და გარე აუდიტი და საზედამხედველო ფუნქცია. რისკის შეფასება კონტროლის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გამოიყენება შიდა აუდიტის და ანალიზის მიმართ.

285. კონტროლის ღონისძიებები ზოგადად ძლიერია, განსაკუთრებით კი მოვალეობების გადანაწილებასთან და ანგარიშების შეჯერებასთან დაკავშირებით. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის და ხარჯების მუხლებს შორის გადანაწილების საბიუჯეტო წესები სრულდება.

286. შიდა კონტროლის შესახებ ინფორმაცია და კომუნიკაცია უზრუნველყოფილია მიზნობრივი და მომიჯნავე ტრენინგით. შიდა და გარე აუდიტის პროცესების საშუალებით სახეზეა ძლიერი მონიტორინგი, რომელიც თანდათან უმჯობესდება.

287. ფინანსური ტრანზაქციების შესახებ აღნიშნულ კონტროლთან ერთად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების სისტემა იძლევა ინფორმაციას მომსახურების გაწევის შესახებ, რომელიც აძლიერებს საერთო კონტროლის გარემოს. ამასთან, საკრებულოს სარევიზიო კომისია და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებენ საფინანსო, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტებს და შეიმუშავენ რეკომენდაციებს მომსახურების გაწევის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

4.3 საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი და სუსტი მხარეები

288. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი საქართველოში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების შემუშავება და ადეკვატური გამოყენება ბიუჯეტის შემუშავებაში, შესრულებაში (ანგარიშები, ვალდებულებების კონტროლი და ფულადი სახსრების მართვა), პერსონალის და სახელფასო სისტემის, შემოსავლების სამსახურის და შესყიდვების მართვაში. ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოიყენება არა მხოლოდ ცენტრალური მთავრობის დონეზე, არამედ მუნიციპალიტეტის დონეზეც, რადგან სისტემები უნიფიცირებულია ყველა სამთავრობო სექტორისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ქვეყანაში განვითარდა (საჭიროების შესაბამისად ახლიდან იწერებოდა) თითოეულ სფეროში ბიზნეს-პროცესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და არა ბიზნეს პრაქტიკის

კონკრეტულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან რეკონფიგურაციის საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიების ამ გადაწყვეტების დანერგვა ინტერნეტთან, როგორც მისი განხორციელების ინსტრუმენტთან ერთად, კომპეტენტური და მომზადებული პერსონალის მიერ (სათანადო კონტროლით) ფუნდამენტური მნიშვნელობისაა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) ძლიერი მხარეების განვითარების საქმეში. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტის და პერსონალის ინტეგრაციამ გააძლიერა უნარ-ჩვევები ტრენინგის საშუალებით, რასაც შედეგად მოჰყვა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) დადებითი ეფექტურობა და ეფექტიანობა.

აგრეგირებული ფისკალური დისციპლინა

289. აგრეგირებული ფისკალური დისციპლინა მიიღწევა ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხარჯვით ნაწილზე კონტროლითა და რეალისტური შემოსავლების პროგნოზების მომზადებით. შემოსავლების ძლიერი ადმინისტრირება უზრუნველყოფს შემოსავლების ეფექტიან მობილიზებას. მთლიანობაში, დაგეგმილი ბიუჯეტი თავიდან ვერ აიცლებს ხარჯების მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილებას და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას. შედეგად, ხარჯების მაჩვენებელი გაიზარდა 13.1 %-ით. სახაზინო ოპერაციები და ფულადი სახსრების მართვა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში ხარჯების მართვას. სახელშეკრულებო ვალდებულებების კონტროლი ეფექტურია და ხელს უწყობს ხარჯების მიმართულებით დავალიანების შეზღუდვას. პერიოდული გარე აუდიტის ძლიერი ფუნქცია აძლიერებს ფისკალურ დისციპლინას. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ასევე უზრუნველყოფს ფისკალური დისციპლინის გაძლიერების ხელშეწყობას.

რესურსების სტრატეგიული განაწილება

290. რესურსების სტრატეგიული განაწილების მისაღწევად, ანგარიშთა გეგმა ხარჯების მრავალგანხორციელებიანი ანალიზის საშუალებას იძლევა. არსებობს მტკიცე კავშირი ხარჯების ბიუჯეტირების საშუალოვადიან პერსპექტივასა და პროგრამული ბიუჯეტის სტრატეგიულ გეგმებს შორის, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში რესურსების სტრატეგიულ განაწილებასთან შესაბამისი შედეგების მიღწევის მიზნით. აქცენტი კეთდება საერთო ფისკალურ ჩარჩოზე, რომელიც შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ მოხდება ფისკალური სტრატეგიის ცვლილებების და პოლიტიკის ცვლილებების გავლენის ანალიზი და შედეგებზე შესაბამისი ანგარიშგება. ინვესტიციების უკეთესი მართვა გააუმჯობესებს რესურსების სტრატეგიულ განაწილებას, რამდენადაც ის უზრუნველყოფს, რომ ინვესტიციების ფარგლებში განმეორებადი ხარჯების შედეგები გათვალისწინებული იყოს საბიუჯეტო პროცესში და ინვესტიციები შერჩეულ იქნეს საუკეთესო უკუგების გენერაციის მიხედვით.

რესურსების ეფექტიანი გამოყენება მომსახურების გასაწევად

291. შესყიდვების სისტემაში კონკურენტულ ტენდერთან დაკავშირებით გასაჩივრების და დავების პროცესის თვალსაზრისით არსებულმა ნაკლოვანებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სერვისების გაწევის ეფექტიანობაზე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის მიღების (“no objection”) პროცესში მონაწილეობა

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ გააჩნდეთ შიდა ექსპერტიზა ან დამოუკიდებლობა. ანგარიშვალდებულების მექანიზმებში არსებული ძლიერი მხარეები განაპირობებს გარე აუდიტის, როგორც ალტერნატიული შემოწმების ეფექტურობას რესურსების არაეფექტიანი გამოყენების მიმართ. თუმცა, კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები ზღუდავს აუდიტის ზემოქმედებას, რომელიც თავის მხრივ ზღუდავს ზედამხედველობის ეფექტურობას. აღნიშნულის განეიტრალება ხდება წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ძლიერი მხარეებით, რომელიც მოიცავს შუალედური და საბოლოო შედეგების შესრულების შესახებ ინფორმაციას. საკრებულოს სარევიზიო კომისიის საქმიანობა აბალანსებს გარე აუდიტების ნაკლებობას და მათი საკანონმდებლო განხილვების არარსებობას. შესასრულებელი მიზნების და მისაღწევი შედეგების გამოქვეყნება ასევე უწყობს ხელს რესურსების ეფექტიან გამოყენებას მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში. მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ასევე უწყობს ხელს ამ მიმართულებით მომსახურების გაწევას.

5. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის პროცესი

5.1 მიდგომა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების მიმართ

293. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმა საქართველოში კარგად არის დოკუმენტირებული პუბლიკაციაში „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“⁷⁴ და „2014-2017 წლების საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიაში“. აღნიშნული ანგარიშებიდან ერთ-ერთი წინა ვერსიაში მითითებულია: „2007 წლიდან შთამბეჭდავი პროგრესი იქნა მიღწეული და ბევრი ინოვაციური კომპონენტი შემუშავდა შემოსავლების სამსახურში; მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სახაზინო სამსახურში; ერთიანი სახაზინო ანგარიში გაფართოვდა, რომელიც ახლა მოიცავს ადგილობრივ მთავრობებს და ყველა საჯარო სუბიექტს; ასევე ამოქმედდა ინტერნეტზე დამყარებული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა (PFMIS), რომელიც ქვეყანაში საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რამდენადაც ის ძირითადად ორგანიზაციის შიგნით შემუშავდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გარდაიქმნა ტრადიციული, კონტროლის და შემოწმების განმახორციელებელი ორგანოდან, ახალი ფუნქციის მქონე თანამედროვე, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის განმახორციელებელ უწყებად საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად: შიდა

⁷⁴ ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ლუი ბერგერს PMCG -ისთან, SAFEGE -ისთან და BDO -ისთან ერთად და არანაირი ფორმით არ ასახავს ევროკავშირის პოზიციას და მოსაზრებებს. [Georgia PFM reform](#)

აუდიტის და კონტროლის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი შეიქმნა და გამოიყენება მთელი მთავრობის მასშტაბით. ფინანსთა სამინისტროს აკადემია თავისი დაარსების დღიდან ჩამოყალიბდა საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების და ინიციატივების შესახებ ტრენინგის ძირითად პროვაიდერად. რეფორმა მოიცავს ახალ მიდგომებს და ინსტრუმენტებს და საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების საპარლამენტო განხილვების პრაქტიკას. დამოუკიდებელი ფისკალური დაწესებულებების მნიშვნელობა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლი ასევე გარკვეულია და რჩება საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის დღის წესრიგში.

294. შთამბეჭდავია მიღწევები საჯარო შესყიდვების მიმართულებით. რეფორმა ამ სექტორში მდგრადი განვითარებით გამოირჩევა. კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მნიშვნელოვნად შეიცვალა და გახდა ევროკავშირის კანონმდებლობის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი.

295. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმა საქართველოში განხორციელდა და კვლავაც იძლევა არსებით შედეგებს, როგორებიცაა მაგალითად: მნიშვნელოვანი პროგრესი საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში საერთაშორისო სტანდარტების, ფისკალური დისციპლინის და ფისკალური წესების შესაბამისად; გამართული პროგრამული ბიუჯეტირების სისტემა მთავრობის ყველა დონისთვის, მთავრობათაშორისი ფისკალური ურთიერთობების გასაძლიერებლად და გასაღრმავებლად; ორგანიზაციის შიგნით შემუშავებული კარგად სტრუქტურირებული და სრულად ინტეგრირებული ელექტრონული სისტემა (ელექტრონული PFMS) ბიუჯეტირების, ხაზინის და სხვა დაკავშირებული სფეროებისთვის; საგადასახადო პოლიტიკის შთამბეჭდავი რეფორმა და გამართული ინსტრუმენტები მაკროეკონომიკური და ფისკალური ანალიზისთვის.

296. უკანასკნელ წლებში ფინანსთა სამინისტრომ განავითარა უნარები საწარმოების აგრეგირებული ფისკალური რისკების შესაფასებლად. სამინისტრომ ასევე გააუმჯობესა საჯარო სექტორზე თავისი ფინანსური ზედამხედველობა.

297. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა განხორციელდა სისტემების დონეზე, როგორცაა ერთიანი სახაზინო ანგარიში, ანგარიშების კონსოლიდირება, სახელფასო ჩანაწერები, შიდა და გარე აუდიტი, ასევე პროგრამული ბიუჯეტირება. ყველა ეს რეფორმა განხორციელდა ინტერნეტისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, როგორცაა საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა.

298. დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით განხორციელდა მთელი რიგი რეფორმები და ინიციატივები: ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბება 1991 წელს დაიწყო და 1997 წელს ოფიციალურად გაფორმდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მთავრობის შესახებ ორგანული კანონის მიღებით. 2007 წელს პროგრესი შეიმჩნევა ადმინისტრაციული, პოლიტიკური და ფისკალური დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით. შესაბამისად, 2007 წლის

PEFA-ს შეფასებაში მე-8 ინდიკატორს - "სახელმწიფოთაშორისი ფისკალური ურთიერთობების გამჭვირვალობა" - მიენიჭა შეფასება B. თუმცა, ჯერ კიდევ იყო მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, მაგალითად როგორცაა დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკაში გატარების პოლიტიკური ნების ნაკლებობა, ისევე როგორც მკაფიო ფისკალური რეგლამენტების და პროცედურების არარსებობა ადგილობრივი მთავრობის დონეზე.

299. კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს ბიუჯეტების შესახებ (2006) შეიცვალა 2009 წლის ახალი საბიუჯეტო კოდექსით, რომელიც აერთიანებს საბიუჯეტო პროცესს და პროცედურებს ხელისუფლების ყველა დონისთვის და ადგენს, რომ:

- თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი;
- ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოს დამოუკიდებლობა ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში უზრუნველყოფილია: (i) საკუთარი შემოსავლებით; და (ii) ცენტრალური მთავრობიდან მიღებული მიზნობრივი გრანტებით იმ უფლებამოსილებების განსახორციელებლად, რომლებიც დელეგირებულია ადგილობრივი მთავრობებისთვის და სპეციალური ტრანსფერებით, რომლებიც ძირითადად მიზანმიმართულია ინფრასტრუქტურის ინვესტიციებზე;
- ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას არ აქვს უფლება ჩაერიოს ადგილობრივი მთავრობების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

300. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი მთავრობების ბიუჯეტების საკუთარი შემოსავლები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებს, გათანაბრებით ტრანსფერებს და სხვა შემოსავლებს. გათანაბრებითი ტრანსფერები არ წარმოადგენს მიზნობრივ გრანტებს და ადგილობრივ მთავრობას უფლება აქვს, განკარგოს ფინანსები საკუთარი პასუხისმგებლობების ფარგლებში; ისინი გამიზნულია ექსკლუზიური უფლებების განხორციელებისთვის და გამოიყოფა სპეციალური ფორმულის მიხედვით. აღნიშნული ფორმულის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საბიუჯეტო კოდექსით. გათანაბრებითი ტრანსფერების გაანგარიშების ფორმულა განსაზღვრულია ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანების საფუძველზე. ფორმულის საშუალებით გათანაბრებითი ტრანსფერების გაანგარიშება ხდება მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლების ტენდეციაზე დაყრდნობით და მოსახლეობის რაოდენობასთან, დემოგრაფიასა და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კოეფიციენტების საფუძველზე გაკეთებული ხარჯების პროგნოზების გათვალისწინებით.

301. 2009 წლის საბიუჯეტო კოდექსი ასევე განსაზღვრავს საბიუჯეტო კალენდარს, სისტემასა და საბიუჯეტო პროცესს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისთვის. ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისთვის განსაზღვრული საბიუჯეტო კალენდარი, სისტემა და საბიუჯეტო პროცესი რეალურად ცენტრალური მთავრობის მსგავსია, განსხვავება მხოლოდ კალენდრის თარიღებშია. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მიერ გამოიყენება ცენტრალური მთავრობის ორი-ეტაპიანი პროცესი: პირველ ეტაპზე მუშავდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (ბიუჯეტის წინასწარი

ანგარიში, მსგავსად BDD-ისა), ხოლო მეორე ეტაპზე მუშავდება ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტი.

302. ადგილობრივი მთავრობისთვის პროგრამული ბიუჯეტი შემოღებული იქნა 2011 წელს საბიუჯეტო კოდექსის ცვლილებით და სრულად ამოქმედდა 2013 წლიდან.

303. ადგილობრივი ბიუჯეტის ოპერაციების სიზუსტის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა იყო ელექტრონული სახაზინო სისტემის გაფართოება ყველა ადგილობრივი მთავრობის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტების მოცვის მიზნით. გარდა ამისა, ბიუჯეტის დაგეგმვა ადგილობრივი მთავრობის დონეზე ხდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. აღნიშნული განხორციელდა ადგილობრივი მთავრობების ბიუჯეტებისთვის 2015-2016 წლებში.

304. 2014 წელს პარლამენტმა შეიმუშავა კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", რომლითაც მოხდა 2005 წლის კანონის ჩანაცვლება. ახალი კანონით მუნიციპალიტეტების საკუთარი კომპეტენციები გაფართოვდა და თვითმმართველობის შიდა ინსტიტუციური მოწყობის სისტემა შეიცვალა. კანონი ასევე მოიცავდა შემდგომი ფისკალური დეცენტრალიზაციის დებულებებს და 2016 წლიდან, გარკვეული ტიპის საშემოსავლო გადასახადი ასევე მიმართულია ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადებთან ერთად, რომელიც ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა ადგილობრივ გადასახადს.

305. რეფორმები განხორციელდა როგორც მუნიციპალიტეტის დონეზე, ასევე ცენტრალური მთავრობის დონეზე. თუმცა, PEFA-ს შეფასების მიხედვით ყველა რეფორმა არ განხორციელებულა და გავრცელებულა მუნიციპალიტეტის დონეზე. მაგალითად, ბათუმის მუნიციპალიტეტს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა მისი მუნიციპალური საწარმოებისგან მოსალოდნელი რისკების შესაფასებლად. ნათელია, რომ საუკეთესო პრაქტიკა არ ვრცელდება მუნიციპალიტეტებზე, როგორც ეს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შემთხვევაშია, რომელიც ჯერ კიდევ პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტების აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო განხილვაზე, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს უნდა განხორციელდეს საკრებულოს მიერ.

5.2 რეფორმების ბოლოდროინდელი და მიმდინარე ღონისძიებები

306. საჯარო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის 2017 წლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ხარჯებით გაწერილ გეგმას სამიზნე შედეგებით, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს და რომლებიც აჩვენებს რეფორმების მიმდინარე და სიღრმისეულ ბუნებას: ბიუჯეტის მართვის გაუმჯობესება; საგადასახადო პოლიტიკას და საბაჟო საკითხებს; მაკროეკონომიკურ პროგნოზირებას და ანალიზს; სახელმწიფო ვალის მართვას; ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას; სახელმწიფო შიდა კონტროლს ფინანსურ რეფორმაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიებს და რესურსების მართვას. აღნიშნული რეფორმები ფარავს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ მთავრობებს. როგორც ეს წინამდებარე ანგარიშიდან ჩანს, ის რაც საერთა

ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებისთვის სისტემების, პროცესების და პროცედურების თვალსაზრისით, დაფარულია ერთიდაიგივე რეფორმით; განსხვავებას წარმოადგენს განხორციელების დონე, კერძოდ ცალკეული მუნიციპალიტეტის დონეზე, რაც შესაძლოა საჭიროებს ტრენინგს (III და IV ბლოკები). თუმცა, ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით - V და VI ბლოკები, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემები მსგავსია მთავრობის ყველა დონეზე, რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით უმნიშვნელო სხვაობა ან იდენტურია.

307. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის (FAD) ფისკალური გამჭვირვალობის შეფასებამ⁷⁵ ასევე წარმოადგინა მთავრობასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლების პერიოდისთვის ფოკუსირებით ფისკალურ ანგარიშებზე, ანგარიშგებაზე და საგადასახადო დანაკარგების კონტროლზე; საბიუჯეტო ყოვლისმომცველობის გაუმჯობესებაზე; ფისკალური ამოცანების სანდოობის გაძლიერებაზე; მაკროეკონომიკური პროგნოზების სანდოობის ამაღლებაზე და საშუალოვადიან ბიუჯეტირებაზე (MTBF)-ზე; გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ანალიზზე; ბიუჯეტის სარეზერვო სახსრების შექმნის კრიტერიუმებზე; პირობითი ვალდებულებების ანგარიშგებასა და კონტროლზე და ადგილობრივი მთავრობის შესახებ ანგარიშგებაზე.

308. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს მიმდინარე ვალდებულებაზე, განხორციელდეს რეფორმა მისი უწყვეტობის და გაღრმავების თვალსაზრისით საჯარო ფინანსების მართვის მთელი ციკლის მასშტაბით, დღეისათვის არსებული მიღწევების და წარმატების საფუძველზე. რეფორმა განიხილება როგორც მიმდინარე და არა როგორც ერთჯერადი ღონისძიება.

5.3 ინსტიტუციური მოსაზრებები

309. საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმების პროგრამას წარმართავენ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა და მათ დაქვემდებარებაში არსებული უწყებები, როგორებიცაა ფინანსთა სამინისტრო და მისი სტრუქტურული დეპარტამენტები - საბიუჯეტო დეპარტამენტი, ხაზინა, შემოსავლების სამსახური და სხვა, სახელმწიფო აუდიტის, შესყიდვების სააგენტო და პარლამენტი. ელექტრონული პროცესების (ელექტრონული მთავრობა) ერთობლიობამ უზრუნველყო კავშირების არსებობა ყველა განსხვავებულ მოქმედ უწყებას შორის ინფორმაციის და კონტროლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. რეფორმის პროცესი გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს სურვილს იყოს თანამედროვე და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო და სწორედ რეფორმის ხანგრძლივობა უზრუნველყოფს მის მდგრადობას. რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს, რეფორმის გატარების სურვილი მოდის ცენტრალური მთავრობისგან და მათი განხორციელება ცალკეულ მუნიციპალიტეტებში შესაძლოა განსხვავდებოდეს ზემოაღნიშნულისგან.

⁷⁵ სექტემბერი, 2017 წელი

დანართი 1: ეფექტიანობის ინდიკატორების რეზიუმე

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
HLG-1: ხელისუფლების მაღალი დონიდან განხორციელებული ტრანსფერები	D+	
HLG-1.1. ხელისუფლების მაღალი დონიდან გამოყოფილი გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი	A	2015 წელს გრანტების ფაქტიური მაჩვენებლის გადახრამ თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ გრანტებთან შედარებით შეადგინა 102%, 2016 წელს - 74%, ხოლო 2017 წელს - 114%. განსახილველი 3 ფისკალური წლიდან 2 წლის განმავლობაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 95%.
HLG-1.2. მიზნობრივი გრანტების ფაქტიური მაჩვენებელი	D	სამიდან ორი წლის განმავლობაში, ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტსა და მიზნობრივი გრანტების ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის განსხვავება 10%-ზე მეტი იყო.
HLG-1.3. ხელისუფლების მაღალი დონიდან განხორციელებული ტრანსფერების დროულობა	A	გადახდების გრაფიკი წარმოადგენს მაღალი დონის ხელისუფლებასა და ადგილობრივ მთავრობას შორის არსებული შეთანხმების ნაწილს. ფისკალური წლის დასაწყისში გადახდების გრაფიკის შეთანხმება ხდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან. განსახილველი 3 ფისკალური წლიდან 2 წლის განმავლობაში ფაქტიური გადახდების სულ მცირე 75% (შეწონილი) დროულად განხორციელდა.
PI-1 ფაქტიური მთლიანი ხარჯები	B	
1.1 ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები	B	სამიდან ორი წლის განმავლობაში, გადახრა იყო 10%-ზე ნაკლები (0.1% და 7.1%), ხოლო მესამე წელს (2015) გადახრამ შეადგინა 18.9%.
PI-2 ხარჯების შესრულების სტრუქტურა	B+	
2.1 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ფუნქციების მიხედვით	B	სამიდან ორი წლის განმავლობაში, გადახრა იყო 10%-ზე ნაკლები (4.8% და 8.5%), ხოლო მესამე წელს (2015) გადახრამ შეადგინა 15%.
2.2 ფაქტიური ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	B	სამიდან ორი წლის განმავლობაში, გადახრა იყო 10%-ზე ნაკლები (7.6% და 9.6%), ხოლო მესამე წელს (2015) გადახრამ შეადგინა 11.4%.
2.3 ხარჯები სარეზერვო ფონდებიდან	A	სამივე წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდიდან გაწეული ფაქტიური ხარჯები შეადგენდა 0%-ს, ხოლო ბიუჯეტში - 0.5%-ს.
PI-3 შემოსავლების შესრულება	D+	

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
3.1 მთლიანი შემოსავლების შესრულება	C	სამიდან ორი წლის განმავლობაში, მთლიანი გადახრა იყო 92%-სა და 116%-ს შორის (104.2% და 114%)
3.2 ფაქტიური შემოსავლების სტრუქტურა	D	შემოსავლების ცვლილება 15%-ზე ნაკლები იყო სამიდან ორი წლის განმავლობაში. 2015 წელს - 5.6%, 2016 წელს - 38.9% და 2017 წელს - 22.4%.
PI-4 საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	
4.1 საბიუჯეტო კლასიფიკაცია	A	ბიუჯეტის ფორმულირება, შესრულება და ანგარიშგება ემყარება ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის თითოეულ დონეს (10 ფუნქცია) GFS/ COFOG სტანდარტების გამოყენებით. პროგრამული კლასიფიკაცია გამომდინარეობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციული კლასიფიკაციიდან.
PI-5 საბიუჯეტო დოკუმენტაცია	B	
5.1 საბიუჯეტო დოკუმენტაცია	B	საბიუჯეტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ათიდან შვიდ ელემენტს, რომელთაგან ოთხი ძირითადი, ხოლო სამი დამატებითი ელემენტია.
PI-6 ადგილობრივი მთავრობის ოპერაციები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	
6.1 ხარჯები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	ყველა ხარჯი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში.
6.2 შემოსავლები ფინანსური ანგარიშების მიღმა	A	ყველა შემოსავალი შეტანილია ფინანსურ ანგარიშებში.
6.3 არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშები	NA	
PI-7 ტრანსფერები ადგილობრივი მთავრობისთვის	NA	
7.1 გრანტების გამოყოფის სისტემები	NA	
7.2 გრანტების შესახებ ინფორმაციის დროულობა	NA	
PI-8 ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ	B	
8.1 სერვისების გაწევის განხორციელების გეგმები	B	ინფორმაცია ყოველწლიურად მზადდება და ქვეყნდება მუნიციპალიტეტის პროგრამული ამოცანების შესაბამისად. ის მოიცავს შეფასების ინდიკატორებს, ინფორმაციას შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
8.2 სერვისების გაწევის ეფექტიანობა	B	ინფორმაცია პროგრამების/ ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ რომლებიც მუნიციპალიტეტების მხარჯავი დაწესებულებების მიერ ხორციელდება პრიორიტეტების ფარგლებში და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ ყოველწლიურად ქვეყნდება წლიურ საბიუჯეტო ანგარიშებში.
8.3 სერვისების გამწევი ერთეულების მიერ მიღებული რესურსები	A	ინფორმაცია მომსახურების პროვაიდერების მიერ მიღებული რესურსების შესახებ ხელმისაწვდომია მინიმუმ ყოველწლიურად.
8.4 სერვისების გაწევის ეფექტიანობის შეფასება	D	მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის და უმაღლესი აუდიტორული ოფისის აუდიტის შესაბამისობის ანგარიშები მოიცავს გასული სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ მომსახურებებს. თუმცა, აღნიშნული აუდიტები არ არის დაკავშირებული არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევის ეფექტურობის და ეფექტიანობის შეფასებასთან.
PI-9 ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	B	
9.1 ფისკალური ინფორმაციის საჯაროობა	B	მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს წვდომას 7 ელემენტთან, მათ შორის ჩამოთვლილი ინფორმაციის ხუთიდან 4 ძირითად ელემენტთან.
PI-10 ანგარიშგება ფისკალური რისკის შესახებ	D	
10.1 მუნიციპალური საწარმოების მონიტორინგი	D	მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტი ჩატარდა ორივე კომპანიაში, რომლებშიც მუნიციპალიტეტი ფლობს წილს, მუნიციპალიტეტი არ იყო აქტიურად ჩართული მათი ეფექტიანობის მონიტორინგში.
10.2 ადგილობრივი მთავრობის მონიტორინგი	NA	
10.3 პირობითი ვალდებულებები და სხვა ფისკალური რისკები	NA	
PI-11 სახელმწიფო ინვესტიციების მართვა	B+	
11.1 საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი	A	ბათუმის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროექტების პორტფოლიოს დომინანტი საინვესტიციო პროექტის შეფასების მიზნით განხორციელდა ეკონომიკური ანალიზი.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
11.2 საინვესტიციო პროექტების შერჩევა	C	ბიუჯეტში ასახვამდე ხდება მსხვილი საინვესტიციო პროექტების პრიორიტეტულობის განსაზღვრა, მაგრამ არა სტანდარტული კრიტერიუმების საფუძველზე.
11.3 საინვესტიციო პროექტების ღირებულება	B	საინვესტიციო პროექტების მთლიანი კაპიტალური ხარჯის პროგნოზები განხორციელების პერიოდისთვის, მომდევნო სამი წლის საერთო განმეორებით ხარჯებთან ერთად ყოველწლიურად აისახება საბიუჯეტო დოკუმენტებში.
11.4 საინვესტიციო პროექტების მონიტორინგი	A	საინვესტიციო პროექტების ღირებულების და ფიზიკური პროგრესის მონიტორინგი ხორციელდება მომსახურების შესყიდვით და მაკონტროლებელი უწყების მიერ. ინფორმაცია პროექტების განხორციელების შესახებ მზადდება კვარტალურად და ყოველწლიურად და წარედგინება საკრებულოს.
PI-12 სახელმწიფო აქტივების მართვა	B	
12.1 ფინანსური აქტივების მონიტორინგი	C	მუნიციპალიტეტი აწარმოებს მის მფლობელობაში არსებული აქტივების აღრიცხვას ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიაში, რომლებიც აღიარებულია მათი შესყიდვის ღირებულებით და იშვიათ შემთხვევებში, საბაზრო (რეალური) ღირებულებით. ინფორმაცია ფინანსური აქტივების ძირითადი კატეგორიების ეფექტიანობის შესახებ ქვეყნდება ყოველწლიურად.
12.2 არაფინანსური აქტივების მონიტორინგი	C	მუნიციპალიტეტი ახდენს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების რეგისტრაციას და აგროვებს ნაწილობრივ ინფორმაციას მათი გამოყენების და ხანდაზმულობის შესახებ.
12.3 აქტივების განკარგვის გამჭვირვალობა	A	განსაზღვრულია პროცედურები და წესები ფინანსური და არაფინანსური აქტივების გადაცემის ან გასხვისებისთვის. მუნიციპალური ქონების მართვის სააგენტო იძლევა დეტალურ ინფორმაციას თითოეული ტრანზაქციის შესახებ. დეტალური ანგარიში თითოეულ აქტივზე საჯაროა.
PI-13 ვალის მართვა	B	
13.1 ვალის და გარანტიების აღრიცხვა და ანგარიშგება	B	ვალის შესახებ აღრიცხვები არის სრული, ზუსტი, განახლებული ყოველი გადახდის ან ვალის აღების მომენტში. მენეჯერული და სტატისტიკური ყოვლისმომცველი ანგარიშები ვალის მომსახურების, დაგროვილი ვალის და ოპერაციების შესახებ მზადდება კვარტალში ერთხელ.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
13.2 ვალის და გარანტიების დამტკიცება	A	ძირითადი კანონმდებლობა ვალის მართვაზე პასუხისმგებელ ერთადერთ სუბიექტს ანიჭებს უფლებამოსილებას აიღოს სესხი, გასცეს ახალი ვალი და გასცეს სასესხო გარანტიები ადგილობრივი მთავრობის სახელით. დოკუმენტური სახით არსებული პოლიტიკა და პროცედურები იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს სესხის აღებასთან, ახალი სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიასთან და ვალთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად, სასესხო გარანტიების გასაცემად და ვალის მართვის ოპერაციის მონიტორინგისთვის ვალის მართვის ერთადერთი სუბიექტის მიერ. წლიური ნასესხები სახსრები დამტკიცებულ უნდა იქნეს მთავრობის ან საკანონმდებლო ორგანოს მიერ.
13.3 ვალის მართვის სტრატეგია	D	მუნიციპალიტეტის მიერ ვალის აღება-მომსახურების შესაძლებლობების შეფასებას ახორციელებს საკრედიტო სააგენტოები. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ვალის მართვის სტრატეგია.
PI-14 მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება	NA	
14.1 მაკროეკონომიკური პროგნოზები	NA	
14.2 ფისკალური პროგნოზები	NA	
14.3 მაკროფისკალური სენსიტიურობის ანალიზი	NA	
PI-15 ფისკალური სტრატეგია	B	
15.1 პოლიტიკის ცვლილების ფისკალური გავლენა	D	ბიუჯეტის მომზადების პროცესში საბიუჯეტო და მომდევნო წლებისთვის ხდება პოლიტიკისა და პროგრამების ცვლილების შედეგად მიღებული ყველა შემოსავლის და ხარჯის რაოდენობრივი შეფასება აგრეგირებულ დონეზე, და არ ხდება მათი შეფასება ცალკეული პროექტების მიხედვით.
15.2 ფისკალური სტრატეგიის მიღება/დამტკიცება	A	მუნიციპალიტეტმა მიიღო, საკრებულოს წარუდგინა და გამოაქვეყნა საბიუჯეტო წლის მიმდინარე ფისკალური სტრატეგია.
15.3. ანგარიშგება ფისკალურ შედეგების შესახებ	A	მუნიციპალიტეტი ამზადებს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას ფისკალურ სტრატეგიასთან მიმართებაში მიღწეული პროგრესის შესახებ.
PI-16 ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში	C+	

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
16.1 ხარჯების საშუალოვადიანი შეფასება / გაანგარიშება	A	წლიური ბიუჯეტი წარმოადგენს ხარჯების გაანგარიშებას საბიუჯეტო წლისთვის და მომდევნო ორი ფისკალური წლისთვის, რომლებიც განაწილებულია ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პროგრამული (ან ფუნქციონალური) კლასიფიკაციით.
16.2 საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჭერები	D	აგრეგირებული საბიუჯეტო ჭერები და საბიუჯეტო ორგანიზაციის დონეზე საბიუჯეტო ჭერები დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მიერ მხოლოდ საბიუჯეტო წლისთვის და გამოყენებულია საბოლოო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.
16.3 სტრატეგიული გეგმების და საშუალოვადიანი ბიუჯეტების შესაბამისობა	B	არსებობს სტრატეგიული გეგმები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციების პრიორიტეტების და მათი რეალიზებისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ.
16.4 ბიუჯეტების შესაბამისობა გასულ წელს გაკეთებულ პროგნოზთან	D	გასულ წელს მომზადებული საშუალოვადიანი ხარჯების პროგნოზის (MTEF) მეორე წელსა და მომდევნო წელს გაკეთებულ (MTEF) ბიუჯეტს შორის ცვლილებების რაოდენობა არ არის შეფასებული. საბიუჯეტო ორგანიზაციები იკვლევენ, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსრულებლობა ბიუჯეტის მომზადების პროცესში.
PI-17 ბიუჯეტის მომზადების პროცესი	B	
17.1 საბიუჯეტო კალენდარი	B	საბიუჯეტო კალენდარი მკაფიოა და სრულდება. ის საშუალებას აძლევს საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბიუჯეტო ცირკულარის მიღებიდან 5 კვირის ვადაში გონივრულად და დროულად დაასრულონ თავიანთი დეტალური საპროგნოზო გამოთვლები.
17.2 ბიუჯეტის მომზადების ინსტრუქციები	A	საბიუჯეტო ცირკულარი ყოვლისმომცველია და მოიცავს ფისკალური წლის მთლიან ხარჯებს. საბიუჯეტო ცირკულარში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭერები მტკიცდება ცირკულარის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გავრცელებამდე.
17.3 ბიუჯეტის წარდგენა საკანონმდებლო ორგანოში	C	წლიური ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ წარადგინა წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 კვირის ვადაში, ყოველწლიურად ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში.
PI-18 ბიუჯეტის საკანონმდებლო შეფასება	A	

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
18.1 ბიუჯეტის განხილვის მასშტაბი	A	საკრებულო განიხილავს ფისკალურ პოლიტიკას, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს და საშუალოვადიან პრიორიტეტებს, ხარჯების და შემოსავლების დეტალებს
18.2 ბიუჯეტის განხილვის საკანონმდებლო პროცედურები	A	საბიუჯეტო მოსმენამდე საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს პროცედურები და ხორციელდება მათი დაცვა. პროცედურები მოიცავს შიდა საორგანიზაციო მექანიზმებს, როგორებიცაა მაგალითად განხილვის სპეციალიზებული კომისიები, ტექნიკური მხარდაჭერა და მოლაპარაკების პროცედურები. ისინი ასევე მოიცავს საჯარო კონსულტაციების განხორციელებას.
18.3 ბიუჯეტის დამტკიცების ვადა	A	ბოლო სამი ფისკალური წლის განმავლობაში, საკრებულომ წლიური ბიუჯეტის კანონი დაამტკიცა ფისკალური წლის დაწყებამდე
18.4 აღმასრულებელი ორგანოს მიერ ბიუჯეტის კორექტირების წესები	A	არსებობს მკაფიო წესები წლის განმავლობაში აღმასრულებელი ორგანოს მიერ საბიუჯეტო კორექტირებების განსახორციელებლად. წესები ადგენს მკაცრ ლიმიტებს ცვლილების მასშტაბის და ტიპის შესახებ და სრულდება ყველა შემთხვევაში.
PI-19 შემოსავლების ადმინისტრირება	NA	საქართველოში მუნიციპალიტეტებისთვის შემოსავლების ადმინისტრირება გულისხმობს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ შემოსავლების მობილიზაციას. არსებობს ცენტრალური მთავრობის პირველ და მეორე დონეებს შორის განაწილების შეთანხმება.
19.1 უფლებები და ვალდებულებები საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებისთვის	NA	
19.2 შემოსავლებთან დაკავშირებული რისკების მართვა	NA	
19.3 საგადასახადო აუდიტი და მოკვლევა	NA	
19.4 საგადასახადო დავალიანების მონიტორინგი	NA	
PI-20 შემოსავლების აღრიცხვა	A	
20.1 ინფორმაცია შემოსავლების მობილიზების შესახებ	A	მუნიციპალიტეტი საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრირებული შემოსავლების შესახებ მონაცემებს იღებს მინიმუმ ყოველთვიურად და შემოსავლები აისახება ხაზინის ერთიან ანგარიშზე. ეს ინფორმაცია

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
		ჩაშლილია შემოსავლების ტიპის მიხედვით და კონსოლიდირებულია ანგარიშში.
20.2 შემოსავლების გადარიცხვა	NA	ყველა შემოსავალი პირდაპირ ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშებზე ყოველდღიურად.
20.3 შემოსავლების ანგარიშების შეჯერება	NA	სუბიექტები, რომლებიც ახდენენ მუნიციპალიტეტის შემოსავლების უმეტესი ნაწილის მობილიზებას, ახორციელებენ დარიცხული თანხების, მიღებული შემოსავლების, დავალიანების და ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადარიცხული თანხების სრულ შედარებას ყოველდღიურად.
PI-21 წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა	B+	
21.1 ფულადი სახსრების ნაშთების კონსოლიდაცია	A	სახელმწიფო სახაზინო სამსახურის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე დღის ბოლოს ხელმისაწვდომია კონსოლიდირებული ინფორმაცია მთელი საბანკო და ფულადი ნაშთების შესახებ
21.2 ფულადი სახსრების პროგნოზირება და მონიტორინგი	B	ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი მზადდება ყოველწლიურად ფისკალური წლისთვის, რომელიც გაშლილია კვარტლების მიხედვით და ყოველკვარტლურად ხდება მისი განახლება ფაქტიური ფულადი შემოდინებებისა და გადინებების საფუძველზე.
21.3 ინფორმაცია ვალდებულებების ლიმიტების შესახებ	A	საბიუჯეტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხარჯების დაგეგმვა და ვალდებულებების აღება 12 თვით ადრე საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად.
21.4 წლიური ბიუჯეტის კორექტირების მასშტაბი	C	საბიუჯეტო ასიგნებების კორექტირება განხორციელდა შვიდეჯერ 2017 წელს და შეადგინა საწყისი ბიუჯეტის 13.1%. ეს შესრულდა გამჭირვალე და პროგნოზირებადი ფორმით.
PI-22 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები	A	
22.1 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების ნაშთი	A	მუნიციპალიტეტის განცხადებით, საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებები არ აქვთ.
22.2 საბიუჯეტო ხარჯების დავალიანებების მონიტორინგი	NA	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ინფორმაციას ხარჯვით ნაწილში დაგროვილი დავალიანებისა და მისი სტრუქტურის შესახებ. ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს წარმოქმნილი დავალიანებების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მოამზადებს ანგარიშს.

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
PI-23 სახელფასო განაცემების კონტროლი	B+	
23.1 სახელფასო და პერსონალის ჩანაწერების ინტეგრაცია	A	მუნიციპალიტეტი აწარმოებს თავისი პერსონალის მონაცემთა ბაზებს ელექტრონული ხაზინის (სახელფასო მოდული) სისტემის ფარგლებში, რომლის მართვაც ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის მიერ. პერსონალის და სახელფასო ჩანაწერების შეჯერება წარმოებს ყოველთვიურად მაინც, მანამ სანამ მოხდება ხელფასების გადახდა პერსონალის საბანკო ანგარიშებზე. არსებობს ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც ჩაშენებულია სახელფასო მოდულში და რომელიც ავტომატურად ბლოკავს ნებისმიერი პირის სახელფასო განაცემებს რომელიც არ არის ასახული ელექტრონული ხაზინის სისტემის პერსონალის მონაცემთა ბაზაში.
23.2 სახელფასო ჩანაწერებში ცვლილებების მართვა	A	პერსონალის ჩანაწერების განახლება წარმოებს ყოველთვიურად, ყოველთვიური გადახდის დროისთვის. განახლებები ხორციელდება რეალურ დროში და აისახება ელექტრონული ხაზინის სისტემის სახელფასო მოდულში. ამასთან ერთად, არსებული მონაცემების რეტროაქტიური ცვლილებები სისტემაში არ არის დაშვებული.
23.3 სახელფასო განაცემების შიდა კონტროლი	A	მუნიციპალიტეტში სახელფასო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის უფლება მხოლოდ ავტორიზებულ პირებს აქვთ. ცვლილებები უფლებამოსილი პირის მიერ მოწმდება და მტკიცდება განყოფილების უფროსის მიერ. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს სახელფასო ჩანაწერებში გაკეთებული ცვლილებების კვალის მიდევნება. ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ხდება ცვლილებების დოკუმენტირება და შენახვა. ამასთან, ელექტრონული ხაზინის სისტემაში შესვლის/წვდომის კონტროლი ხორციელდება ნომრისა და პაროლის გამოყენებით. გარე აუდიტორები აფასებენ სახელფასო რისკებს როგორც დაბალს, რამდენადაც სახელფასო მონაცემების სიზუსტე საკმაოდ მაღალია.
23.4 სახელფასო განაცემების აუდიტი	B	არსებობს წლიური სახელფასო აუდიტის სისტემა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. აღნიშნული სისტემა ავლენს ნებისმიერ სისუსტეს ნებისმიერი სახის კონტროლთან დაკავშირებით და ასევე ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს. მუნიციპალიტეტის დონეზე აღნიშნული არ ხორციელდება ყოველწლიურად. ბოლო აუდიტი დასრულდა 2016 წელს.
PI-24 შესყიდვები	B	

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
24.1 შესყიდვების მონიტორინგი	NA	მონაცემთა ბაზების და ჩანაწერების წარმოება ხორციელდება ყველა კონტრაქტისთვის, მათ შორისაა ინფორმაცია, თუ რისი შესყიდვა განხორციელდა, როგორ იყო შესყიდვის ღირებულება, ვისთან გაფორმდა კონტრაქტი. ყველა სახელმწიფო კონტრაქტის შესყიდვა ხდება საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით.
24.2 შესყიდვების მეთოდები	A	სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, როცა შესყიდვის ღირებულება აღემატება 5000 ლარს (ან მის ეკვივალენტურ ოდენობას 2000 აშშ დოლარს), შესყიდვა ტარდება ღია კონკურსის გზით, რომელიც წარმოადგენს შესყიდვის ძირითად მეთოდს. 2017 წელს კონტრაქტების 96%-ის შესყიდვა განხორციელდა კონკურენტული ტენდერის გზით.
24.3 შესყიდვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა	A	<p>შესყიდვების შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. სხვა ინფორმაციასთან ერთად, მათ შორის მოიცავს შემდეგ ინფორმაციასაც:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შესყიდვების სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემის შესახებ; 2. სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესახებ; 3. ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ; 4. გამარჯვებულთან გაფორმებული კონტრაქტების (მიზანი, კონტრაქტორი, ღირებულება) შესახებ; 5. შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ; და შესყიდვების წლიურ სტატისტიკას
24.4 შესყიდვების შესახებ საჩივრების მართვა	D	შესყიდვების სისტემა აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს, გარდა N1-სა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების საბჭოს საქმიანობის წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად დავების განხილვის საბჭო შედგება პარიტეტული პრინციპით შერჩეული 6 პირისგან. 3 წევრი არის სამოქალაქო საზოგადოების / არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ხოლო 3 წევრი შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე იმავდროულად არის დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარე უპირატესი ხმის უფლებით. შესყიდვების სააგენტო ასევე არის გამარტივებული შესყიდვების დამმოწმებელი შემფასებელი ორგანო (იხილავს

ინდიკატორი/ ქვეინდიკატორი	შეფასება	განმარტება
		შემსყიდველი უწყებების მოთხოვნებს პირდაპირი შესყიდვის განხორციელებაზე). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩართულობა შესყიდვის კონკრეტულ პროცედურაში შესყიდვის გამარტივებულ პროცედურისთვის (პირდაპირი კონტრაქტის გაფორმება) მას აქცევს შესყიდვების ტრანზაქციების და გადაწყვეტილების მიღების ნაწილად, რომელსაც მოჰყვება კონტრაქტის გაფორმება. ეს ქმნის კონფლიქტს მის საზედამხებდველო ფუნქციასთან და როლთან შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის კუთხით.
PI-25 არასახელფასო ხარჯების შიდა კონტროლი	A	
25.1 მოვალეობების გადანაწილება	A	„სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანების შესაბამისად, მოვალეობები გადანაწილებულია ხარჯების გაწევის მთელი პროცესის განმავლობაში პასუხისმგებლობების მიხედვით, რომელიც მკაფიოდ არის გადმოცემული საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) სხვადასხვა დონეზე.
